

მურმან თავდიშვილი

**ნომადი ბართიას
კულტუროლოგიური
ღვაწლი**



**გამომცემლობა „უჩხურობა“
თბილისი 2022**

რედაქტორი – ქეთევან თავდიშვილი

© მურმან თავდიშვილი, 2022

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-

შესავალი

ეს წიგნი ნომადი ბართაიას მამის – დაუვიწყარი ევგენი ბართაიას – ხსენებით უნდა დავიწყო. არც ეგების მისი დავიწყება, რადგან არ მეგულება საქართველოში კაცი, ვისაც ევგენი არ უყვარდა, ვინც მას პატივს არ მიაგებდა, ვინც ამ დიდებულ პიროვნებაზე აუგს იტყოდა; შინ და გარეთ გულმოწყალებს ყველა ღიმილითა ხვდებოდა, გულიანად და ხალისით ესაღმებოდა. რა არის იმაზე სასიამოვნო, როცა ხედავ და გრძნობ: შენი სახის დანახვა შემხვედრს გულზე ვარდად ეფინება, დაჭრილ სულს მტლედ ედება. „საქართველოს ბუნების“ დიდებული რედაქტორი და საქმის კაცი მშვენიერ ლექსებსა თხზავდა და რამდენიმე პოეტური კრებულებს გამოუცია, რომელთაც ცნობილი კრიტიკოსები დადებითად გამოხმაურებიან, ხოლო ერთი რომანისტი ევგენის მიერ მისდამი გაწეულ დახმარებას მშობლის ამაგს უტოლებს, მეტიც, უფრო მაღლაც კი

აყენებს და გურამიშვილისეული სიტყვებით ასე
გამოსატავს:

როგორც რომ ერთმან ყაზახმან

მე მაშინ მომხარაო,

როცა რომ მყვანდა, მივლიდა

მეტს მამაჩემი არაო!

(ადამ ბოლდუელი, რომანი „კეისარი“, 2007)

ბუნებითა და საქმით შემოქმედი კაცის
ოჯახში დაბადებულ ნომადის, ყმაწვილს, წიგნე-
ბის, ჟურნალების, საჟურნალო მაკეტების, ლექსე-
ბის გარემოცვაში აღზრდილს, ბუნებრივია წარმა-
ტებით დაემთავრებინა სკოლა და უნივერსიტეტი-
სათვის მიეკითხა. იქ კი ორიენტალისტთა გარე-
მოცვაში მოჰყვა და ენერგიულად შეუდგა სპარ-
სულის სწავლას. საინტერესო და მრავლისმეტ-
ყველია ის წრე, რომლის წიაღშიც გაიშალა და
გაიფურჩქნა მისი ნიჭი, კეთილშობილება და კა-
ცური კაცობა. აი, ეგ ჯადოსნური წრეც: გიორგი
წერეთელი, სერგი ჯიქია, დავით კობიძე, ვალერი-
ან გაბაშვილი, კონსტანტინე წერეთელი, კონ-
სტანტინე ფალავა, მზია ანდრონიკაშვილი, მაგა-

ლი თოდუა, ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ვახუშტი კოტეტიშვილი, ალექსანდრე გვახარია და სხვები.

ბრწყინვალე სახელებია, დიდი მოღვაწენი გახლავან, ქართული კულტურის ამაგდარნი ბრძანდებიან და თითოეული მათგანის გვერდით ყოფნა და შრომა – ეგ ფაქტობრივად თითო უნივერსიტეტის დასრულების ტოლფასი იყო.

XX საუკუნის 60-70-იანი წლები ის წლებია, როცა რუსეთის ორიენტალისტებმა განაცხადეს: აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრმა რუსეთიდან საქართველოში გადაინაცვლაო.

დასტურ ასეა!

და ამას კიდევაც მოწმობს ნომადი ბართაიას, როგორც მოღვაწის, ის მონაგარი, რითაც ხელდამშვენებული ეგებება იგი თავისი დაბადების მეოთხმოცე წელს (2024). და ამჟამად ის გახლავთ სხვადასხვა მიმართულებით თავგამოჩენილი შემოქმედი: პოეტი, მთარგმნელი, მეცნიერი (ირანულ-ქართული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების მკვლევარი), რუსთველოლოგი, პედაგოგ-ლექტორი და საინტერესო ორიენტალისტ-მოგზაური. ყოველივე ამის თაობაზე

გამოწვლილვით ვისაუბრებთ ქვემორელე და ამით უფრო ნათლად, მკვეთრად და დასახსომებლად გამოიკვეთება კიდევ ერთი ქართველი მწერლის ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის დვაწლი.

ნომადი ბართიას ორიბინალური ლექსები

ხშირად გამკვირვებია და, ამასთანავე, გაფ-
ბრაზებულვარ კიდევ, როს ვხედავ: მავან **პოეტს**
ბომბორა წიგნი გამოუცია, რომელსაც შუბლზე
ბრიყვის სითამამით აწერია **ღირიკა**.

რა არის ჩემი წყრომის საფუძველი?

აი, რა:

ვრცელი ნაწარმოები შეიძლება იყოს ეპიკუ-
რი ტილო, ვთქვათ, რომანი ლექსად ანდა პრო-
ზად; პიესა; გამოკვლევა, ოღონდ არაფრით შეიძ-
ლება, ღირიკულმა კრებულმა შეადგინოს უზარ-
მაზარი ფოლიანტი ანდა ტომეულები. არადა,
ვიცნობ თანამედროვე მოშირეთ, ღირიკულ
გნომათა ტომეულები რომ დაუწყვიანთ! არადა
თაროებიდან დაცინვით გადმოგვყურებენ ბარა-
თაშვილის ოცდაათიოდე ქმნილება და გალაკტი-
ონის ასი ლექსი; ილიას, აკაკის ღირიკული მო-
ნაგარი შეადგენს თითო მომცრო ტომს. და ყოვე-
ლივე ეს გასაგებიცაა: რა არის ღირიკა! ეს
არის ქმნილება, რომელიც გამოხატავს წუთჟამი-

ერ განწყობილებას, რაიმე წუთიერ განცდას, რა-
ღაც უნებლიე ელვისებურ გააზრებას. ამის გა-
მოხატვას, ამგვარ თემას, შინაარსს შეესაბამება
მცირე ფორმები: ჩანახატი, ესკიზი, მინიატიურა
(პროზის სახით) ანდა ლექსი, რომელიც შეიცავს
ერთ, ორ ან თუნდაც 9-10 სტროფს. თუ იგი ამის
მეტად გრძელდება, უნდა ვიცოდეთ – ხელთა
გვაქვს ფშატალა წყლით გაუიებული ტექსტი,
რომელიც წყალგარეულ ღვინოსავით გაგალებუ-
ლია, ანუ გაღაა. მაშ, აქ დავიწყებულია ხარის-
ხის, კონდიციის მოთხოვნა, რომელსაც ჯერ კი-
დეც XIII საუკუნის დამდეგს გვიკვირებდა მგო-
სანი: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია
ამად კარგი!“ ბოლოს და ბოლოს, გადავთვალოთ
ქართული პარნასის №1 და მსოფლიო პარნასის
ხუთეულში შემავალი შედეგების სტროფთა რაო-
დენობა. ბარათაშვილის „მერანი“ მოიცავს 8 ხა-
ნას და ბასტა!

მაშ, კონგენიალური „მერანი“ სათქმელს 8
სტროფით გამოხატავს და მართალიცაა: შინაგა-
ნი განცდა, წამიერი ემოციური განწყობა, უცაბე-
დად გაელვებული გენიალური აზრიც კი მეტ

სივრცესა და განს არ საჭიროებს, 7-8-9 სტროფი სავსებით და სრულად ჰყოფნის მას.

ნომადი ბართაიამ ეს ამბავი კარგად იცის და უკვე ეგ გახლავთ პიროვნების ნიჭიერების ერთ-ერთი ნიშნეული საბუთი: როცა წერ, უნდა გესმოდეს, რასა წერ და რა შინაარსს რა ფორმა შეესატყვისება. უამცოდნოდ წარმატებას ვერ მიადწევ, მკითხველის გულის ნათელს ვერ მიაგნებ. ჩემი ამ მოსაზრების მტკიცე დასტურია 2004 წელს გამოცემული ლირიკული კრებული „ვიღაცას აივანი აუყვავებია“. გნომათა ამ კრებულის არც ერთი ნიმუში არაა ჩემ მიერ დაწესებულ „პროგრუსტეს სარეცელზე“ გრძელი. ამიტომ არც მე მიწევს, ავაზაკ დამასტოსის როლი შევასრულო და მათ თავ-ფეხი დავაჭრა.

წიგნში შეტანილი ნიმუშები მკითხველს გულუბრყვილო ბავშვის ღიმილით შესცქერის და ფაქტობრივად ესაა **ლექსები სამყაროს ღიმილზე.**

**არ ვიცი,
როგორ
გადავუნადო
მადლობა,**

რისიც
ის არის ღირსი;

რა ჩიტი იყო,
გალობდა როგორ,
სახელი მაინც
ვიცოდე მისი.

ამ მშვენიერი ლექსით იხსნება ნომადი ბართაიას პოეტური კრებულიცა და გულიც, რომლის ნათელი მხარე ჩვენკენ, მკითხველებისაკენ, არის მოქცეული. ამ შემოქმედებით მიგნებას „ზედაზნის მთებში“ ჰქვია, თვით კრებულს კი – „ვიღაცას აივანი აუყვავებია“.

ავტორი იმ შემოქმედთა გუნდს მიეკუთვნება, მცირე ჟანრს რომ ერთგულებს. მინიატიურული ლექსი მისი საყვარელი ფორმაა. მცირეში რაც შეიძლება მეტის ჩატევა მისი დევიზია. ეს „მეტი“ უფრო ხშირად გულისხმობს შეჩერებული ღამა-ზი წამის, გაელვებული მიგნებული აზრის, ქუდბედიანი მოსაზრების დაფიქსირებას.

ვგონებ, მთელი მისი მოღვაწეობა აქეთკენ იყო და არის მიმართული. ჯერ იყო და, იაპონუ-

რი ტანკა შეიყვარა. ამ ფორმის სიდრმეებში
წვდომამ სათარგმნელადაც განაწყო. გემო გაუფ-
ცქენა მცირე ფორმის შესაძლებლობებს და, ბუ-
ნებრივია, ქართული სიტყვაც საამფორმოდ დაი-
ურვა. და აგერ შედეგიც: სხვათა, შინაურთა და
გარეშეთა, კვალდაკვალ კიდევ ერთხელ დაგვარ-
წმუნა: წამი თანაზიარია მარადისობისა, თვალ-
წაკრული სურათის ბეწო ნაწილია მთლიანი სუ-
რათისა, ყურმოკრული ბგერა თანხმიერია კოსმი-
ური მუსიკისა. ამ ბეწოთი, ამ ჩქამით, ამ ნაწი-
ლით ავტორი თანაზიარი ხდება მთლიანისა.
ტყუილად კი არ ჩიოდა თავისი სიცოცხლის მიმ-
წუხრზე ირაკლი აბაშიძე: მთელის მოლოდინში
მრავალი წამიერი და ჩქამიერი სილამაზე გამის-
ხლტა ხელიდან, ამოდ დავშვერი მთლიანის
ძებნაშიო! ჩვენი ავტორი ეშურება, სწორედ იმ
მცირედშიც დაგვანახვოს მსოფლიოს ანარეკლი,
მთლიანის სავარაუდებელი სივრცე და პანორა-
მულობა... და ისწრაფის, ვინძლო დრო არ და-
კარგოს... „რა თქმა უნდა, თქვენც გინახავთ“ და
ჩვენც ის, რაც ქვემოთ უნდა წარმოგვისახოს,
ოღონდ მის დაფიქსირებასაც ხომ თავისებური

ფორმის, წახნაგის მოძებნა სჭირდება. წახნაგმა უნდა გააბრწყინოს სიტყვის გულისგული.

**რა თქმა უნდა, თქვენც გინახავთ,
მერმე გხსომებით დიდხანს:
სამშობლოში, სადმე გზის პირს,
მოხუცი რომ თივას თიბავს.**

ამგვარ აზრობრივ-ესთეტიკურ მიგნებებში, შესაძლოა, პოეზია სრულიად ვერც იყოს გამოვლენილი, მთელ თავის სტიქიას ვერ გვიჩვენებდეს, რამდენადმე თავშეკავებულიც ჩანდეს, ოღონდ რას იზამ – ეს არის ხვედრი მცირე ფორმებისა. აქ გრანდიოზულობა გამორიცხულია, პოეტური ლანქერი თვალს ვერ მოგტაცებთ, აქ სულ სხვა განზომილება მოქმედებს, სხვაგვარ სილამაზესა და სხივიერებას უნდა მივენდოთ და ველაციცოთ.

**რა ერქვა, ნეტავ,
რა გვარი იყო.
რა გულიანად
გაიცინა**

იმ დალოცვილმა.

გულგაღვლილი

პერანგი ეცვა,

ერთი წინა კბილი აკლდა.

(„ქუნაში“)

აგერ კიდევ ერთი ცუგრუმელა სილამაზე, მრავლის გულში ჩარჩენილი, ოღონდ დღემდე გამოუსახველი: სამშობიარო სახლის ეზოში ქალები, კაცები, ბავშვები და მოხუცები ირევინ. აგერ ფანჯარას მოადგება ქალი „მისუსტებული, ფერმკრთალი და მღიმარი სახით“, ბარათს გადმოაგდებს და... „მის დასაჭერად ყველა ერთად გაიშვერს ხელებს“.

იგივე ითქმის ლექსის გამო, რომელსაც „მკითხველო ჩემო“ ჰქვია. ამ მშვენიერ ცისქვეშეთში ბევრი ისეთი ადგილია, უნებლიეთ გაფიქრებინებს: პოეტი რომ ხარ, კარგია, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, მხატვარი ყოფილიყავი. ავტორი ამ მინიატიურულ სურათ-განცდებს ასათაურებს. შეიძლება, არც იყოს აუცილებელი მათთვის ეს სათაურები. ისინი მძიმე ქუდებივით მოჩანან ფა-

ქიზი ანგელოზების თავზე. ისედაც ყველაფერი
ნათელი და მკვეთრად თვალსაჩინოა:

**მკერდგადედილი
შემხვდი ქუჩაში...
არც ასე ვარგა,
გითხრა მართალი.
პალტო –
ზრდილობის გამო
თუ გეცვა,
ფეხზე გეკიდა,
ბიჭო, ზამთარი.**

თუ იმაზე ხარ დამარქაფებული, ყოფიერებას
რაიმე სასიამო დასცინცლო, უნდა თუ არა, სი-
ლამაზის ციცქნა ნაგლეჯი დასტყუო, საამური
განცდის ფიორი დაადენინო, თუ ყოველივე ამის-
თვის ხარ გახაზირებული, მაშინ ზაფრანის ფერ-
თა სილამაზესაც დალანდავ, ფერთა შეხამებაში
მის ადგილსაც დაადგენ.

**ვიდექი დიდხანს გაოგნებული
და ვერ მოვწყვიტე იმ ადგილს თვალი,**

**სადაც ტანჩია და შაემოსილი
ზაფრანას ჰყიდდა მოხუცი ქალი.**

ეს მშობლიური სურათია, ეროვნულობის განცდის წარმომშობი, ღარი, რომელზედაც ჩვენი მამულიშვილური გრძნობები გადმოიდგრება.

რომელი ჩვენგანი დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ სკოლის დამთავრების დროინდელი მთვარე სრულიად გამორჩეული არ არის ჩვენს ცხოვრებაში? არავინ. და ჩვენი მოშიარეც აფიქსირებს ამ განცდას, სიჭაბუკესთან წილნაყარსა და სიყმაწვილეში ადამიანის ოცნებით დამაბრუნებელს.

ზოგ ლექსში პოეტურმა გზნებამ მკვეთრად აუშვა აფრები. სწორედ ამ დროს იბადება ლირიკული გნომა, სადაც ზუსტად არის მიგნებული სათქმელის რიტმი და დინამიკა; პოეტური განწყობილება რეალობის შეგრძნებას ამკვიდრებს. ასეთია „კონსტანტინე გამსახურდიას“. ეს ლექსი მაგონებს დიდი მწერლის იმ გენიალურ, ერთობ ორიგინალურ ქანდაკებას, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიკური ინსტიტუტის ახლორე დგას. კიდევ მეტი: ვგონებ, ამ ძეგლს, მის სტილს ერთგვარი ზემოქმედება

მოუხდენია ჩვენი ავტორის სათქმელზე. შეიძლება ითქვას, ეს ლექსი ჩაგონებულია ქანდაკების იდეით; აქ მახვილი კალმის წვერი გერგილიანად აგრძელებს ბასრი საჭრეთლის გეზსა და მიმართულებას:

ახლა ანდა ხანჯალს ლესავ,
ანდა მახვილს წვერს უსინჯავ,
ანდა იცვამ პერანგს ჯაჭვის,
გშვენის რაინდს, ვით უშიშარს.
ანდა იკრავ დილებს ჩოხის,
ქამარ-ხანჯალს იკრავ ანდა,
ემზადები სადარბაზოდ
ანდა თამარ დედოფალთან.
ანდა ბასიანის ველზე
ჰკაფავ ლაშქარს ურიცხვს მტრისა,
ან ხარ ავად, საქართველოს
სულაც სიყვარული გჭირსა.
ანდა ახლა წვერით კალმის
ქარგავ ანსა, ანდა ბანსა,
ანდა სვეტიცხოვლის ტაძრის
უფლი ირგვლივ გალაგანსა.
ანდა მეფე გიორგისთან
უზი ახლა ტაბლას მცირეს,

ანდა ახლა მკლავი მოგჭრეს,
ანდა ახლა დაგიჭირეს.
ანდა ახლა გალობანის
შენ გაბრუებს სინანული,
ანდა ახლა ხარ-ირემზე
სანადიროდ გიწევს გული.
ანდა ახლა შენ გრიგალში
ზარს არისხებ განგაშისა,
ანდა დარდი მოგწოლია
ქალის, კოლონკელიძისა.
ანდა ვაჟი შეგეძინა,
სახელს არქმევ იმას – ზვიადს,
ანდა იმის საფლავს ეძებ,
ვინც ზვარაკად გაგიზრდია.
ახლა ანდა ხანჯალს ლესავ,
ანდა მახვილს წვერს უსინჯავ,
ანდა იცვამ პერანგს ჯაჭვის,
გშეგენის რაინდს, ვით უშიშარს.

ვფიქრობ, ნებისმიერი ჭეშმარიტი პოეტი ია-
მაყებდა ამ ლირიკული ქმნილებით, მე კი იმით
ვდიდგულობ, ეგ ლექსი რომ ჩემმა მეგობარმა
აღმოთქვა.

ჩვენ, მკითხველებს, ავტორთან ერთად გვესულგულება მზესუმზირის ველობის ხილვა, ოდეს „ვერ ძდება ყანა მადლა ცქერით“, ასევე მარტივად გამოსატული დიდი მამულიშვილური სიყვარული, როდესაც „ხან ხერთვისი გამოჩნდება გზაზე, ხან თმოგვი და ხან ვარძია. მტკვრის ორივე სანაპირო ერთნაირად ღამაზია“; გულმხურვალე განცდას წარმოქმნის ერთი თითქოსდა უმნიშვნელო სურათი, რომელსაც ალბათ არაერთხელ შევსწრებივართ, ოღონდაც, რაკი მასზე ყურადღება არ გაგვიმახვილებია, ჩვენ წინაშე ისე ჩაველილა, როგორც მდინარის წყალი, რომელსაც საგანგებოდ არ ჩაგვიკვირებია.

**სანაპიროზე,
ავტოსადგურთან,
შთაბეჭდილება
დამჩნა ძლიერი.
ასე, ჩემი ხნის
ან ცოტა მეტის,
ბროწეულს ჭამდა
პოლიციელი.**

ამ შემთხვევაში ჩვენი ავტორი მოჰგავს მის მიერვე აღწერილ ფანდურის იმ გამყიდველს, რომელიც „მოულოდნელად ჩამოჰკრავს სიმებს და ჟრუანტელი დაგივლის ტანში“.

პუშკინი მიუთითებდა: პოეზია გაუფერულდება, თუ ბოლომდე გასაგები გახდება. მასში რაღაც ბუნდოვანი და გაურკვეველიც უნდა დარჩესო. ამ მითითებას თითქოსდა კიდევაც ასრულებს „ლისის ტბის ლერწმები“. აქ ნათქვამი ერთბაშად გასაგებიც არის, ნაცნობიც და ასევე მოუხელთებელი და შეუცნობელიც. ამათი ერთმანეთში შერთვა-შეწმასხვნა მკითხველის დაფიქრებას იწვევს და ლირიკული მინიატიურაც უკეთ გვამახსოვრდება:

**თითქოს რაღაცა
გულზე მომწიწკნის,
ამეშლებიან
თათარ-ფიქრები,
როდესაც ქარის
მიმართულებით
ყველანი ერთად
გადაიხრებით.**

აქ უნებლიეთ გახსენდება ჩვენი პირველი პრეზიდენტის ფრთიანი ნათქვამი, საოცარი აფორიზმი: „მდინარის მოძრაობის მიმართულებით მხოლოდ მკვდარი თევზები მიცურავენ“.

ყოველი საგანი, ღვთით შექმნილი, ლამაზია; ყველა ფერი, ზეცით დაწესებული, მომხიბლავია, ოღონდ უნდა ძაღგედვას მისი სათანადო კონტექსტში დანახვა და ამოკითხვა. მაშინ თვით უნაბი და უნაბის ფერიც თავს მოგაწონებს და...

აქ საოცარი არაფერია,
გასაკვირია
არც არაფერი,
უბრალოდ, ამის
იძლევა საბაბს
თვით უნაბი და
უნაბის ფერი.

თავისებურად საგულისხმოა „კინადამ ქარმა“, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ დახატულია ქარიანი დღის სურათი. აქ უპირატესობა სახეებით აზროვნებას ეძლევა:

**გორი-ქარელის
გზის მონაკვეთზე
კინაღამ
ქარმა
წაიღო ქორი.**

მაგრამ უმთავრესი სხვაა: მსგავსი გართობა ჩვენში ჯერ არავის უცდია, ვგონებ, არც გალაკტიონს. პირველი სიტყვა „გორი“ დახრილ დიაგონალურად ერთმეხა ბოლო სიტყვას „ქორი“, ხოლო პირველი ტაეპის მარჯვენა სიტყვა „ქარელის“ ესამეხა ბოლო ტაეპის მარცხენა სიტყვას „ქარმა“ და ვდებულობთ გრაფიკულ სურათს – X:

**გორი – ქარელის
გზის მონაკვეთზე
კინაღამ
ქარმა
წაიღო ქორი.**

მაშასადამე, სარითმო წყვილულებია: გორი-ქორი; ქარელის-ქარმა.

ფარული, ვერგამოთქმული განცდა-გრძნობების ლაბირინთებში ქართველი კაცი პირველად გალაკტიონმა შეიყვანა. ამის შემდეგ ამგვარ რთულწახნაგოვან განცდებს ჩვენი მკითხველი უფრო იოლად აღიქვამს, უკეთ იმეცნებს. ამიტომაც ადვილად ეთანხმება ავტორს, როცა ამბობს: „რადაცა ჩვენში არის ისეთი, ფანტელებში რომ გახვევას ითხოვს...“

კაი ყმას მეუღლეც კარგი რჩება. კაი ყმის შავმანდილოსანი მეუღლე ახალდამარხული ვაჟკაცის საფლაუზე „შავი მანდილივით ეგდო“. აქ შედარების სიზუსტეც გვჭრის თვალს და მეტაფორის გადატანითი მნიშვნელობაც – ცოლი მანდილოსნად, ესე იგი, ღირსებით აღსავსე პიროვნებად რჩება; ის მანდილის სიწმინდეს ბოლომდე დაიცავს.

სიყვარული...

განა არსებობს ქვეყნიერებაზე პოეტი, მასზე არ დაეწეროს? ამიტომაც, რაც დრო გადის, სულ უფრო ჭირს ახალი კუთხის გამოძებნა, ახალი სათქმელის პოვნა. მით უფრო ღირებული ხდება სიახლის მიგნება. ბგერწერული რიტმი, რომელ-

საც გერგილიანად იყენებს სიტყვის ფალავანი, გვიქმნის ახლებურ განწყობას, რაც სიყვარულის შეგრძნების გამძაფრებასთან არის წილნაყარი.

ახლა არ ვიცი,
ახლა არ ვიცი,
როგორ გაუძლო
მართლა ამ წამებს.
ის წამება სჯობს,
რომ მაწამებდი
თუ ის წამება,
რომ არ მაწამებ.
(„ისე მიყვარდი“)

ჩვენში ყველა დროს თავისი ფერი აქვს და უხდება კიდევ. მიუხედავად ამისა, გაზაფხულის ჭყეტელა ფერად-ფერადს შემოდგომის რაფინირებული, დაწმენდილ-დაღვინებული ფერადოვნება სჯობს. ამის დასტურია პუშკინის, გალაკტიონისა და სხვათა ე. წ. „შემოდგომური ლექსები“. შემოდგომის თემისა და ფეროვნების სიწარმტაცეს ადამიანური ყოფის შემოდგომის გააზრებაც ამძაფრებს, აძლიერებს. შემოდგომის ფერებიდან

ოქრო უფრო მეტი იღვრება. პოეტური თვალსა
მზერიდან ოქტომბერია ამ მხრივ გამოსარჩევი:

**ოქტომბერი მიყვარს ქართლის,
ფერთა მისთა რიარია.
სექტემბერი ადრე არის,
ნოემბერი – გვიანია.
ზოგს რომ ჰკითხო,
ვერც კი გეტყვის,
უკეთესი რომელია.
ოქტომბერი მაინც სხვაა –
ოქრო აუწონელია!**

ცალკეული სახე, ხატი, კონკრეტული სურათი, მოხელთებული საგულისხმიერო გამოხედვა – ყველაფერი ეს სამყაროს ღიმილია. ამ ღიმილებს ლექსის ფორმით გამოხატავს შემოქმედი და ამით გვიმუდავნებს საკუთარ დამოკიდებულებას ღიმილმორეული სამყაროსადმი. კიდევ მეტი: არა ოდენ თვალჩინარ, ჯერ კიდევ გამოუხატავ, სამერმისო ღიმილებსაც დასდარაჯვებია მისი მახვილი თვალი. „მე იმ ღიმილზეც მინდა დავწერო ლექსი – ახლა რომ გაგელიმება“. ამ ვითარე-

ბაში უფრო ხშირად კი არ ისმენს, არამედ ხედავს სიტყვებს, გულიდან ამოდენილთ.

ამადაც არის დამაჯერებელი მისი სიტყვები, როს აღიარებს: „კი არ ვისმენდი, ვხედავდი სიტყვებს, გულებიდან რომ ამოდის“.

და ეს ჩემი გულთბილი გამოსმაურება მინდა დავასრულო ავტორის ერთი მინიატიურის მოყვანით:

მე ამ კაბაში
მომწონხარ ძაან,
ძაან კი არა,
მომწონხარ ძლიერ.
როგორ მინდოდა
დამაღვა ამის,
მაგრამ საკუთარ
თავს ვეღარ ვძლიე.

2014 წელს გამოვიდა ნომადი ბართაიას ერთტომეული. მას ჰქვია „ლირიკა“. კოსტად გაფორმებულ კრებულს ასევე „კოსტა“ ლექსები ამშვენებს, აქ ტექსტები დალაგებულია ქრონოლოგიის დაცვით და მკითხველს შეუძლია დაინახოს, თუ როგორ თანდათან განვითარებულა, დაღვინებუ-

ლა ავტორის მხატვრული ოსტატობა. ცალკეული კარგი ასე გამოიყურება: ალვის ხეების სანახავად სოფელში ჩავალ (1970-1980), მუცოს ჭალაში მივდიოდი (1980-1990), ახლა ამინდმა მიშველოს უნდა (1990-2000), ვიღაცას ყვავილებით მოურთავს აივანი (2000-2010), ნუშები რიკოთის გზაზე (2010-2014).

კრებული იმითი არის საინტერესო, რომ აქ კონვენციური ლექსების გვერდით შეტანილია ურითმო, თეთრი, ლექსები, ასევე ვერლიბრის პრინციპით შეთხზული, 1970-იანი წლების ნაწარმოებები. უნდა შევიხსენოთ, რომ იმხანად ჩვენს პრესაში გაშლილი იყო კამათი ურითმო ლექსისა და ვერლიბრის სასარგებლოდ და ნ. ბართაიას 1970-იანი წლების ცდებიც ამ მოღურ გატაცებას გვიდასტურებს. ამგვარ შენათხზთა შორის ზოგი მართლა გამოსარჩევია. მთავარი, რაც უნდა ითქვას, ესაა: ავტორი ცდილობს რითმის ხმოვანებითა და მუსიკით არ დააბურუსოს ტექსტი, რომ სტრიქონი იყოს სუფთა, ალალი, ერთგვარად ნაიჭურიც; ყოველივე ამან კი განაპი-

რობოს თავად ტაეპის პოეტურობა. მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუში. ერთი ასეთია:

ამ გაზაფხულზე მინდა დავწერო
პატარა ლექსი აყვავებულ ატმის ჭაღაზე.
ადგილიც უკვე შერჩეული მაქვს –
მცხეთასთან ახლოს, გორის გზაზე.
შორიდან მაინც ისე მოჩანს ის დალოცვილი,
ვისაც ვაჩვენე, აღტაცება დამალა ველარ!

ამ წყების ნაწარმოებებში ალაგ-ალაგ მაინც გაკრთება ავტორის ბინიდან გამოპარული რით-მიანი ბწკარებიც. როგორცა ჩანს, ქართული ლექსი მაინც დაუინებით მოითხოვს რითმას. ეს გვარწმუნებს: საჭიროა რითმაცა და შიგნიტაეპის პოეზიაც, პოეტური დასხლეტილობაც. „გალაკტიონის სურათების“ ერთი ხანა ჩემი აზრის მოდასტურე გამოდგა:

ამ სურათში ისეა,
გეგონება, მთვრალია,
ტანზე რომ ახვევია –
შემოდგომის ქარია.

ამ გერგილიანად ნათქვამმა რატომღაც თბილისში, ვაკეში, დადგმული გალაკტიონის ძეგლი წამომავონა: ამ ძეგლსაც ქარში გაშლია ფრთები; აქაც მოვრალი და აღელვებული, დაუოკებელი გეჩვენება მგოსანი.

ვფიქრობ, ეგ პარალელი ამ ლექსის სასარგებლოდ ლაპარაკობს, ხოლო ნომადის ლექსი თავისთავად ძეგლის გამომხატველობით ძალაზე მიანიშნებს.

მაგრამ აქ წარმოდგენილი ზოგი ნიმუში დაუჩინებთ მიუთითებს: თვით თითქოსდა ისე უმნიშვნელო დეტალში, ისეთ სამკაულ-სამშვენისში, როგორიცაა რითმა, შესაძლებელია ნამდვილი პოეზიის გამოვლენა. აი, ეს საგულისხმო რითმული მიგნება. მოაგარაკე ლამაზ გოგონას ცრემლი გაუჩნდა თვალის გუგაზე:

თვალეებში ცრემლის ციმციმი,
თუ არაფერი – გიხდებათ,
რას იზამ,
სინამდვილეში
უარესებიც კი ხდება.

ექვე არაა, სართმო წყვილეული გიხდებათ – კი ხდება ამ შემთხვევაში თვითონ და თავისთავად არის ერთგვარი პოეზია, თანაც არა ნაძალადევი, ყურით მოთრეული, არამედ ბუნებრივი, ღალი და ჰაეროვანი.

ნ. ბართაიას ლექსის ერთი წრფელი თავისებურება ესაა: თითქოს არც არაფერ საგანგებო ხერხს არ მიმართავს, არც რითმას, არც მეტაფორას, არც მოულოდნელად მოქნეული სატყვარივით ცხად შედარებას, არც არაფერს, ოღონდ პოეზია მაინც იბადება, მინორულ-პოეტური განწყობილება მაინცა ჩნდება. სწორედ ეგაა ის რაღაც სხვა, რაც პროზას არ აქვს და პოეზიის მოუშორებელი თვისება და საჩინო ხიბლია:

**რა დამავიწყებს წლეგანდელ ზაფხულს,
რა დამავიწყებს თუშეთის დამეს,
ერთი ვარსკვლავიც არ აკლდა ცას და
ერთი ნამცეციც არ აკლდა მთვარეს.**

კიდევ ერთი თვისება ნომადის ლექსისა: ისე უბრალოდ მილიკლიკებს მისი სტრიქონი, როგორც ნაკადული რუსხუმლში, რომელსაც ფსკე-

რი ფერად-ფერადი კენჭებით აქვს მოფენილ-მოჭრელებული და ამ სტრიქონს ისე ბუნებრივად განიცდი, რა ბუნებრივადაც სუნთქავ ოზონით სავსე დაბურულ, უღრან ტყეში:

**არაფერი არ მომხდარა,
მეგობრებო, გარდა იმის,
რომ უეცრად მზის ჩასვლისას
მომენატრა სუნი მინდვრის.**

ჩვენი კალმოსანი ერთ სტროფს იმყოფინებს იქ, სადაც სხვა ორ ან ხუთ ოთხტაეპედს მოიხმარდა. სიტყვათა ამგვარი მომჭირნეობა თავისებური მადლია. აგერ ერთი კოლორიტული, ფრიად დასამახსოვრებელი ახალგაზრდა კაცის პორტრეტი, სულ რამდენიმე შტრიხით, ორიოდე ფერით დახატული. ამ ხანას რომ წაიკითხავ, მეგობარო მკითხველო, ეჭვი არაა, ვიდაც შენი ნაცნობი გაგიელვებს თვალწინ, მე კიდევ რამდენიმე ამგვარი ბუნების წინაშე ყინჩად მდგარი პიროვნება წარმომიდგება თვალწინ, თუნდაც მშვენიერი პოეტი შაბურა არაბული. ნომადის, შესაბამისა, შაბურა არც არასოდეს ენახოს, მაგრამ მე

ხომ მინახავს! აი, როგორ ხატავს ავდრის მი-
მართ იმის მედეგობას ჩვენი ავტორი:

**მკერდგადელილი შემხვდი ქუჩაში,
ასეც არ ვარგა, გითხრა მართალი,
პალტო – ზრდილობის გამო თუ გეცვა,
ფეხზე გეკიდა, ბიჭო, ზამთარი.**

ჩვენს სიტყვის ფალავანს უფროვე ეხერხება ინტერვალიანი რითმის მომარჯვება. მას მიაჩნია, რომ ფრაზა ამ ვითარებაში უფრო ბუნებრივი, არნაძალადევი გამოდის, რამდენადაც I და III ტაქების შეხმატკბილება არა ხდება. და რას აშავებს ჯვარედინი რითმა – თანამედროვე მო-
დური შემუსიკალურება? პრეტენზიული ავტორე-
ბი ხომ დღეს მხოლოდ ამგვარ გარითმვას უკმე-
ვენ გუნდრუკს? დიახ, ოღონდ ჩვენი მესიტყვე სა-
მართლიანად ფიქრობს: როცა ლექსი სიმარტი-
ვისკენ მიგყავს, როცა ყოველნაირად ლამობ,
მცირე საშუალებებით მეტი თქვა, მაშინ მძიმე
ფარ-ხმლითა და ჯავშანპერანგით ტაქბთა შეკაზ-
მვა მას დაამძიმებს. ამადაც თუ არის, ასე რომ
ჰგავს ამგვარი ლირიკული შენათხზი ფრთამსუ-

ბუქ ტანკას ან სპარსულ რობაის, ქართულ ხალხურ შაირს:

ხან ხერთვისი გამოჩნდება გზაზე,

ხან – თმოგვი და ხან – ვარძია.

მტკერის ორივე გაყოლება

ერთნაირად ღამაზია!

უბრალოების პოეზია – აი, რას დაეძებს და პოულობს კიდევ სიტყვის ოსტატი. ოღონდ უბრალოება ისეთია, რომელშიც სამახსოვრო რამ აზრი დევს. აზრია არა ფილოსოფიური, მძიმე და ჭრიალა, არამედ მსუბუქი და მსუბუქმქროლი, ტვინის ჭყლეტას რომ არ საჭიროებს.

მართლაც, კრებულში დახატული სურათი ნამდვილად ქართულია, ჩვენეულია, პატრიოტულ გრძნობას რომ აფაქიზებს, ისეთი. რამდენი ლექსი-სადღეგრძელო წაგვიკითხავს პატრიოტულ თემაზე. დიახ, მოგვეყრჭდა ამდენი პათეტიკა! უფრო დაბალ ნოტაზე უღერს ამგვარი მამულიშვილური სურათის სიტყვიერი გახმოვანება: სადმე გზის პირას მოხუცი თივას თიბავს. ეს ხომ ეროვნული სურათია, ჩვენი ყოფისათვის დამახა-

სიათებელი. და ჩვენც ამგვარი პატრიოტიზმი უფრო გვაღელვებს, უფრო დიდხანს გვახსოვს.

ამგვარი ყაიდის ლირიკულ ნიმუშში მთავარია ბუნებაში რაღაც მნიშვნელოვანს ამჩნევდე, იმას, რასაც სხვა ვერ ხედავს. ნომადი აღნიშნულის დახელოვნებული მძებნელია, ხოლო, ვინც ეძებს, პოვებს კიდევ! და ამის შემდგომ საკმარისია ხელის ოდნავი წაშველება და ლირიკული გნომაც ჩამოყალიბებულია. აი, როგორ მიმართავს კალმოსანი ბუნების მეგოსანს – შაშვს:

**მზე ყოველთვის ამოსულა
ერთნაირად თანაც თითქოს,
მაგრამ შენ რომ უგალობებ,
იმ მზესა აქვს სულ სხვა სიტბო.**

ჩვენს ავტორს ეხერხება მხატვრული ფიგურის ფაქიზი საჭრეთლით ამოკვეთა, ზოგჯერ კი ყვავილწუნულთა დაწვნა. ცოტნე დადიანი შორი გზიდან მოსული სტუმარია, რომელიც ისევ შორეთის გზას დასდგომია. აი, ეგ უკვდავი ფიგურაც:

**სტუმარი შორი გზის, მოულოდნელი,
მონღოლმა მიიღო, სიკვდილმა – არა!**

ამავე ტიპის ლექსია „ზურაბ ქაფიანიძეს“. აქაც მხატვრული ფიგურა იკვეთება ერთობ ფაქიზი საჭრეთლით ანთუ პინცვტით და არა ნაჯახით. აი, როგორ მიმართავს ადრესატს კალმოსანი:

**გამოხედვით წარსულიდან,
მეფურით და მდიდრულით,
გაკეთდება, ოჰ, რა კარგი
შენგან ლომის ფიტული!**

ცნობილმა მკვლევარმა პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა იმას მიაქცია ყურადღება, რომ პოეტი ფლობს გამოხატვის თავისებურ, ორიგინალურ ფორმას. ამას მკვლევარმა „სიუჟეტური ლირიკის ოსტატობა“ უწოდა: „განსაკუთრებული ყურადღება, პირველ ყოვლისა, მინდა სათქმელის გამოსახვის იმ ფორმას მივაქციო, რომლითაც ნომადი ბართაიას ლირიკული ჩანახატები მკვეთრად გამოირჩევა როგორც წინამორბედი, ისე თანამედროვე ავტორთა პოეტური ტექსტებისაგან. ამ ორიგინალობის არსებითი განმაპირობებელი ფაქტორია ის, რომ თავისი პოეტური ჩანახატებით ნომადი ფრამენტული სიუჟეტური ეპიზოდების პოეტიზებით ცდილობს,

მკვეთრად ორიგინალური ფორმა იპოვოს. ალბათ, სულაც არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ აზრის გამოხატვის ამდაგვარი ფორმა, რაც კიდევაც განსაზღვრავს ჩვენი ავტორის პოეტური შემოქმედების სტილურ თვითმყოფადობასა და მკვეთრად ინდივიდუალიზებულ ხასიათს, ესოდენი მასშტაბით დღემდე მოღვაწე არც ერთი ქართველი პოეტის შემოქმედებაში არ ყოფილა გამოვლენილი“, – წერს პროფ. ა. ნიკოლეიშვილი.

ნომადის მახვილი თვალი აქვს, ოღონდ ამ სიმახვილეს წვერს უთლის და უმახავს გონება, მწერლური ალლო და გეზი. უამთვისებებოდ ვერ დაიწერება ასეთი ქართული ტანკა („გოგონა ქუჩაში“):

**კი არ იღიმოდა,
სახე უღიმოდა –
მობილურზე კრებდა
ნომერს, ულამაზესს.**

ამ ტაეპების უკან და მიღმა ქვეტექსტი იგულისხმება, უფრო მთავარი მოიაზრება, ვიდრე ითქვა და გამოიხატა. ამ ყაიდის ლექსები სხვაც არაერთი შეუთხზავს შემოქმედს. აგერ კიდევ ერთი ნიმუში:

გაჩერებაზე
სოფლის ავტობუსს
ელოდებოდნენ
თათრის ქალები,
ყველა რაღაცით
იყო გართული,
ერთს სევდიანი
ჰქონდა თვალები.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი. სადაც
– ერთი, იქ – მეორეც:

ლილოჭრილო რომ
არ ერქვას ამას,
ვინ დამასწრებდა
დარქმევას მისთვის!

ჩემი შეფასებით, ერთობ საინტერესო, პირ-
დაპირ საკომპოზიტორო ქმნილებაა „ვინც არ უნ-
და იყოს იგი“. ტაეპი აქ თითქოსდა მღერის და
ერთობ იოლი უნდა გახდეს ამ ტექსტზე მუსიკის
შეწყობა:

ვინც არ უნდა იყოს იგი, –
მნგრეველი თუ მშენებელი,

**ყველა მათგანს უნდა ახლდეს
გვერდის დამამშვენებელი.**

2019 წელს გამოსულ კრებულში „მე ისიც მიყვარს, მინახავს ვინც არ“ ავტორისეული წერის მანერა კიდევ უფრო გაძლიერდა და გამყარდა. ამ კრებულში კიდევ უფრო გამოიკვეთა და გამყარდა **ქართული ტანკა**. თუშებზე, მაგალითად, ნათქვამია: „იმდენი აქვთ ვარსკვლავები, სად წაიღონ, არ იციან“, ხოლო ოთარ ჭითანავას ასე ეუბნება ავტორი: „შინა ხარ თუ გარეთა ხარ, სიმშვიდეა ყველგან ღომის“. ნ. ბართაიას არაერთი იაპონური ტანკა გადმოუენებია. ამ ფორმასთან კარგი ნაცნობობა მუდგენდება შაშვის ლექსშიც: „ნუცუბიძეზე ერთი შაში მყავს, არ მოჰკლებოდეს ღვთისგან წყალობა; კარგა ხანია, ხმაზე ვცნობ უკვე, ექვსის ათ წუთზე იწყებს გალობას!“ ამ ტიპის ქმნილებისათვის სილამაზისა და პოეზიის აღმოსაჩენად სრულიად საკმარისია საკმარისის მინიმუმი და მისი შემჩნევა: „მახსოვს სცენა ჩემი სოფლის კლუბის, წვიმასავით შეწყობილი ხმები“. „წვიმასავით შეწყობილი ხმები“ – ძალზე საინტერესო და

ფრიად ორიგინალური შედარება. მგონია, ამ კრებულის გამოცემას მარტოდენ ეს პოეტური აღმოჩენაც კი ამართლებს! მაგრამ ეგ წარმატება მარტო არ არის. მას მხარს უბამს მეორეც: „კი არ ბერდება, ღვინოსავით ძველდება იგი“.

კრებულის ბოლოს ავტორი ინსტინქტურად ამუღავნებს საკუთარ სათქმელს, რომელიც მისი პოეზიის არსსა და ღვრიტას გამოხატავს. იგი წერს:

**გვაგდი ომარ ხაიამის
მოტივს წამზე დაშურების.**

მართლაცდა, წამიერსა და წამის რადიუსში შემჩნეული მარადისობისა და მარადიულის მაძიებელია ჩვენი ავტორი და ეგ ნათქვამი თითქოსდა ლამაზ წერტილს უსვამს მითითებულ ლექსთა კრებას.

2020 წელს გამოსულ კრებულს სათაურის ქვეშ მიწერილი აქვს საგულისხმიერო სიტყვა **მინიმები**. ვფიქრობ, კარგად შერჩეული და აუცილებელი ტერმინია იმ ყაიდის ლექსებისათვის, როგორებსაც ქმნის ჩვენი სიტყვის ფალავანი.

მცირე მოცულობის პოეტური კრებული „სახელი მაინც ვიცოდე მისი“ ახალ მინიმებს გვაზიარებს და აგრძელებს იმ გზას, რომელსაც ავტორი თავიდანვე დაადგა: მცირე ფორმით გამოხატოს დიდი სათქმელი, განცდათა ჯერ კიდევ შეუმჩნეველი ნიუანსები. მასსოვს ვიდაცის ნათქვამი: ტალანტი სწორედ ნიუანსებში იმალებაო. მარტივად თქმის ხელოვნებაც ხელოვნებაა და, მგონი, აქ ჩვენს მელექსეს ბევრი ვერ შეეძაროს. ამავე დროს, როგორც სახელმწიფო პრემიის ლაურეატი სოსო სიგუა აღნიშნავს, „მან თავის ლექსებში გააერთიანა ღირიზმი და კომიზმი, მოულოდნელობის ეფექტი და დრამატული განცდა, მახვილი დაკვირვება და ნაივური აღქმა“. ამასობაში „ნელ-ნელა“, თანდათან, შეუმჩნევლად, თითქოსდა თამაშით შექმნა ორიგინალური პოეტური სამყარო, რომელიც მართლაც არავის არა ჰგავს და ნამდვილად გვაგვებს ადამიანური განცდებით, სიტბოთი და სიყვარულით“.

მართლაცდა, განა რომელ ტანკას ან რობაის არ გაუწევს ღირსეულ მეტოქეობას ეგ ქმნილება:

სათქმელს ლექსში ველარ ვატევ,
არშიაზე ვხატავ იებს;
მაგრამ იის სურნელებას
ვინ დახატავს, ბედნიერი,
ანდა შენი გამოსხედა
ენით გამოითქმის განა?!

თუ გულწრფელი სათქმელი გაწუხებს, რა
საჭიროა სულის წრიახი, ენის გრესა და კუნთე-
ბის თამაში? ბუნებრივი მეტყველებით ყველაფე-
რი გამოითქმის, ზოგჯერ კი უფრო მეტიც, ვიდ-
რე ავტორი გულისხმობს. აგერ პირველივე ნიმუ-
ში ამ კრებულისა, გულის ნათელს რომ გიპოვის
და ბუნების მშვენებას გაზიარებს:

არ ვიცი,
როგორ გადავუხადო
მადლობა,
რისიც ის არის ღირსი;
რა ჩიტი იყო,
გალობდა როგორ,
სახელი მაინც ვიცოდე მისი!

ეს ერთგვარი იმპრესიონისტული ჩანახატია,
რომელიც მკითხველს აიძულებს, თავადაც ჩაე-

რიოს მოშაირის ნაფიქრში და მისი ნააზრევი განავრცოს, გააგრძელოს. სურათის ბოლომდე დასრულება კი არაა სავალდებულო. სწორედ ამგვარ ფიქრზე გაყენებს „ზაფხული“.

**არაფერი მომხდარა,
მეგობრებო, გარდა იმის,
რომ უეცრად
მზის ჩასვლისას
მომენატრა
სუნი მინდვრის.**

სწორედ ისეა, როგორც იაპონურ საბაღო მშენებლობაში: წალკოტი ისეა მოწყობილი, გეჩვენება: მშენებელ-დეკორატორები ეს-ესაა წასულან დასასვენებლად, მალე ისევ გამოჩნდებიან და საბოლოო სახეს მისცემენ დაუმთავრებელ ბაღჩასო. სინამდვილეში კი არავინ მოვა: თავად მხილველმა თავისი ფანტაზიითა და გამომგონებლობის უნარით უნდა დაასრულოს დაწყებული სამუშაო და ამ საქმეში ავტორს კაჭკაჭებიც კი უწყობენ ხელს:

**როგორ უყვართ გზისპირები,
ვეღარ აღწერს კაცის ენა:**

**გომთან ახლოს,
ქართლის გზაზე,
გადაფრენა, გადმოფრენა.**

აღნიშნული სტილის პოეტს იმისი დრო და სივრცე არა აქვს, კონკრეტულად და რეალისტურ-ნატურალისტურად აღწეროს ლამაზი პეიზაჟი და ამით გაგაოცოს. არის შემოვლთი გზაც და ასეც შეიძლება შთაბეჭდილების შექმნა, მკითხველზე წარუშლელი ზემოქმედების მოხდენა:

**სუფსაში გინდა, რა გავიფიქრე?
მკითხველო ჩემო,
იმასაც გეტყვი:
პოეტი რომ ვარ, კარგია, მაგრამ
რატომ მხატვარი არა ვარ-მეთქი!**

მაშ, იმპრესიონისტი უფრო მოკლე გზებს დაეძებს, პოულობს კი უფრო შორეულ პარალელებს, ოღონდ ყველაფერი ეს დაკუმშულ სტროფად ყალიბდება:

**თანდათან წყდება წელში მარტი,
თუ დამიჯერებთ,
ხმაც მესმის წყდომის.**

**საცაა მოვა აპრილიც ახლა,
ვიდაცას კიდევ უნახავს, მგონი.**

მაშ, ასე: ჯერ არც კი დამდგარა აპრილი, ოღონდ ვიდაცას, ჩვენს ავტორზე უფრო ძლიერი პოეტური ხილვების მქონეს, უკვე უნახავს კიდევ. სიზმარში ხომ არა, ხილვებში ხომ არა?

ერთი სიტყვით: ამ კრებულის წაკითხვა ცოტა დროს ითხოვს, სამუქფოდ, ფიქრს ითხოვს გაცილებით მეტს; მაშ, მიაქვს ცოტა, მოაქვს ბევრი. რაც მთავარია, ნებისმიერი სტროფი, ნებისმიერი ტაეპი მორჩილია, ელასტიურია. სწორედ ისეა, როგორც ერთ მინილექსშია ნათქვამი:

**რა კარგი შედარებაა,
ყველაფერს უნდა გამგონი:
აბრეშუმით ნაზია,
აბრეშუმით დამყოლი.**

ამრიგად, აღებული პოეტური კურსი გრძელდება, მიგნებული ორიგინალური სტილი (არავის მსგავსი) ძლიერდება და მყარდება. სწორედ ეგაა შემოქმედებითი ინდივიდუალურობის დასტური.

ზემოთქმული საშუალებას იძლევა, დავასკვნათ:

ნომადი ბართაია ქართულ შემოქმედებით სამყაროში ჩამოყალიბდა ორიგინალური სტილისა და ფორმის პოეტად, რომელსაც საკუთარი პოეტური მონეტა მოუჭრია. მის სტილს ყოველი გურმანი მკითხველი ცნობს, რაც მთავარია, იგი ინტერესით ელოდება მის ყოველ კრებულს და ყურადღებით კითხულობს კიდევაც. მკითხველის ამ დაინტერესებასა და მისდამი ფაქიზ დამოკიდებულებას რომ გრძნობს, ჩვენი ავტორიც მეტის დაფიქრებითა და პასუხისმგებლობით ეკიდება ყოველი მომდევნო კრებულის შედგენას. ამ დაფიქრების საკეთილო შედეგია ის, რომ ყოველი მომდევნო კრებული მოცულობით მცირდება, ხოლო მხატვრულ-ემოციურად დიდდება.

ჩვენი კალმოსანი საყმაწვილო ლექსებსაც წერს, აქაც სცადა კალამი და არცთუ ურიგოდ. საინტერესო გამოვიდა 1991 წელს შედგენილი კრებული „მეც გამიშვით სკოლაში“. ფრიად ორიგინალურია წიგნის აგებულება: პირველი ნაწარმოები აღწერს სასწავლო წლის დადგომას. მას ეწოდება ასე – „სასწავლო წელი დაიწყო“, საგულისხმოა პირველი და მესამე სტროფები:

რა კარგი დილა გათენდა,
რა საამური დარია;
ლამაზი გოგო-ბიჭები
სკოლისკენ მიიჩქარიან.
მიდიან, მიიჩქარიან,
მიდიან ერთი პირობით:
რომ ასახელონ სამშობლო
სწავლით, შრომით და გმირობით.

მცირე ასაკის სხვადასხვა ორფეხნი დაინახავენ, რომ ყველა სკოლაში მიდის და თვითონაც მოუნდებათ სკოლაში წასვლა. გახარებული დედიკოები და მამიკოები მათ სასწავლად უშვებენ, მაგრამ მოსწავლისთვის შეუფერებელი საქციელის გამო სათითაოდ აბრუნებენ უკან. აი, თუ რატომ არ შეუშვეს კლასში ღრუტუნია:

– ღრუტ-ღრუტ! ღრუტ-ღრუტ! – ღრუტუნებს
ღრუტუნია ღრუტუნა,
მეც მინდაო სწავლა,
დედას ჩაეხუტუნა.
გაიხარა დედიკომ,
გაიხარა მამიკომ,
ღრუტუნიას ამბავი
უნდათ, ყველამ გაიგოს.

მოიტანეს წყალი,
მოიტანეს საპონი,
ვეფები, რაც მე ვნახე,
ამბავს – არა გაგონილს.
ხეხეს, ხეხეს ღრუტუნა,
საპნის ქაფში გახვიეს.
წურეს, წურეს, კინაღამ
ყურები აახიეს.
ჩემს მტერს, ბანაობაში
რაც ღრუტუნას გარდახდა;
მერმე გაუუთოვეს
მას პერანგი, ქათქათა.
ჩაულაგეს ჩანთაში
რვეულები, წიგნები.
ღრუტუნია იბახის:
„სანიმუშო ვიქნები!“
მიდის ღრუტუ სკოლაში
სუფთა, კოხტა, კრიალა;
ვეღარ სცნობენ ტოლები,
გამოცვლილა მთლიანად.
მაგრამ ღრუტუმ უეცრად
ტლაპო ნახა თუ არა,
დაუბნელდა თვალები,
გვერდი ვერ აუარა.

რა ყოფილა ღრუტუნა,
ვერ გაიგებ, რა მოსდის,
ჩანთიანად გემოზე
გადაეშვა ტლაპოში.
ჰა, მივიდა სკოლაში,
ჰა, მივიდა და უკვირს,
ყველა ღრუტუს დასცინის,
ყველა ღრუტუს გაურბის.
რაც მას იქ დღე აყარეს,
მოსაყოლად არა ღირს...
კლასში ვინ შეუშვებდა
ამოგანგლულს ტალახში!

ასე და ამგვარად, თუ ღრუტუნია უსუფთაობის გამო გააძევეს სკოლიდან, მურიკელას იმად ამოჰკრეს პანდური, რომ ყველას უღრენდა; ჩოკინას – იმიტომ, რომ შუა გაკვეთილზე დაიყროყინა; ჟირაფს – იმიტომ, რომ სულ ზოლებიანი ჩაეცვა; ბუს – იმიტომ, რომ სულ გაბუსული იჯდა და ხმას არ იღებდა; მელას – იმიტომ, რომ მის მიერ ნაქურდალმა მამალმა ჩანთიდან ამოყო თავი და შუა გაკვეთილზე დაიყივლა; კაჭკაჭს – იმიტომ, რომ სულ ჭარტალებდა და ა. შ.

მაშ, ქარგა ერთია, ოღონდ სკოლიდან გამოძევების მიზეზი თვით ამა თუ იმ ცხოველის ბუნებაში იმალება. ამით პატარა მკითხველი ეცნობა მათ ბუნებას, დამახასიათებელ თვისებას. ყოველი ამბავი ბალადასა ჰგავს. ამიტომ ორი სტროფი ყველგან ერთნაირია, რომ მოწაფე სანიმუშო იქნება. თავად ამბის ერთ თარგზე აწყობა და გამეორება ეფექტიანია, რამდენადაც დამახასიათებლებს აადვილებს. ფაქტობრივად გამოდის, რომ მთელი წიგნი ერთ ამბავზეა აგებული, ოღონდ სკოლიდან პაწია ცხოველების გამოყრის მიზეზია განსხვავებული.

ეგ ხერხი, ეგ მიგნება რომ ერთობ საინტერესო და ორიგინალურია, ამას მოწმობს ერთი საყურადღებო ამბავი:

ირანელი მკვლევარი მოდაბერი თბილისში, ხელნაწერთა ინსტიტუტში, სპარსულ ტექსტებზე მუშაობდა. ერთხელ ნომადი თავის დაქირავებულ ბინაში დაპატიჟა. იქვე იყვნენ მისი ნორჩი შვილები. ნომადიმ და ბავშვებმა საერთო ენა მაღე გამონახეს. სტუმარს ჩანთაში ედო ხსენებული კრებული და სპარსულად უთარგმნა ერთი მათ-

განი. პაწიები აღტაცებული დარჩნენ. თვით ბატონ მოდაბერისაც ერთობ მოსწონებია ტექსტები. მან სთხოვა სტუმარს, ახლავე გამიკეთე სპარსული ბჭკარედები და, ირანში რომ ჩავალ, ჩემს უფროს ქალიშვილს ვათარგმნინებო.

რამდენიმე წლის შემდეგ სტუმარ-მასპინძელი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. თურმე ეს წიგნი ირანში მალევე უთარგმნიათ და ცალკეული ლექსები ინტერნეტს მოსდებია. კიდევ მეტი: თეირანის საბავშვო გადაცემათა რედაქციას ფილმიც კი გადაუღია ამ წიგნის მიხედვით.

ავტორმა ინტერნეტის საშუალებით მალევე ნახა მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული მისი წიგნი სპარსულად – „მადრასეიე ჰეივანათ“. მალე ირანიდან წიგნის რამდენიმე ეგზემპლარიც ჩამოუტანეს, რომელშიც რატომღაც ავტორის დასახელება „გამორჩენოდათ“ (ნ. ბართაია, მხიარული ავტობიოგრაფიული ჩანახატები, 2019, 11).

აი, რა საინტერესო ამბავი გარდახდა თავს ნომადი ბართაიას პირველ საყმაწვილო კრებულს.

მეორე კრებული „ღრუტუნის გასაჭირი“ გამოვიდა 1995 წელს. პრინციპი აქაც იგივეა: ყველა ცხოველს თავისებური გასაჭირი ადგას და ექიმის ხელი სჭირდება. დათუნია შინ მარტო დაუტოვებია დედას. იმასაც ასანთი უნახავს და სახლი მთლად გადაუწვავს, თავადაც გატრუსულა. ექიმმა მაღამო წაუსვა, ბოლოს ნემსიც გამოუწერა:

**თავის ზომა აუღეთ,
ორზე გადაამრავლეთ,
ნემსი ზუსტად იმ ზომის
გაუკეთეთ ახლავე!**

მგელუნის ცხერის შეჭმა ეწადა, მაგრამ კომბალი სდრუხეს. ექიმმა თაბაშირი დაადო, ბოლოს ბრძანა:

**კბილის ზომა აუღეთ,
ორზე გადაამრავლეთ,
ნემსი ზუსტად იმ ზომის
გაუკეთეთ ახლავე!**

კვიცმა დედას არ დაუჯერა, ტყის პირზე გაიკუნტრუშა, სადაც მგელმა დაკბინა. მკურნალმა მაღამოც წასცხო და ფეხის ზომაზე დიდი ნემსი გაუკეთა.

ბეკეკას ჩხუბი მოსვლია მეორე ბეკეკასთან და რქებით რქებზე დაჯახებისას თავის ქალა გაბზარვია. წამლობის შემდეგ იმასაც ნემსი ატაკეს. ასევე თავ-თავიანთი გასაჭირი აწუხებთ მელიას, იხვს, ღრუტუნიას, მურიასა და სხვათ.

ყველას – მაღამო, ყველას – წამალი და ბოლოს – ნემსი!

აქაც პაწიებისათვის ნათელი ხდება, თუ რა სიცელქეს რა გასაჭირი მოსდევს და რომელ ცხოველს რა ახასიათებს, რა საქციელს ავლენს იგი.

სპარსეთში მომხდარი საინტერესო ამბავი გვარწმუნებს: ამ წიგნებს ბავშვების გათვითცნობიერება და განვითარება, ამავე დროს, შექცევა-გართობაც ძალუძთ.

მხიარული ავტობიოგრაფიული ჩანახატები

შესაძლოა, მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში ასეთი ჟანრი კიდევაც იყოს გამოყენებული და მე არ ვიცოდე, ოღონდ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ჩვენში გამოსახვის ამ ფორმას პირველმა მიაგნო და მოიმარჯვა ნომადი ბართაიამ და ამაში მას დაეხმარა ერთი გარემოება: მწერლობაში ფეხის შემოდგმისთანავე ის მოხვდა ზაურ ბოლქვაძისა და სხვა ნიანგისტების წრეში. სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“ რუსული „კროკოდილის“ წაბადვით დააარსეს საქართველოში და კარგი საქმეც გააკეთეს. ტყუილუბრალოდ არ უთქვამს დ. გურამიშვილს: „კარგსა საქმეზედ წაბადვა არა-რა საძრახისია“. არადა, ჩვენში გასაკრიტიკებელ-გასაკმარავსა და საღლიცინოს რა გამოლევდა და გამოლევს: მანკიერებანი თავზე გადაგედის და გადმოგედის. და აი, ამ „მოსიცილეთა“ წრეში მოხვედრილმა ახალბედა კალმოსანმა სატირული საწერელი „გააფხავიდის“, თითქმის ყოველ ნომერში აქვეყ-

ნებდა მამხილებელ-განმაქიქებელ მასალას, თვითონაც სწავლობდა და სხვასაც ასწავლიდა იუმორისტული ჩანახატების, ესკიზების, იუმორესკების შეთხზვას. მაგრამ სულ სხვა სფეროა, გამორჩეული იუმორისტული უბანია მხიარული ავტობიოგრაფიული ჩანახატები, ვინაიდან აქ აღწერილი არიან ჩვენი კულტურისა და ლიტერატურის ცნობილი მოღვაწენი. ამიტომ მათს თავს გადახდენილი სასაცილო მომენტები კიდევ ერთხელ, უკვე სხვა რაკურსით, გვიჩვენებენ და გვისურათხატებენ ამ პიროვნებებს. მაშასადამე, იუმორისტული ავტობიოგრაფიული ჩანაწერები გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიებსაც გადმოგვცემენ, ამ პირთა ხასიათს, ავანჩავანს გვამცნევენ, გვიხსნიან მათს ბუნებას, ხასიათს. მაშ, გარდა **იუმორისტულისა**, ამგვარ ჩანაწერებს **ისტორიული ღირებულებაც** აქვს.

ახლა გამოწვლილვით განვიხილოთ „ორგემაგე“ მნიშვნელობის მქონე ეგ შენათხზები.

აქვე დავსძენ: ავტორმა ჯერხნობით მოასწრო ამ მასალათა ოთხი წიგნის გამოცემა და, თუ მე მოხოვდნენ სამიოდე სიტყვით ზოგადად

დამეხასიათებინა ისინი ანდა, უკეთ რომა ვთქვათ, მათზე სამი სიტყვის ტვიფარი დამედო, ებ ტვიფარი ასეთ სახეს მიიღებდა: **სვედის წინა მხარე.**

ვზივარ ჩემი მშობლიური სოფლის სახლის აივანზე. აქ საწერი მაგიდა მიდგას. თუმცა კი აზიურმა ფაროსანამ მცენარეთა სისხლი შესვა და თხილის მოსავალმა თავი დაგვიკრა, ირგვლივეთი მაინც მწვანედ ხასხასებს და თავს დამგურგურებს ჩემი სატრფო – გურული ზაფხული. აგვისტოს ნათელი აივანზე პირთამდე მოღიავებული კარ-ფანჯრებიდან ბზიკსა და ფაროსანასთან ერთად მოძვრება და სინათლით ავსებს ყოველივეს. ბზიკსა და ფაროსანას ბუზის საკლავი სატკაცუნათი ვებრძვი და აგვისტოს ნათელს მივესალმები. სწორედ აგვისტოს კაშკაშა სინათლითა და სიკეთით არის აღსავსე ეს წიგნიც, ამჟამად რომ ვკითხულობ; ვკითხულობ ნება-ნება, დაგემოვნებით. „ინტელექტის“ მიერ გამოცემული ნომადი ბართაიას „მხიარული ავტობიოგრაფიული ჩანახატები“, როგორც სახალხო მწერალი რევაზ მიშველაძე ბრძანებს, „გადაამდე-

ბი სიცილით“ არის დამუხტული და მე ვერავინ მიჩვენებს ადამიანს, მხიარულებას სევდა ერჩიოს, ტირილი – სიცილს, თუ ნიზამისა და რუსთველის სატროფოდაკარგული გმირის ტრაგიკულ მდგომარეობაში არ არის ჩავარდნილი.

თავს გადახდენილი, მოსმენილ-გაგონილი თუ ვისიმე მონათხრობი მწერალს ცალკეულ კარებად დაუჯგუფებია: სოფელო, ჩემო სოფელო; შენ გიმღერი, ჩემო თბილის ქალაქო; ირანული ჩანახატებიდან; რა ლამაზია თუშეთი; ხეგსურული მოტივებიდან; სხვადასხვა. ზოგი ჩანახატი (ძალიან მცირე) ადრეც გამოქვეყნებულა; უმეტესობა კი ახალია, „ჯერთ უწვერული“, საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი.

ავტორი ცნობილი მწერალია, დიდებული მთარგმნელი და მეცნიერი, ნაზიარები უკვდავი სპარული პოეზიის ემსსა და მარილს. ამიტომაც დეტალში მხატვრულის შემჩნევის უნარიც შესწევს და იმისი ნიჭიც აქვს, ეგ შემჩნეული შესაბამისი ოსტატობით დაგვანახვოს, გვიჩვენოს, საჭიროებისას დაგვიწიგნოს, აგვიხსნას და განგვიმარტოს კიდევაც.

აგერ ღირსშესანიშნავი ამბავი – უფულო და ღარიბი ქვეყნის მწვრთნელი იძულებულია, თავის სპორტსმენს მომხრე აუდიტორია არყის ჩამორიგებით შესძინოს: „დავაი, ჩოლა!“ – ასე სკანდირებდა მთელი დარბაზი. „ჩოლამაც“ არ გაუმტყუნა იმედი ძალად მაცხონე გულშემატკივარს და ევროპის ჩემპიონად დაუბრუნდა საქართველოს. „სხვა რა გზა მქონდა, – იმართლებდა თავს მწვრთნელი, – ყველას მთელი არმია ჰყავდა ჩამოყვანილი გულშემატკივრებისა, მე კიდევ უსახსრობის გამო ის ბავშვიც ძლივს ჩავიყვანე შეჯიბრებაზეო“ (10).

მე რეალიზმის მოთაყვანე გახლავარ. რეალისტის მთავარი იარაღი კი შედარებაა. ჩემი ფიქრით, იგი უნდა იყოს ნათელი, როგორც აგვისტოს შუადღე, მოულოდნელი, როგორც მოწმენდილ ცაზე ქუხილი, და ახალი ცოდნის მომწოდებელი. ასეთი შედარების მიგნება მთელ კარგ მოთხრობას მირჩევნია. ვფიქრობ, სწორედ ასეთია ის შედარება, მე რომ თვალი მომტაცა: „ბებიანემის კაბის კალთას ღობიოს ფოთოლივით ვიყავი მიწებებული“ (12).

ეს სწორედ იმ ტიპის შედარებაა, ერთგვარ ცოდნასაც რომ იძლევა.

სალიმილო და სიცილის მომგვრელი, შესაძლოა, იყოს ცალკეული გამოთქმაც, ოღონდ უფრო ეფექტურია ამბის მსვლელობიდან გამომდინარე სიტუაციური სატირა და ირონია, იუმორი. სწორედ ამას ვხედავ, როცა ვკითხულობ: „იმდენი სისხლი, რაც მე და შურკას სონიას ცოცხალ ღობეებში საზამთროსა და ნესვისთვის ძრომი-ალში დაგვიღვრია, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში რომ დაგვეღვარა, დღეს ჩვენი ქვეყანა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა“ (16).

შეუმცდარი წინასწარმეტყველის, ჯურუს, ამბავიც იუმორის მსუბუქმქროლი ჭინჭრით არის შეფუცხუნებული: „ბაბა, ისე აფოფინდა აბედათიდან ღრუბლები, ხვალ ან იწვიმებს, ან არაო. არავის ახსოვს, ჯურუ ოდესმე შემცდარიყოს: მართლაც, მეორე დღეს ან იწვიმებდა, ან – არა“ (21).

ყოველთვის მიკვირდა, გურია-სამეგრელოში უწინ რად იწყებოდა ქორწილი გვიან ღამით.

ამისი ერთი ახსნა ვიცოდი, მეორე – არა. თურმე „ნაშუადამევს იმიტომ იწყებოდა ქორწილი, რომ მექორწილებს თავზე დასთენებოდათ და დღის სინათლეზე გასდგომოდნენ შინის გზას, რადგან ღამე, გარდა იმისა, რომ გადაადგილების შესაძლებლობა შეზღუდული იყო, ეშმაკისეულად მიიხნეოდა“ (30).

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ხანაში ძნელი იყო გეპოვათ სოფელი, რომელსაც ერთი ძველი სატვირთო მანქანა მაინც არა ჰყოლოდა და ეს არ ყოფილიყო „პალტარატონკა“, ხოლო მისი მძღოლი კიდევ საყოველთაოდ პოპულარული არ გამხდარიყო, როგორც გასმენილი კაცი (რაიონულ ცენტრში ხშირად უწევდა ჩასვლა და ლოკალური ვაკუუმის გარღვევა) და რომელსაც არა ჰყოლოდა „პომოშნიკი“. გურიაში, ძიმიტში, მას „პოპოშნიკს“ ეძახდნენ.

ამ წიგნში ეს ვითარებაც დასურათდა და ფრიად გავიხარე, რომ გახუნებულ ყმაწვილურ სურათს ხელმეორედ შევეყარე (34). აგერ კიდევ საგულისხმო ამბავი: სკოლის მოწაფემ რაიონულ გაზეთში პირველი კოსმონავტიკის გაფრენის გამო

ლექსი დაბეჭდა. დირექტორმა საგანგებო საზეიმო კრება გამართა. „კოსმოსში რომ გაფრინდა ადამიანი, მაშინაც კი არ მოუწვევია დირექტორს საერთო კრება, მაგრამ გამართა იგი მაშინ, როცა მისი სკოლის მოსწავლემ ლექსი გამოაქვეყნა“ (36).

თითქოსდა უცნაური, პარადოქსული ამბავია, ოღონდ მაინც ყველა დამეთანხმება: დირექტორი ცამდე მართალია!

ამ ამბავმა შორეულად „ლოტე ვაიმარში“ მომაგონა და, თუ რატომ, მეგობარი მკითხველი იოლად მიხვდება...

ამის ფიქრში რომ ვარ, მოულოდნელად რკინის ჭიშკრის ჭრიალი შემომესმა. აივნიდან გადავიხედე. ქალაქიდან სოფელში ჩამოსული ჩემი ქალიშვილის „ჯიჰმა“ ეზოში შემოიბუზღუნა. ჩავედი, მივეგებე და, საწერ მაგიდას რომ დავუბრუნდი, შევნიშნე: პირველი კარედის კითხვა ჩამითავრებია და მეორე ნაწილს მივდგომივარ, სადაც ქალაქური ამბებია აღწერილი.

წელან მოგახსენეთ: ერთი კარგი შედარება ცოლის მზითევს მირჩევნია-მეთქი და, აი, ამ ქა-

ლაქური ჩანახატის ერთ ადგილას აღწერილია, თუ როგორა დგას სახელგასმენილ აკადემიკოსთა შორის პირველკურსელი, „ჯერო უწვერული“ ირანისტი, თავი რომ არაფრით გამოუჩენია. არადა, ერთად შეყრილან ზეპურნი მამანი სოფლისა ქართლისანი: არნოდდ ჩიქობავა, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი, ვალერიან გაბაშვილი, იუსტინე აბულაძე, სერგი დანელია, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე, სერგი ჯიქია... „შეიკრა დიდი წრე, ვდგავარ ამ ბუმბერაზთა შორის თავში კეტიარტყმულ ჩოკინასავით. ხან ერთს მივაფუილებ სიგარეტის ბოლს, ხან – მეორეს“ (41).

მე რომ კაცმა მკითხოს, „მეგონა მეგრული ვიცოდი“ არის ნოველა, ყოველ შემთხვევაში, ამ უანრის ქმნილებასა ჰგავს. აქ ნაჩვენებია: რაც უნდა კარგად იცოდე ესა თუ ის ენა, ამ ამოუშრობ ოკეანეში მაინცა რჩება რაღაც ისეთი, რაც, შესაძლოა, არ იცოდე. ჩვენს ავტორს კი არა სცოდნია, რომ მეგრულად „სიტყვა“ ნიშნავს ენას. ამიტომაც, როცა შუშმა მეგრელებმა განათლებულ ინტელიგენტსა ჰკითხეს, რამდენი

„სიტყვა“ იციო, იფიქრა, სპარსული ლექსიკის ჩემული მარაგი აინტერესებთო და მოკრძალებული ციფრი დაუსახელა – ოთხასიო!

ატყდა ხარხარი და სატევარივით აელვარდა აღმაცერი გამოსხედვა.

დიდი ეჭვების გორგალი მაშინ გაიშალა, როცა ძლივს მიხვდა, რომ „სიტყვა“ ენასა ნიშნავს.

„ბიუსტის“ წამკითხველი უჩემოდაც მშვენივრად დაასკვნის, ეგ არის მშვენიერი ნოველა; მან მე შორეულად და ახლოურად ჩეხოვის „ხელოვნების ნაწარმოები“ მომაგონა. აქ არის ერთი ხატოვანი ადგილი, რომელმაც დამარწმუნა: ჭეშმარიტი ლიტერატორი კარგი რითმისათვის საკუთარ ჯილაგსაც კი გაწირავს. ზეზვა მედულაშვილი გამოჯანდრული კახელი გახლდათ. ნოველის ერთ-ერთი პერსონაჟი ისიცაა: „კაბინეტში ზეზვა მედულაშვილი შემოიჭრა.

საცა კი ნახო კახელი,

ხრამთან მიიყვა, ჰკა ხელი!..

მაჯახა საკუთარი ახალი კაფია, სადაც ძლიერი რითმისათვის ასე უღვთოდ გაეწირა თავისი სისხლი და ხორცი...“ (52).

ასევე თითქმის ნოველის სიმაღლეს უტევს „ჩემო ჩიტი“.

„ჩანახატებში“ ალაგ-ალაგ გაკრთება ფერ-მკრთალი აჩრდილები დაუვიწყარი ევგენი ბართიასი, აწ უკვე მონატრებული კოლორიტის სოსო ბუხაიძისა. სათაურიც რომ არ მიგანიშნებდეთ, მეტყველების ბუხაიძისეულ მანერას ამ დიალოგითაც იცნობთ: „იმერელს რავა მევიყვან ცოლად – იმერელი ჩემი თავი მეჯავრება!.. მეგრელს რაფრა შემოვუშვებ სახლში... ჩემს მტერს გურული ქალი ოჯახში... რაჭველი არ მისხუნოთ!.. კახელი არ გამაგონოთ!.. აჭარელი არ მიჩვენოთ!“ (64)

ბევრს რასმე საინტერესოს შეიტყობს ჩაძიებული მკითხველი ქორწილისა და თამაღობის, სმურების წესზე დასავლეთში, სახელდობრ, გურია-სამეგრელოში (89).

ჩვენს ავტორს ძალუძს, ორიოდ სიტყვით ზედმიწევნით დაგვიხასიათოს პიროვნება.

ჯემალ ცერცვაძე გახსოვთ?

აი, რა ოსტატურად იხატება მისი პორტრეტი: „უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსის წინ დგას ერთი ტიპი, შუააზიური იერსახისა: არც მთლად უზბეკი და არც მთლად ტაჯიკი, რაღაც ამათი ნაჯვარი; მშვენიერი ღიპი აქვს და აზიური სახე, ზედ აზიური ფერიც ადევს.. ჯემალს მეტად ვეღარ გაეძლო უცხოობაში და სამშობლოში დაბრუნებულიყო. ზაურ ბოლქვაძეს ეანგლა: – ჯემალი თვრამეტი წელი ტანჯვიკეთში იყო“ (120).

ზაურ ბოლქვაძის ხსენებამ კარგ ხასიათზე დამაყენა, ისე კარგ გუნება-განწყობილებაზე, რომ მომინდა აივნიდან ბაღში გადამეხედა და ვარდისფერი ვარდის მშვენიება კვლავ მეხილა.

რა კარგია, როცა ზოგიერთი მოღვაწის ხსენება სილამაზის ხილვას მოგანდომებს!

ჩემმა ქალიშვილმა დისერტაცია სწორედ ზაურის შემოქმედებაზე დაიცვა. თემის ადებისას ზოგმა ბოლქვაძის პოეზია არადისერტაბელურად მიიჩნია, ზოგმა, პირიქით, დიდად მოიწონა. სადისერტაციო პაექრობისას სიტყვით გამოსულმა

ბრწყინვალე ორატორმა და უნიჭიერესმა მკვლევარმა მიხეილ ქურდიანმა შესრულებული სამეცნიერო ნარკვევის შეფასებისას პირველი თვალსაზრისი ნიაქარს გაატანა და დაასაბუთა: ზაურ ბოლქვაძის ნაწერებზე არა ერთი და ორი გამოკვლევა უნდა დაიწეროს!

დიდება – ზაურს, ყოჩაღ – მიხეილ!

სამწუხაროდ, მიხეილ ქურდიანიც აღარ ამშვენებს ჩვენს სამწერლო ძმობას.

სადღა არიან აწ ესე კაცნი,

რომ არ გვალხენენ თათბირნი მათნი!

ამასობაში კიდევაც მივადექით სპარსულ სანაპიროს. „ირანული ჩანახატების“ ზოგი ესკიზი ჩემთვის ცნობილია, ზოგიც – ახალი. თუმცა არაერთხელ წამიკითხავს, ისევ ისე დიდი სიამოვნებით გავისხენე ირანული თავაზიანობის კლასიკური მაგალითები. ნიმუშად ერთ მონაკვეთს გაახლებთ: „ირანელები ურთიერთშეხვედრისას, რომ იტყვიან, შაქარივით დნებიან... ერთხელ, სამსახურში მისვლისას, პოლიციელს ჩვეულებრივად მივესალმე.

– „ყორბანე შომა“ (შენი მსხვერპლი ვარ), – მივიღე პასუხად.

– „ბანდელი შომა“ (შენი მონა ვარ), – მივუგე.

– „ჩაქურამ“ (შენი მსახური ვარ), – წამომაწია მან. მეც დავუბრუნე, ასე ვთქვათ, ხურდა. არც ის დამრჩა ვალში და ჩვენი ურთიერთმისაღმება თავაზიანობის, თავმდაბლობისა და ურთიერთპატივისცემის გამოხატვის აშკარა შეჯიბრში გადაიზარდა. ფარ-ხმალი მაშინდა დავეარე, როცა მითხრა: „ჯორჯირაქე თუნ“ (შენი ჭრიჭინობელა ვარ)“.

უცებ ჩემი რკინის ჭიშკრის კუტიკარმა გაიჟღერია და მყისვე შემომესმა ძახილი: – მაინძელო!

აივანზე გადავდექი, – მობრძანდით! – გავძახე.

– ეგ ძაღლი ხომ არ იკბინება? – მეკითხება მომსვლელი და ვიღაცის ეზოდან გადმოგდებულ და ჩემს ეზოს შემოკედლებულ დამშეულ არსებას შიშნეულად გასცქერის.

სხვის ეზოში სხვის ძაღლს არავითარი უფლება არა აქვს! – ეგ მეც ვიცი და შემოძაღლე-

ბულმაც, ოღონდ მე დუმილის დარღვევის უფლება მაქვს:

– ეგ ძალი ყოველ მესამე მომსვლელსა ჰკბენს. თქვენ მეორე ბრძანდებით და თამამად შეგიძლიათ შემოხვიდეთ! – გავამხნევე სტუმარი. მან ჩაიცინა და ეზოში შიშთროლოვით შემოაღაჯა.

მწერ-მაწებლების მოსასპობ შხამ-ქიმიკატებს არიგებდა. საკარმიდამო ულუფა ჩავიბარე, საბუთზე ხელი მოვუწერე და ახლა სხვა ეზოებისაკენ აიღო გეზი.

ისევ საწერ მაგიდას დავუბრუნდი. გზად ერთმა ბზიკმაც შემომაკლა თავი.

„რა ლამაზია თუშეთი!“ – ერთობ პოპულარულია ეს სიმღერა და კრებულში თუშური ესკიზები სწორედ ამ სათაურით გამოცალკევდა. ამ სილამაზის მკვეთრად შემგრძნობი და დამნახავი ჩვენი ავტორი გულწრფელობით გვაცებს: „ვისაც აგვისტოს თვეში თუშეთის ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და იმ ცაზე სავსე მთვარე არ უნახავს, ყველა მეცოდება!“ (176). ამ ციკლს ალამაზებს და თავისებურ კოლორიტსა მატებს

ავტორის ლირიკული გნომები, თუშეთისა და თუშელთათვის რომ მიუძღვნია. იმავე წესით არის აგებული „ხევსურული მოტივები“, სადაც გაიგებთ „შევარდნაძის ქურთუკების“ ამბავს, შეხვდებით კობა არაბულს, გიორგი ჭინჭარაულს; მოულოდნელად წამოგეყუდებათ თავზე ქართული სასწაული – მუცოს მთა.

განყოფილება „სხვადასხვა“ კიდევ ერთხელ შეგვახვედრებს დაუვიწყარ ზაურ ბოლქვაძესთან. ერთმა არცთუ ისე პატიოსანმა კაცმა, „ნიანგის“ უშტატო კორესპონდენტმა, ზაურს შუამდგომლობა სთხოვა – თოფი გამომიყონო! რედაქტორი ადგა, სეიფიდან ბეჭედი ამოიღო, დაჰკრა დოკუმენტს და მიაწოდა. არ გაინტერესებთ, რა ეწერა ლექსად შედგენილ შუამდგომლობაში? აი, თუ რა ტაყები ჩამოეგვირისტებიან რედაქტორს:

აი, ეს კაცი, უშტატო,
კორესპონდენტი ჩენი,
ქრთამებზე დარბის, მუშაკობს,
ჯერ არ დადლილა რბენით;
ადებაშია ყოჩადი,
წაგლეჯაშია ცოფი;

არის უთოფო ყაჩადი,
გთხოვთ გამოუყოთ თოფი! (198)

იუმორის ხალას ზღვას – ზაურ ბოლქვაძეს – დიდად მოსწონდა ნომადის მიერ მოწყობილი კუპატობა. ერთ წელსაც ეს „ლონისძიება“ ჩაგარდა. ზაურს საყვედური ასე გამოუხატავს: წელს ნომადიმ კუპატივცემულოდ დაგვტოვაო!

ჩვენი ავტორის ყურმახვილ მესხიერებას არ გადავიწყებია არც პოეტ ნოდარ ნარსიასთან დაკავშირებული ანგლობა. რედაქტორ ჯანსუღ ჩარკვიანს ნოდარმა რაღაც თანამდებობა სთხოვა. ჯანსუღს უგულწრფელია – სამსახურს ვერ მოგცემ. ჩვენ აქ „ცისკარში“, შეკრული კოლექტივი გვაქვს. შენზე კი ამბობენ, ენას გაიტანსო.

მთხოვნელს საოცრად მახვილი პასუხი გაუცია: – შენ ოღონდ დამნიშნე რაიმე თანამდებობაზე და, რასაც გავიტან, ორ იმდენს შემოვიტანო (205).

ბევრი საამრიგო უადრესად საინტერესო მოგონებიდან საჭაშნიკოდ კიდევ ორს გავიხსენებდი.

ერთმა აყვიამ ზეზვა მედულაშვილის გამო-
ჭერა და ჩიხში მოქცევა მონდომა: – აბა, თუ
ბიჭი ხარ, გამირითმე ემპირიოკრიტიციზმიო.
ზეზვამ მყისვე აჯახა:

**ვხედავ, რომე შენი სახით
იმპერია კრეტინს გვიზრდის:
ვერაფერი გაგიგია
ემპირიოკრიტიციზმის! (205)**

ერთ-ერთ იუბილეზე დიდუბის პანთეონის
დირექტორ ბადრი ქუთათელაძეს მწერალთა კავ-
შირის თავმჯდომარე მაცვალა გონაშვილმა ასე
მიმართა: – ჩვენ, ორივენი, მწერალთა კავშირის
თავმჯდომარეები ვართ, ოღონდ მე ცოცხლებისა,
შენ კი – მკვდრებისაო. ამაზე ბადრის მიუგია: –
მართალია, თქვენ ცოცხალ მწერალთა კავშირის
თავმჯდომარე ბრძანდებით და მე კი – მკვდრე-
ბისა, ოღონდ იცოდეთ: მკვდარ მწერალთა კავ-
შირში მიღება უფრო ძნელია, ვიდრე – ცოცხლე-
ბისაშიო!

დავამთავრე წიგნის კითხვა და საწყალობე-
ლი წკავწკავი შემომესმა. აივნიდან ისევ გადავი-
ხედე.

მეორე შემოძალღებულმა ცხოველმა ჩემი ეზო წკავწკავითა და კოჭლობით გადაირბინა. ეტყობა, მეზობელ საკარმიდამოში არცთუ სტუმართმოყვრულად დახვდნენ, ჭოლოკი ესროლეს და ფეხი დაუზიანეს. სენტიმენტალურ გუნებაზე ვარ და ცოტათი გულიც შემიძოძვინდა, მაგრამ ბაღჩიდან ახალაკოკრებულმა ვარდმა შემომღიმა და ამან თითქოსდა გულზე ერთგვარი საღბუნი დამდო. ვიცი, ორ-სამ დღეში ოთხი-ხუთი საამისოდ შეღერებული სხვა კოკორიც წითლად იფეთქებს.

და აქ თავში უნებლიეთ გაიდვიძებს პარალელი: ვინც კი ნომადი ბართაიას ამ კრებულს წაიკითხავს, თანდათანობით იფეთქებს მასში სილამაზე და მშვენება ცალკეული ჩანახატისა – ჯერ ერთის, შემდეგ კი მეორის, მესამის, მეოთხისა თუ მეშვიდისა.

არგუნეთ თავს ეგ სიამოვნება – წაიკითხეთ და დააგემოვნეთ „მხიარული ჩანახატები“, ჩაფიქრებული, როგორც სევდის წინა მხარე.

ავტობიოგრაფიული ჩანაწერების მეორე ნაწილს, გამოსულს 2019 წელს, თან ახლავს ჩემი

მოკლე წინასიტყვაობა „ხასიათის გასაღებ-
ლად“. ეს წინათქმა, თუმცა მოკლედ, მაგრამ
საკმაოდ სრულად გადმოგვცემს წიგნაკის შესა-
ხებ გამოხატულ ძირითად აზრს. ამიტომაც უც-
ვლელად მომყავს აქ.

„როგორც არ არსებობს ყოფილი კეგებეშნი-
კი, ისე არ არსებობს ყოფილი ნიანგელი. ამას
ნათლად ადასტურებს ირანისტი პროფესორის
ნომადი ბართაიას მთელი ცხოვრება და შემოქმე-
დება: სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ნიან-
გის“ ყოფილი თანამშრომელი სულით ისევ ნიან-
გელად დარჩენილა და დღესაც არ გვაკლებს
იუმორის მადლსა და მარილს. თუ ამას წინათ
„მხიარული ავტობიოგრაფიული ჩანახატები“
(2018) გამოსცა, ამჟამად იმას მიაყოლა მეორე
ნაწილი – „მხიარული ავტობიოგრაფიული ჩანა-
ხატები, ანუ როგორ ინგრეოდა საბჭოთა კავში-
რი“ (2019). რა თქმა უნდა, კრებულში შევიდა
ზოგიერთი ისეთი მასალა, ადრე რომ „ნიანგს“
გამოუყენებია, ოღონდ საკმაოა ახალიც. და ესეც
ბუნებრივია, რადგან, ვინც „ნიანგისა“ და დაუ-
ვიწყარი ზაურ ბოლქვაძის სამყაროს და ატმოს-

ფეროს ეზიარებოდა, ის მუდამაც დარჩებოდა იუმორის, სატირული კბენისა და ბწკენის იშტაზე.

აგერ ჩვენმა პროფესორმა ფაქიზად ბწკენა მოუნდომა უბრალო, გაუნათლებელ გურულ გლეხებს, ოღონდ მოულოდნელად ამ შეხვედრიდან თვითონ გამოვიდა ფაქიზად დაკბენილი. სწავლულს რომ არც კი გაეგონა ხომეინის სახელი, „ყურჭატა“ გლეხები თავისუფლად მსჯელობდნენ ირანის პოლიტიკაზე, შაჰსა და ხომეინიზე.

აგერ კიდევ ერთ ტურისტს საჩივარი დაუბრეხებია: ყველაფერი კარგი იყო, ოღონდ ძალიან ბევრსა გვაჭმევდნენო. აქ დასტაქრის პინცეტივით ერევა საქმეში ავტორისეული ირონია: „პირადად მე, განსხვავებით იმ ქალბატონისაგან, ფანდს მივმართავდი – ამა თუ იმ კერძს, თუ ბოლომდე ვერ მოგერეოდი, თეფშზე ვტოვებდი“.

აქვე შეხვდებით მომცრო ტანის, ოღონდ დედამიწისტოლა გულის პატრონ ევგენი ბართაიას, თავის ვიწრო ბინაში რომ მეგობრის სტუდენტი შვილი ჩაისახლა.

აგერ სამშობიაროს მაღლა სართულიდან აწკეპილულვაშა კაძახი იყურება. ვინ არის? ვინ და, აქ დაბადებულია, მშობლებს მისი გამოსაყვანი ფული ჯერაც არ აქვთ და ელოდება, როდის მოაგროვებენ.

ხომ გინდათ გაიგოთ, თუ რატომ არ იგრძნობა მავანის რომანში თანამედროვეობა? აჰა, გინდათ! მოგახსენებთ: ეგ რომანი რედაქტორს (ყვავს) 200 წელია უჯრაში ჩაუკეტავს და ამიტომაც.

ეგ წინასიტყვაობა რომ ალაყაფის კარივით არ დამიმძიმდეს და უშნოდ არ ამიჭრიალდეს, მოკლედ დავსძენ: გარდა იმისა, რომ აქ მხოლოდ კარგ ადამიანებს გაეცნობით (რადგან ნომადის ირგვლივ მხოლოდ ასეთნი იყრიან თავს), თან გადაეყრებით ახალ იუმორისტულ სახეებს, მხატვრულ ფორმებსა და მიდგომებს.

ეს კი ლად ხასიათზე დადგომის საუკეთესო საშუალებაა“.

2021 წელს გამოვიდა ჩანახატების მესამე ნაწილი. ბევრი ჩანახატი ცნობილ ადამიანებს ეხება. ვახსენოთ ისინი: გიგლა ხუხაშვილი, კონ-

სტანტინე გამსახურდია, ოლეგ გოლიაძე, ნატა ვარადა, თეიმურაზ შაშიაშვილი, მორის ფოცხიშვილი, ოტია იოსელიანი, გიგლა სარიშვილი, ალექსანდრე გვახარია, ელიზბარ ჯაველიძე, აკაკი გაწერელია, დავით კობიძე, ვახტანგ ჭელიძე, აპოლონ სილაგაძე, ზაურ ბოლქვაძე, რეზო მიშველაძე, გრივერ ფარულავა, ვალერიან გაბაშვილი, ანა კალანდაძე, აპოლონ უორდანიას, ზურაბ ქაფიანიძე, რეზო ინანიშვილი, მიხეილ ქურდიანი, რაულ ჩილაჩავა, ბიძინა ივანიშვილი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, მაგალი თოდუა, ზეზუა მედულაშვილი, გიორგი ლეონიძე, ხუტა ბერულავა, გიორგი შხვაცაბაია, ტარიელ ფუტკარაძე, ბაიდე-ნი ...

ბრწყინვალე მოღვაწეები არიან!

თუნდაც რაიმე უმნიშვნელო კუთხით მათი პიროვნებისა და ცხოვრების განათებაც კი დიდ-მნიშვნელოვანი ამბავია.

ახლა ამ წიგნში მომარჯვებული საინტერესო იუმორისტული მონაკვეთების მიმოხილვაზე გადავიდეთ, მანამდე კი „წინასვე“ განვაცხადოთ: ამ მონაკვეთების კონტექსტი მთელ ნაწარმოებს

ამაღლებს და აძლიერებს. ვცადოთ ამ კონტექსტის „მარგი ქმედების კოეფიციენტის“ განსაზღვრაც.

ნატა ვარადას სცოდნია, რომ ნომადი ხშირ-ხშირად დადიოდა ირანში. სწორედ იმ ქვეყნიდან შემოვიდა ჩვენში კორონავირუსი. მწერალ ქალს ძლიერ შეშინებია და დაურეკავს ბართიასათვის: ბოლოს როდის იყავით ირანშიო? ნომადის ასეთი პასუხი შეუგებებია: „ძვირფასო ნატა, ეს ეს არის, ლუგარის ლაბორატორიიდან მივიღე სასიხარულო დასკვნა – შენთვის გამოსავ ზავენ სპარსული ლირიკის ჩემეულ თარგმანებს ირანიდან არ გადმოჰყოლია კორონავირუსი და შეგიძლია, პირბადის გარეშე წაიკითხო ისინი“ (23).

უნივერსიტეტში მოიწვიეს ანა კალანდაძე; კითხულობს ცნობილ „თუთას“. სადღაც შუაში გაუწყდა მარგალიტის მძივი – სიტყვები დაავიწყდა. დარბაზმა გააგრძელა მისი მოყოლა. ჩანახატის ავტორი მალვალაკურად დაასკენის: „არ მეგონა, საქართველოში თუ იყო ვინმე, ზეპირად არა სცოდნოდა „თუთა“, მაგრამ თურმე ყოფილა – მისივე ავტორი“ (69).

საბჭოთა ეპოქის ბოლო პერიოდია. ქართველ მწერალს ბულგარელი მთარგმნელი სტუმრად შინ ეწვია. ძლიერ მოეწონა ქართული სუფრა. აი, როგორ აღწერს ვითარებას ჩვენი იუმორისტი.

„რა გინდა, სულო და გულო, რომ არა მქონოდა სუფრაზე: ეს ბულგარული წიწაკაო, ეს ბულგარული ქათამიო, ეს ბულგარული პომიდორიო, ეს ბულგარული ღობიო, ეს ბულგარული ბადრიჯანიო, ეს ბულგარული კიტრის მწნილიო, ეს ბულგარული საწებელიო და აღარ ვიცი, კიდევ რაღა არა.“

სტუმარს ძალიან მოეწონა, ასე ვთქვათ, ქართული სამზარეულო.

მოკლედ, ბულგარელი მწერალიდა მაკლდა სუფრაზე და ისიც გამომიგზავნა მოწყალე ღმერთმა“ (74).

მკითხველს შევახსენებთ, რომ ეს ის პერიოდია, როცა ცივი ომის შედეგად დახლები ადგილობრივი პროდუქციით ვერ იფარებოდა და ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის რესპუბლიკების ნაწარმი იყიდებოდა.

მე განსაკუთრებით მესათუთება და მენიაზე-
ბა „ლიზას გაცინება“. სულ პატარა, ციცქნა მი-
ნიატიურაა. აი, ისიც:

„ლიზიკო სამი თვისაა. უკვე „დიდი“ გოგოა.
რომ შემომხედავს, გამიცინებს. ამ დილით სწო-
რედ მაშინ მომკრა თვალი, როცა ამთქნარებდა.
იფიქრა, ბარემ პირი ღია მაქვს, ერთ ხარჯში გა-
მოვალღო და მთქნარებიდან სიცილზე გადავიდა“
(116).

ამ კრებულში ავტორს შემოუპარებია მშვე-
ნიერი იუმორისტული ნოველაც. მისი სათაური
ასე უდერს: „ყველაფერს თავისი დრო აქვს“. უკ-
ვე საკმაოდ ასაკიან კაცს რამდენიმემ მოუწოდა:
რაზე აგვიანებ, რასა შერები, ყველაფერს თავი-
სი დრო აქვსო. ყველა იმას გულისხმობდა, რომ
ცოლი უნდა მოეყვანა, რომ ამ საქმეს აგვიანებ-
და. ღიახ, ყველა ამას ფიქრობდა, გარდა ერთი-
სა, და ის ერთიც ჩვენი პერსონაჟია. მაშ, და რა-
ღას ფიქრობდა იგი, რა შინაარსსა სდებდა ნაც-
ნობ-მეგობართა წაქეზებაში? აი, რა დასკვნა გა-
მოიტანა სხვათა წაქეზებებიდან: „ისე, მართლა
ყველაფერს თავისი დრო აქვს. ადრე თუ გვიან

ხომ მაინც უნდა დავიცვა დისერტაცია? რას ვა-
ლაპარაკებ ამდენს ამ ხალხს?!“ (121)

საბჭოთა პერიოდი. ტარდება გრძელი და
მომაბეზრებელი კრება. ყველას რაღაც პირობას
ადებინებენ. ერთი ტრიბუნასთან მივიდა, „ახალი
ორატორი აფრქვევდა ცეცხლს. მან მთელ კო-
ლექტივს საზეიმოდ აღუთქვა, რომ არც ერთ
კრებაზე არ ჩაეძინებოდა“ (129).

დარწმუნებული ვარ: არც ამ კრებულის
მკითხველს ჩაეძინება, ყოველ ჩანახატს ინტერე-
სით წაიკითხავს და სათანადო ადგილას სიცი-
ლისაგან კიდევაც ჩაბჟირდება. ამავე დროს, შე-
უძლებელია გულში არ გაუკილაოს ფიქრმა: რო-
დის გამოვა ჩანახატების მომდევნო ნაწილი? სი-
ნამდვილეში ეგ კითხვა უჯეროა, რადგან დიდი
ხანია გამოსულია საძიებელი ნაწილიც. ეგ გახ-
ლავთ „ჩვენი ზეზვა“ (2014), ასგვერდიანი წიგნი,
გამოცემული „უნივერსალის“ მიერ.

ვინც გამოჩენილ მთარგმნელს, უამრავი ენის
მცოდნეს, პოეტს, კაფიებისა და ექსპრომტების
უბადლო ოსტატს, მრავალი ლიტერატურული
პრემიის ლაურეატს, მეტად კოლორიტულ პიროვ-

ნება ზაზა მედულაშვილს იცნობდა, არ შეიძლება მისი სახელის ხსენებაზე ღიმილი არ მოეფინოს სახეზე, უკეთესად არ იგრძნოს თავი.

აი, ამ საინტერესო მოღვაწეს მთელი ცალკე წიგნი მიუძღვნა ნ. ბართაიამ და არა მცირე რამ წერილი. ეს გამართლებულია, რამეთუ ცალკე ბარათი, ანუ წერილი, ზეზვასთან დაკავშირებულ რომელიმე ერთ ამბავს თუ დაიტევს მხოლოდ.

აქ მკითხველი ცნობილი მთარგმნელის ცხოვრება-მოღვაწეობის მხიარულ, იუმორისტულ მხარეს დაინახავს და შეიმეცნებს, მაგრამ მარტო ეგ არა: ბევრ რასმე ახალს, საოცარს შეიტყობს ამ უცანურ პოლიგლოტზე.

ჯერ სწორედ ამ უცნაურობაზე ვისაუბროთ.

აღმოსავლური პოეზიის სადამო მიჰყავს ვახუშტი კოტეტიშვილს. ის აცხადებს მორიგი გამომსვლელის გვარს და თან მცირედ ახასიათებს კიდევ:

– ახლა თქვენ წინაშე გამოვა ცნობილი მთარგმნელი, ჩვენი დროის საიათნოვა, პოლიგლოტი ზეზვა მედულაშვილი, რომელმაც ბრწყინ-

ვალედ იცის სომხური და აზერბაიჯანული; ფლობს სპარსულ, არაბულ, უზბეკურ, ყირგიზულ, ჩუვაშურ, ჩუჩმეკურ, ბალყარულ, აფხაზურ, ქურთულ, ბერძნულ, ინგუშურ, მოლდავურ, რუმინულ, ყარაყაღპაკურ, ოსურ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, ინდურ, ჩინურ, ჩრდილოკორეულ, ესტონურ, სამხრეთვიეტნამურ, ბენგალურ, ლიტვეურ, ლატვიურ, ჰოლანდიურ ენებს; მკვდარი ენებიდან თითქმის უაქცენტოდ ლაპარაკობს შუმერულად, აქადურად, ელამურად, ბაბილონურად, ფალაურად, სოდეურად, პართულად...

ზეზვა თითქოსდა კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო, არა?

ღიახ, ოღონდ არა და არა!

ზეზვას უკმაყოფილოდ ჩაულაპარაკია: „განაკი მე გერმანული არ ვიცო!“

თურმე იმ დალოცვილ, აწ განსვენებულ სახელოვან ფოლკლორისტს მაინცდამაინც ის ენა გამორჩენოდა, რომელსაც სკოლასა და უნივერსიტეტში ესოდენი სიბეჯითით სწავლობდა ზეზვა.

მეგობარო მკითხველნო,

ვინც ეგ ამბავი არ იცოდით, განა არ გაოცდით?

სასეირნო ამბავი იმისა, თუ როგორ დაკარგა დაბნეულმა სტუდენტმა ზეზვამ მისთვის მინდობილი პროფორგანიზაციის მთელი დოკუმენტაცია და მასთან ერთად ის ოთახი, სადაც ინახებოდა ეს საბუთები და როგორ დაიცვა იგი ცნობილმა პროფესორმა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა:

„მაგისტრანა ნიჭიერი სტუდენტი ჯერ არა გვეყოლია: შენზე უკეთესი სპარსული იცის! – გაიშვირა ხელი სპარსული ენის კათედრის გამგის, მსოფლიოში სახელგანთქმულ ირანისტ პროფესორ დავით კობიძისკენ; – შენზე უკეთესი თურქული იცის! – გაიშვირა ხელი თურქული ფილოლოგიის კათედრის გამგის, მსოფლიოში სახელგანთქმულ თურქოლოგ პროფესორ სერგი ჯიქიასკენ, – ჩემზე უკეთესი სომხური იცის! – გაიშვირა ხელი არმენოლოგიის კათედრის გამგის, ასევე მსოფლიოში სახელგანთქმულ არმენისტ საკუთარი თავისკენ“ (5).

არც ამგვარმა თავგამოდებულმა დაცვამ უშველა უნიჭიერეს, დაბნეულ და უბედო სტუდენტს – სტიპენდია მაინც მოუხსნეს!

მაგრამ მთელი „ხოხმა“ ამ ამბისა მაინც სხვა რამეა: თურმე დასჯილმა და სტიპენდია-მოსხნილმა სტუდენტმა არც კი იცოდა, პროფორგანიზაციის თავმჯდომარე და საბუთებზე პასუხისმგებელი პირი თუ იყო!

აგერ ზეზვას კიდევ ერთი თავგადასავალი: ნინოწმინდაში სომეხი მწერლის ვაჟან ტერიანის სადამო უნდა გამართულიყო. თბილისიდან მწერალთა ერთი ჯგუფი მსუბუქი ავტოთი გაემგზავრა. მათში არმენისტი ზეზვაც ერია – სიტყვა - უნდა წარმოეთქვა. მაშინ ყარაბახის ომი იყო გაჩაღებული და საქართველოში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანელები ვერ იტანდნენ ერთურთს. მგზავრებს წახემსება მოუნდათ. ერთგან ახალგაზრდების ჯგუფი შენიშნეს, მანქანა შეაჩერეს, რათა ეკითხათ, სად იყო აქ ახლომახლო წყარო? ზეზვას ისინი სომხები ეგონა და სომხურად ჰკითხა. აზერბაიჯანელები აღმოჩნდნენ და „სომხებით“ გატენილ მანქანას ქვები დაუშინეს.

ძლივს გამოასწორნენ. ცოტა ხანში სხვა ჯგუფი შენიშნეს, შეაჩერეს ავტო. ზეზვამ თქვა, ესენი აზერბაიჯანელები იქნებიანო, და ახლა აზერბაიჯანულად ჰკითხა, სადმე წყარო ხომ არ არისო? სომხები აღმოჩნდნენ. ახლა ესენი აფეთქდნენ და „აზერბაიჯანელებით“ გამოტენილ მანქანას აგურები დაუშინეს.

– გააჩერეთ ეს კაცი, თორემ დაახოცვინებს ჩვენს თავს ან სომხებს, ან აზერებსო! – დაიყვირა ვიღაცამ.

– ზეზვა, აწი მაინც აღარ ამოიღო ხმა! – სთხოვა სხვამ.

აი, რა ფათერაკს გადაჰკიდა ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი ზეზვას გამართულმა სომხურმა და აზერბაიჯანულმა (20-22).

წიგნში მოთხრობილია, თუ როგორ შეისწავლა ზეზვამ ორიოდე თვეში აფხაზური, როგორ იმდერა საოპერო არია ზურაბ ანჯაფარიძის ძმა ჯემალთან ერთად (28, 30).

აქ თქვენ გაეცნობით სასაცილო და საგულლისხმო ამბებს, ზეზვას რომ თავს გარდახდენია. ერთს აქვე გაახლებთ: ერთხელ რომელიღაც

ტექსტი ათარგმნინეს. ჩამწერს ზეპირად უკარნახა. როცა ჰკითხეს, რა ენიდან თარგმნილიო, ვერ უპასუხა, ჩაიჭრა; ვერ დაადგინა, რომელი ენის დედანი ელო წინ. შემდეგ იმ ტექსტის რომელიღაც გაზეთში დაბეჭდილი რუსული თარგმანი ნახეს და დადგინდა: ზეზვას ტექსტი სიტყვასიტყვით იმეორებდა რუსულ თარგმანს! (48). ისიც დასაგულისყურებელია, რომ ერთხელ მეგობრებს აუწყა, თურმე თათური ენა მცოდნია და არ კი ვიცოდლიო. როცა უპასუხეს, ჩვენც კარგად ვიცით, თათრული რომ იციო, გაბრაზებულმა გაუმეორა: – თათრული ხომ ვიცი და ვიცი, **თათური** სულ სხვაა და ისიც მცოდნია, დაღესტანში ყოფილა ეგ ტომი **თათები** და მშვენივრად ვაგებინებდი ყველაფერსო (47).

ავტორს მოუცლია და კიდევაც დაუთვლია, რამდენი სადღეგრძელო წარმოუთქვამს ამ უცნაურ პოლიგლოტს. სულ გამოვიდა 657. აქედან 15 წარმოთქმულია აზერბაიჯანულად, 12 – სომხურად, 22 – სპარსულად, 18 – რუსულად, 7 – ესტონურად, 24 – სხვადასხვა კავკასიურ ენაზე, 3 – არაბულის შუა აზიის დიალექტებზე, 2 – ფა-

ლაურად, 38 – ევროპულ ენებზე, 2 – აქადურად, 1 – ჩინურად, დანარჩენი – ქართულად (51).

პოლიგლოტს შეუქმნია ლუდის სადღეგრძელოებიც. ამათგან ორიოდე ნიმუშს ახლავე დაგაგემოვნებინებთ:

– ეს იმ კაცს გაუმარჯოს, კაცობა რომ უნდა და საამისოდ ვერ იცლისო!

– ეს იმ კაცს გაუმარჯოს, 31 დეკემბერს ინდაურს რომ ფეხი მოსტყდება და თაბაშირში ჩაუსვამს, ეგების შეუხორცდესო!

– ეს იმ კაცს გაუმარჯოს, შინ და გარეთ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებში რომ დადისო! (50-51).

ზოგჯერ სალამქალამსა და შეკითხვაზე უცნაურ და იუმორნარევე პასუხს გაგცემდათ. ამ ტიპის ნიმუშებიც ვიხილოთ:

ერთხელ ჰკითხეს: – როგორა ხარო?

უპასუხა: – ვბერდები, ისე ვარ, ფეჩქვეშიდან კატას უნდა ვაყენებდე და მის მაგივრად ვწვებოდეო (52).

მავანმა გაკვირვებითა ჰკითხა, ამდენი ენა როგორ ისწავლეო?

უპასუხა: – მეტიც ვიცოდი, ოღონდ ერთხელ რაღაცას თავი მივარტყი და შვილი ენა მარტო მაშინ დამცვივდაო.

ერთმა მაკვარანცხმა ჰკითხა: – შენმა დირექტორმა ის ქალი ასე სწრაფად როგორ დააწინაურაო?!

ამან მყისვე მიუგო: – კი არ დააწინაურა, არამედ დააწინაურაო.

ლამაზ ქალბატონ აიგულისთან ერთად აშხაბადში მივლინებით გააგზავნეს ზეზვა და კიდევ ერთი მამაკაცი. ზეზვამ წამსვე შეთხზა ფუნაგორია:

**ჩვენ ვამაყობთ აიგულით –
სამეულის თაიგულით;
მას დედოფლად მივაბრძანებთ,
ისიც მოგვდევს კაი გულით,
ხვალ აშხაბადს მიადგება
გვერდზე ორი მაიმუნით (55).**

ხალხმა ზეზვას მოსწრებულ ნათქვამებს ზეზვაურები უწოდა. ამ წიგნიდან რამდენიმეს მაინც გადმოვიწერ.

აღექსი ჭინჭარაულს თავი მოაბეზრეს: ამ ხნისა მოიყარე და დოქტორი არ უნდა იყო?! რად დაგაგვიანდაო სადოქტორო დისერტაციის დაცვა?!

თავგაბეზრებულმა აღექსიმ უსიტყვოდ დაავლო ხელი მის წინ მდგარ დოქს და ღვინის დასხმა დაიწყო. ზეზვამ იმწამსვე **ზეზვაური** ესროლა:

**შენ ისე დაეც დოქტორი,
მაღე გახდები დოქტორი! (3)**

სასეირო და იუმორრეულია პოეტ შოთა ტოგონიძეზე თქმული:

**მე ვენაცვალე შოთასა,
რო ვულკანივით შფოთავსა,
ბევრი არ დააღეინო,
არსად არ გაიშოტასა,
პატრულს არ გადაეკიდოს,
მწარედ არ გაიშოლტასა! (74)**

პოეტურობითა და საანგლო სიტყვების მიგნებით გამოირჩევა ეგ მუნასიბი:

მანანაო, მანანაო,
ცით მოსულო მანანაო,
შენმა ყოფნამ ჩემი ყოფნა
სამყოფნელად მანანაო! (79)

კიდევ ერთი შეკითხვა და მისი ზეზვასმიერი პასუხიც მოვისმინოთ ბარემ.

მაგანმა ჰკითხა, როგორა ხარო?

უპასუხა: – ჯონჯოლივითა ვარ: თუ ვჩანვარ, ყველას ვუნდივარ, თუ არა – არავის ვახსოვარო (85).

პოეტი, ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ მთარგმნელი ბელა შალვაშვილი გულწრფელად აღიარებს: საიდანღა აღარ თარგმნის ზეზვა ტექსტებს, ოღონდ მთავარი სხვა არის, მთავარია მისი თავანკარა, მდიდარი ქართული. ისიც აღსანიშნავია, რომ იგი პოეზიასა და პროზას ერთნაირი ძალითა თარგმნისო (90). პოეტმა კობა არაბულმა მას **ლექსად მოლაპარაკე** უწოდა (95) და მართალიც არის!

ღიახ, კრებული მთავრდება ზეზვას მცოდნეთა და მეგობართა შეფასებებით. მათში კიდევ

ერთხელ თვალნათლივ წარმოჩინდა პოლიგლოტისა და მთარგმნელის „საქმენი საგმირონია“.

სხვათა შორის, ნახევრად იუმორისტულია წიგნი, რომელიც ნ. ბართაიამ მიუძღვნა მაგალითოდ უას. იქაც ბევრს რასმე სასაცილოს გაიგებს და ამოიკითხავს ადამიანი.

ირანული ჩანახატები

ნომადი ბართაიას, როგორც ლექტორსა და პედაგოგს, ხშირად უხდება ცალკე ან სტუდენტებთან ერთად ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ჩასვლა, ირანის ტერიტორიაზე მოგზაურობა. ეს ბუნებრივია, რამეთუ მისი მიწყივ მოგიზგიზე მიზანია სპარსული ენის უკეთ დაუფლება, მეზობელი ხალხის კულტურის გაგება და შემეცნება, ფერეიდნელ ქართველებთან დაკავშირება და მათი ყოფის, ფოლკლორის გაცნობა, ამ მდიდარი ინფორმაციის საქართველოში ჩამოტანა.

ამგვარმა გარჯა-რუდუნებამ გააჩინა მისი ორიგინალური შემოქმედების კიდევ ერთი მიმართულება – მოგზაურული ჟანრის „ირანული ჩანახატები“. ამ მიმართულების რამდენიმე კრებული გამოაქვეყნა მკვლევარ-მოგზაურმა და სპარსული ენის მასწავლებელმა, მაგრამ ამათ შორის განსაკუთრებით საჩინოა და საზოგადოების ყურადღება მიიპყრო რამდენიმე მათგანმა. ესენია: „ირანული ჩანახატები“ (2001), „ქართული საყვა-ვიდე ირანული ვარდებისათვის“ (2009); „საქართ-

ველო და ირანი. უპრეცედენტო ურთიერთობათა 20 წელი“ (2013); „საქართველო და ირანი. კულტურული ურთიერთობები გრძელდება“ (2019).

განვიხილოთ ისინი თანამიმდევრულად.

ირანი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყანაა. მისი არსებობა ოცდახუთ საუკუნეს ითვლის. ამ ხნის მანძილზე აქ მრავალმა ისტორიულმა მოვლენამ იჩინა თავი, მაგრამ იმამ ხომეინის მეთაურობით მომხდარი ისლამური რევოლუცია მაინც გამორჩეულია. ასეთი რამ არათუ ირანს, მთელ კაცობრიობასაც კი არ მოსწრებია: დაემხო ფეჰლევიათა დინასტია, დაინგრა ორი ათას ხუთასი წლის განმავლობაში მედგრად მდგარი მონარქია და ძველის ნანგრევებზე ირანის ისლამური რესპუბლიკა აღმოცენდა. დაახლოებით იმავე ხანებში ჩვენთანაც მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

თუ ისტორიული საქართველო, კულტურულ-ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ირანთან, ქვეყნის

რუსეთის მფარველობის დროიდან (1801) თითქმის 1991 წლამდე სპარსელებთან აღიკვეთა კულტურული ურთიერთობანი. 1990-იანი წლებიდან ფართოდ გაიშალა ურთიერთკავშირები და ამან განაპირობა ღონისძიებათა გაცვლა. ქართველ ირანისტებს მიეცათ საშუალება, სტაჟირება გაეკეთათ ირანის უმაღლეს სასწავლებლებში. ნომადი ბართაიას, როგორც ირანულის სპეციალისტს, სწორედ ამგვარი სტაჟირება გაუვლია ირანში (ისპაჰანის, ურმიის, თეირანისა და გილანის უნივერსიტეტებში).

საქართველო-ირანის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში ახალი ერა დაიწყო და ამ პროცესის სათავეებთან ნომადი ბართაიაც აღმოჩნდა. მას არაერთ ირანულ მოღვაწესთან მოუწია ურთიერთობა, არაერთ საერთო ღონისძიებაში ჩაბმა (როგორც მონაწილეს, ისე თარჯიმანს); არაერთი მოვლენის შემსწრე გახდა და არაერთი ისტორიული ფაქტი გამოიძია, ნახა, უთხრეს, შეიმეცნა და გაიგო.

თუ აქამდე ლიტერატურული ურთიერთობა ცალმხრივი იყო, რაკილა ინიციატორები ქართვე-

ლები იყვნენ, ამიერიდან ვითარება გამოსწორდა და სპარსელებიც დაინტერესდნენ ქართველებით, საქართველოთი, ჩვენი კულტურით, მეცნიერებით, ქართული ენის შესწავლით.

სწორედ ირანელთა ინიციატივითა და მათი დაფინანსებით ერთ მშვენიერ დღეს თბილისიდან დაიძრა კომფორტული ავტობუსი და ქართველი ირანისტები თავიანთ სტუდენტებიანად გზას გაუდგნენ ირანისაკენ. მათი მიზანი იყო სპარსულ ენასა და ლიტერატურაში კვალიფიკაციის ამაღლება, კულტურული ძეგლების დათვალიერება.

ჩვენ, რა თქმა უნდა, დაწვრილებით ვერ ვისაუბრებთ ყოველივე იმაზე, რაც ნომადი ბართა-იამ მსგავსი ხასიათის წიგნებში მოგვითხრო, მაგრამ ყოველ წიგნში გამოვეყოფთ მთავარს, ღირსშესანიშნავსა და ისეთს, რაც ქართველს, გვგონია, ფრიად და ფრიად დააინტერესებს. ამასთანავე, მივუთითებთ წიგნის სანიშანსვეტო ქვეთავებზე.

ავიღოთ ამ ციკლის პირველი მერცხალი „ირანული ჩანახატები“ (2001). ავტორი, უწინარეს ყოვლისა, გვაცნობს იმ ქართველ ირანისტებს,

რომლებიც 1996 წლის იმ მოგზაურობაში მოხვდნენ (7-9); ქვეთავ „ისფაჰანში“ აღწერილია ამ ქალაქის ღირსშესანიშნაობანი: ქალაქის მთავარი მოედანი „ნაყშე ჯაჰანი“ (ქვეყნიერების სურათი). სიტყვა „ნაყში“ ქართულადაც იხმარება; აღწერილია აქ არსებული მეჩეთ-მინარეთები; აქვეა სასახლე ალიყაფუ, რომელშიც სტუმრებს იღებდა შაჰ-აბასი; აქვეა ორმოცსვეტიანი სასახლე, კედლებზე ნახატებიანი. ერთზე გამოსახული არიან შაჰ-აბას პირველი და მისი უპირველესი დიდებული და მარჯვენა ხელი ალავერდ-ხან უნდილაძე. ქალაქს ჩამოუდის მდინარე, რომელზედაც უნდილაძის მიერ აგებული 300-მეტრიანი ხიდია გადაჭიმული.

აქვე აღწერილია ირანელთა კულტურის ერთი ასპექტი: საღამოობით ამ მოედანზე მოდიან ირანელები, მოჰყავთ ცოლ-შვილი, მწვანე ველებზე გაშლიან ხალიჩებს, პატარა გაზქურებზე ჩაის აადულებენ, ხვრეპენ სურნელოვან სასმელს, მშვიდად მუსაიფობენ, სეირნობენ, სეირნობენ... ისმის ნორჩთა ჟრიამული და მერცხლების ჟივილი (10).

წიგნის თითქმის ყოველ გვერდზე აღწერილია დაუჯერებელი სიკეთე და სტუმართმოყვარეობა უბრალო, რიგითი ირანელი ადამიანისა.

წიგნში აღწერილია ფერეიდნელ ქართველებთან სტუმრობა.

ჩვენს მოგზაურს შეუძლია წერილმანისაგან არსებითი გამოარჩიოს. ამის ნიმუში გვეძლევა 27-ე გვერდზე. ავტორი გვამცნევს: ისპაჰანის უნივერსიტეტში გაიმართა მრგვალი მაგიდა. ერთ-ერთმა ჩვენიანმა დასვა კითხვა: თქვენმა რეგულაციამ რა ეკონომიკური ეფექტი გამოიწვიაო? უპასუხეს: – ჩვენ ეკონომიკისთვის არ მოგვიხდენია რეგულაცია, ჩვენ ზნეობის გადასარჩენად ვიბრძოდეთო (27). ამ თავს შესაბამისი ქვესათაური გამოეძებნა – „ზნეობის გადასარჩენად“.

აღნიშნული საგულისხმიერო პასუხის კომენტარს ჩვენი ირანისტი არ იძლევა. ამას მე გავაკეთებ: საქმე ისაა, რომ დასავლური ცივილიზაცია აქცენტს აკეთებს გარესამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაზე, რადგან მთავარი „მტერი“ გარეთ ეგუღვის. ამას შედეგად მოსდევს რაციონალიზმის, ტექნიკის, ლოგიკის განვითარება; აღ-

მოსავლური სულიერება კი საკუთარი თავის წინააღმდეგ ზნეობრივ გამარჯვებას ისახავს მიზნად, „ვინაიდან ყველაზე დიდი გამარჯვებული ისაა, ვინც საკუთარ თავზე გაიმარჯვა“ (ნაპო კვარაცხელია).

აი, თუ რა კომენტარს იმსახურებს „უცნაური“ პასუხი: ჩვენ არა ეკონომიკის, არამედ ზნეობის გადასარჩენად მოვახდინეთ რევოლუციაო.

მომდევნო ქვეთავი იმაზე მოგვითხრობს, რომ ირანში არიან ცეცლმსახურნი, მაზდეანები. მაშ, აქ არ იდევნება სხვა რელიგიის მიმდევარი (27). „მტრედების სასტუმრო“ იმაზე მოგვითხრობს, რომ აქ საგანგებო კომპიურებსაც კი აგებენ მტრედებისათვის; ირანელთა მოკრძალება და თავაზიანობა კარგად ჩანს ქვეთავში „წამობრძანდით ჩემთან სახლში“: ავტობუსში მგზავრობისას ფანჯარასთან ირანელი მოთავსებულიყო. ეტყობა, ჩასვლა ეწადა, ოღონდ აქეთ ნომადი იჯდა და გამატარეო, ვერ სთხოვა. ამიტომ დაუჟინა, ჩემთან სტუმრად წამობრძანდითო! მაშინ ხომ იძულებული იქნებოდა, ამდგარიყო უცნობი, გზას რომ უღობავდა! წიგნში ჩართულია დღიუ-

რები, ბევრგან გამოყენებულია სპარსული პოეზიის ნიმუშები, ბრწყინვალედ გადმოცემული ვახუშტი კოტეტიშვილის, მაგალი თოდუასა ან სხვათა მიერ; მოყოლილია მეორე ირანული ექსპედიციის ამბავიც ქალაქ ურმიაში (38-39). ურმიის აღწერისას შეუძლებელია ავტორს არ გახსენებოდა მ. ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშა“, სადაც დახატულია ეს მხარე, მისი მცხოვრებნი. საინტერესოა, რომ საყვარელ მასპინძლებზე ნ. ბართაიამ სპარსულად მშვენიერი ლექსი დაწერა (40). მართლაც კარგად უღერს იგი.

წერილი „პირველი ქართველოლოგი“ მოგვითხრობს გოგონა ჰეროს შესახებ, ვისაც ისე მოსწონებია ჩვენი ასოები, ქართულის შესწავლა მოინდომა და ჩვენი სტუდენტების ხელმძღვანელი ნომადიც ბეჯითად ამეცადინებდა (43); ავტორი დიდის ამბით აღგვიწერს იმამ ხომეინის მთელ ავლადიდებას. ეს არის: სათვალე, მაკრატელი, ჯაგრისი, სუნამო, სალოცავი ხალიჩა და ყურანი (50). შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ შეუწყო ხელი ნ. ბართაიამ გილანისა და ქუთაი-

სის უნივერსიტეტების დამეგობრებას (52-54). მერმე ჩატარდა გილანის უნივერსიტეტის დღეები ქუთაისში (57). აბა, რომელ ჩვენგანს არ გვინტერესებს ფირდოუსის, ომარ ხაიამის საფლავების ნახვა? აი, ნ. ბართაიამ ეგ წადილი აისრულა კიდევ (62).

წიგნში შემდეგ აღწერილია თეირანი, ანარხორის საღამოები (ანარ – ბროწეული და ხორ – ჭამა). ბროწეულის დაგემოვნების საღამოებზე, რა თქმა უნდა, ქართველი მოსტაჟირენი ეცნობოდნენ იქაურ პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, იძლიერებდნენ ენის პრაქტიკას. ქართველ სტაჟირებს ირანში საშუალება ეძლეოდათ შეხვედროდნენ უცხოელ ირანისტებსაც, გასცნობოდნენ მათ წარმატებებს. აგერ ფირდოუსის, აგერ ხაიამის საფლავები და ჩვენც ვათვალიერებთ მათ ჩვენს ავტორ-გიდისთან ერთად, ხოლო ხსოვნიდან ძნელად თუ განიდევნება ხაიამის სასუფეველის ბაღის შესასვლელთან არსებული წარწერა: „ყვავილს მოსწყვეტ, ბუღბუღს გაანაწყენებ!“

ხედავთ?

კი არ გიბრძანებენ, არამედ ვედრებით
გთხოვენ, და ეგ თხოვნა ბრძანებაზე მჭრელია!

ამ ადამიანებზე, მათ საქმეებზე მსჯელობი-
სას ხშირად წააწყდებით აფორიზმს, რომელიც
მუდამ გემახსოვრება: „როცა ორ ადამიანს შო-
რის მტრობა ჩამოვარდება, მათ უნდა ებრძოლონ
მტრობას და არა ერთმანეთს“ (75).

სწორედ ამ წიგნშია მოყოლილი იმ შემ-
თხვევაზე, რომელიც სამუდამო საფიქრალად
მთელი ცხოვრების განმავლობაში თან გაგყვე-
ბათ: „ერთი კორესპონდენტი გოგონა სადღაც
მთაში, მიკარგულ ადგილას, დაჯდვარკული და
გაბანჯგლული მწყემსისაგან ინტერვიუს იღებდა.
უცებ ჰკითხა: ღმერთი არსებობს თუ არაო? ჩო-
ბანმა გოგონას ერთი ახედ-დახედა და უპასუხა:
– მე, ასე უბადრუკი და უმაქნისი, ვარსებობ და
ის, დიდებული და საოცარი, არაო?!“ (84)

წიგნში ერთგან ასე საინტერესო დიალოგია
აღწერილი: „– ბართაია, თქვენ რომ ხაიამის რო-
ბაიები თარგმნეთ, დარწმუნებული ბრძანდებით,
რომ ყველა მას ეკუთვნის?“

– რაც ირანელებს მიაჩნიათ ხაიამისეულად, მეც ის ვთარგმნე.

– მერედა იცით, რამდენი რობაი მიაჩნიათ ხაიამისეულად?

– სადავოთა რაოდენობა 28-იდან 400-მდე მერყეობს.

– დიახ, სწორედ ეგრეა!“ (92)

როგორცა ვხედავთ, პროფესორმა ნომადი ბართაიამ **ზუსტი პასუხი** გასცა, ოღონდ უნდა ვიგულწრფელო: მე რომ ვყოფილიყავი, **სწორ პასუხს** გავცემდი. ჩემი პასუხი კი ასეთი იქნებოდა:

– ყოველი რობაი, რომელიც ხაიამის სტილსა და გადმოცემის ყაიდას ემორჩილება, თუნდაც მისი ნაკალმარი არ იყოს, მაინც ხაიამისაა, მისი შემოქმედებითი ინერციის განგრძობაა. იგივე შეიძლება ითქვას რუსთველზეც. ბევრი გენიალური სტროფი, რომლებიც რუსთველურ სტილს, გამოხატვის ფორმას, მანერას ინარჩუნებს, მაინც დიდოსტატს უნდა მიეწეროს, თუკი ინტერპოლატორის გვარი არ ვიცით.

ცნობილია: მიქელანჯელოს ბევრი შემწე და დამხმარე შეგირდი ჰყავდა. მათი სახელები არა-

ვის აინტერესებს, რადგან ისინი გენიოსის მითითებებითა და დავალებით საქმიანობდნენ. მათი ნახელავი უყოყმანოდ მიეწერება ოსტატს.

რუსთველის მიმბაძველთა სტროფები ისევე ეკუთვნის რუსთველს, როგორც თოვლის აგორებულ გუნდას ის თოვლი, რაც მას მსვლელობისას აეკვრის.

საინტერესოდ არის აღწერილი თეირანის წიგნის საერთაშორისო გამოფენა. ამ ქვეთავში ყურადღება მიიქცია მსჯელობამ, რომელიც ქართველს ყურადსაღებად უნდა ეჩვენოს: „არც ერთ ქვეყანას არ გაუხდია თავისი ენა და ლიტერატურა ისე დიდი ზრუნვის საგნად, როგორც ირანელებს. და ეგ შემთხვევით არ ხდება... მთელი ირანი ათი საუკუნის განმავლობაში დაქუცმაცებული იყო. მისი ერთიანობა სწორედ სპარსულმა ენამ, ლიტერატურამ და კულტურამ განაპირობა“ (95).

ჩვენი ავტორი ფართოდ საუბრობს ფერეიდანზე, იქაურ ქართველებზე, მათ ყოფა-ცხოვრებაზე. უაღრესად საინტერესოა, რომ მან შენიშნა სიტყვა „შამწყრომი“, გვიჩვენა, რომ ოდესღაც

კახეთში ასე ერქვა ურმის მძღოლს, გამყოლს. ამჟამად მძღოლს, შოფერსაც კი ფერეიდნელი თურმე **შამწყრომს** ეძახის (106). ნ. ბართაიას შეუგროვებია ფერეიდნული **ანდაზები** და წიგნში მათთვის საჩინო ადგილი დაუთმია. მათგან ზოგს მაინც ამოვიწერთ: „**უდედოს ტირვას ნუ ასწავლილ**“; „**აქლემს უთხრეს: კისერი რათა მრული გაქვს. უპასუხა: სხვა რა სწორი მაქო?**“ „**ასკილის ფესვებზე ისევ ასკილი ამოხეთქავს და ვარდის ფესვებზე – ვარდილ**“; „**ჯორს ჰკითხეს, შენი მამა ვინ არილ და უპასუხა: ჩემი დედა ცხენიალ**“; „**ხელმოკლეს გინდ ერთი პური მიეც, გინდ – წაართვი, სულ ერთიალ**“; „**გაცოცხლება მკვდარს კი არ უნდა, არამედ – ცოცხალსალ**“ (107-108).

წიგნში ნახვენებია, თუ როგორ მოეწყო ირანში ქართული კინოს კვირეული, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თეირანი და საქართველო“ (114).

შესაძლოა, ფართო მკითხველმა არ იცოდეს და ამიტომ საგანგებო ყურადღებას მივაქცევ შემდეგს: წიგნში მითითებულია, რომ გამოსულია

255 გვერდიანი ენციკლოპედიური ცნობარი „ის-ლამი“ (122). აქვე ისიც არის აღნიშნული, რომ თბილისის პირველ საშუალო სკოლაში 1978 წლიდან ისწავლება სპარსული ენა (125).

ერთი სიტყვით, ამ კრებულში გამოწველილ-ვით არის მოთხრობილი ქართულ-ირანულ კულტურულ ურთიერთობებზე ჩვენი დამოუკიდებლობიდან 2000 წლამდე.

საგულისხმოა, რომ მთელი ეგ ნაშრომი მთლიანად შევიდა ნომადი ბართაიას დიდი ფორმატის საუცხოოდ გაფორმებულ სლაიდებიან წიგნში „საქართველო და ირანი (უპრეცედენტო ურთიერთობათა 20 წელი)“. იგი გამოიცა „უნივერსალში“ 2013 წელს, შეადგენს 250 გვერდს. ამ ძვირფასად გაფორმებულ ფერად კრებულში მრავალსახოვანი მასალაა წარმოდგენილი: ავტორი აგრძელებს თავის დაკვირვებებს ირანულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობებზე; თვითონ, როგორც ამ ღონისძიებათა მონაწილე, შემსწრე და ზოგჯერ ინციატორიც კი, მუდამ საქმის კურსშია. 2006 წელს ირანში ჩატარდა **ისფაჰანური სკოლისადმი** მიძღვნილი საერთაშორისო

კონგრესი. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ორმა ქართველმა პროფესორმა: ინგა კალაძემ და ნომადი ბართაიამ. აღნიშნული ღონისძიების სრული სურათია წარმოდგენილი 101-121 გვერდებზე. გადავხედოთ ამ მასალასაც.

ჯერ საუბარია ისპაჰანის დედაქალაქად ქცევაზე, შემდგომ – მის კულტურულ დაწინაურებასა და ისფაჰანური სკოლის გაძლიერებაზე (102-103).

თურმე, თუ ირანელს გაეცნობი, მაშინვე გეტყვის: საქართველო ირანისა ყოფილა. ასე უთხრეს ინგა კალაძესაც, მაგრამ ქალბატონმა ეს იუკადრისა და მყისვე გასცა პასუხი: საქართველო არც არასდროს არავისი ყოფილა და არც იქნებაო! შემდეგ საუბარია იმაზე, რომ ირანში ნებისმიერ მშრალ შეკრებასაც კი პოეტურ საბურველში ხვევენ. ეს ხალხის სისხლში გამჯდარ პოეტურ ბუნებაზე მიუთითებს.

აქვე მოისმენთ შაჰ-აბას პირველის აღსარებას, რომელიც ჩვენთვის, გურჯებისათვის, ფრიად საინტერესოა: შაჰ-აბასს პორტუგალიელი მოგზაურის ანტონიო გოვეასათვის უთქვამს:

„მთელი სპარსეთი მე მემორჩილება, მე კი ალავერდი-ხანს ვემორჩილებიო“ (105). იმხანად ქართველთა დაწინაურებაზე კარგად მეტყველებს ეს ფაქტიც: ალავერდი-ხანის შვილის, ფარსის პროვინციის გამგებლისათვის ასე უთქვამს შაჰს: „ერთი დირჰემით ჩემზე ნაკლები მაინც დახარჯე, შე კაცო, რათა ხალხმა დაინახოს განსხვავება შაჰსა და ხანს შორისო“ (105). ასევე არც ეგ ცნობაა მისაყურისძირებელი: მხოლოდ სპარსულად 59 ნაწარმოები შეთხზულა ლეილისა და მაჯნუნის თემაზე. ისიც ყურადსადებია, რომ თანდათანობით ფართოდ იკვლევენ ქართული წარმოშობის სპარსულენოვან პოეტებს როგორც ირანში, ისე – საქართველოში (107).

ავტორმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ირანში კარგად იციან: ქართველებს გამორჩევით გვიყვარს „ვისრამიანი“ (108).

ცნობილია სპარსული მინიატიურის დიდება. განსაკუთრებით გაძლიერდა ეგ მიმართულება შაჰ-აბას პირველის ზეობისას. სპარსული მინიატიურის შესახებ ფართო მსჯელობა ცოდნასაც გვძენს და ესთეტიკურ სიამოვნებასაც გვანიჭებს

(111). საგულისხმოა, რომ სპარსული მინიატიურის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართული წარმოშობის სიაგუშმა (სიაგუშ-ბეგ გორჯი) და ალი ყული ჯაბადარმა.

ამის შემდეგ წიგნი გრძელდება დღიურებით, რომლებიც ეხება ქართული კულტურის კერებში მოწყობილ ღონისძიებებს. ისინი ეძღვნებოდა ომარ ხაიამის, რუმისა და სხვათა მრგვალ თარიღებს (116-117). სიყვარულით საუბრობს ნომადი ბართაია ირანულ-ქართული ურთიერთობის კვლევა-ძიების ჩარფუზანაში ჩართული მოღვაწეების შესახებ. საკმაოდ ვრცელი მასალა ეძღვნება სპარსული ენის პროფესორ-მასწავლებელთა VII საერთაშორისო კონფერენციას (122). თეირანში გამართულ ამ სიმპოზიუმს დაესრო 50 ქვეყნის 400 მეცნიერი; ქართველთაგან – ორი. აქვეა ცნობილი და დაუვიწყარი ფრაზა დარმსტეტერისა: „სამანელებთან ერთად ტახტზე ავიდა სპარსული პოეზიაც“ (126); აქვე ყურადღება მახვილდება ენის დაცვისა და გაძლიერების იმ მეთოდზე, რომელსაც ირანელები იყენებენ. სხვათა შორის, კომუნისტური ეპოქის დასაწყისში (1920-

1930-იან წლებში) ქართველებიც ისე ირჯებოდნენ, როგორც ირანელები, ოღონდ დამოუკიდებლობის წლებში ამ მხრივ სრული ფიასკო განვიცადეთ. აი, ეს მონაკვეთიც:

„დღევანდელ ირანში დიდი სიფრთხილით ეკიდებიან ყოველ ახალ უცხოურ სიტყვას, მშობლიური ენის წიაღში ეძებენ მის შესატყვისს, ქმნიან ახალ ლექსიკურ ერთეულებს...“ 12 წელში 3000 სიტყვა შექმნეს (127).

ქვეთავი „ქართველის მიერ ირანში დაცული პირველი დისერტაცია“ (128) მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ და რა თემაზე დაიცვა მეზობელ ქვეყანაში დისერტაცია ალექსანდრე ჭულუხაძემ. იგი ეხება „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებულ ირანულ ლექსიკას.

ნ. ბართიას ახასიათებს თვისება: ნარკვევში ალაგ-ალაგ ჩართოს თავის დროზე ზუსტად დაფიქსირებული წარსულ დღეთა დღიურები. ასე იქცევა ახლაც. აი, თხრობაში ყოველი დღის ამსახველი მასალა გამოურია. აქედან კი ვიგებთ: ირანის საელჩოში გამოჩნდა ახალი კადრი, საელჩოს კულტურის განყოფილების გამგე ბატონი

ეჭსან ხაზაი. მის გამოჩენას თან მოჰყვა ყოველ-
კვარტალური ჟურნალი „კალამი“ (132). შემდეგ
ნაჩვენებია ამ მოღვაწის ერთობ აქტიური საქმიან-
ნობა საქართველოში; დღიურებში მოთხრობი-
ლია თბილისსა და ქუთაისში ჩატარებულ ღო-
ნისძიებებზე. ეს არის: ირანული კულტურის
დღეები (132); სპარსული პოეზიის სადამო; აღ-
ნიშნულია ფაქტი: თბილისის კიდეც სამ საშუა-
ლო სკოლაში შემოიღეს სპარსული ენის შეს-
წავლა; ჯავახიშვილის სახელობის უნივერსი-
ტეტში სპარსულ ენასა და ლიტერატურაში ლექ-
ციების წასაკითხავად ჩამობრძანდნენ ირანელი
პროფესორები; ირანულ ჩაიხანა „გულანშაროში“
წარადგინეს ნომადი ბართაიას წიგნი „ქართული
საყვავილე ირანული ვარდებისათვის“ (134); ფე-
რეიდნელებმა თბილისის ერთ-ერთ სკვერში ხეე-
ბი დარგეს და მას ფერეიდნელთა სკვერი ეწოდა;
„კაკასის სახლში“ გაიმართა ვახუშტი კოტე-
ტიშვილის სადამო. დაესწრნენ ირანისა და სა-
ქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლები;
უნივერსიტეტში იზეიმეს აღექსანდრე გვახარიას
80 წლის შესრულება (137); გაიხსენეს ირანისტი

დავით კაციტაძე; გამართეს საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქრისტიანობა და ისლამი ტერორიზმის წინააღმდეგ“; განიხილეს მარინე ინგოროყვას წიგნი „ირანში. სპარსული დღიური“ (139); ირანელ მუსიკოს-შემსრულებელთა გუნდი გამოდის ქუთაისში. აქ გამართულა საინტერესო დიალოგი. ბატონმა ხაზაიმ ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორს უთხრა: – გავიგე, რიონის ერთი მხარე ევროპა ყოფილა, მეორე – აზიაო.

ქართველს პასუხი არ დაუყოვნებია:

– ჩვენი უნივერსიტეტი აზიის მხარეს მდებარეობს. ამიტომაც ირანთან უფრო მეტი სიყვარული გვაკავშირებსო (140); წიგნში ყოველ მეორე გვერდზე ისეთი ფოტოა დაბეჭდილი, რომელშიც ნ. ბართაია ჩანს; წიგნის ყოველ გვერდზე ნ. ბართაიას ან ლექსია (სპარსულად შეთხზული), ან სიტყვა და ეგ ავტორის ნარცისიზმად არ უნდა შევრაცხოთ. უბრალოდ, ეგ იმიტომ ხდება, რომ ავტორი ერთ-ერთი აქტიური პერსონაჟია იმ პროცესისა, რომელსაც ირანულ-ქართული თანამედროვე კულტურული ურთიერთობანი ჰქვია. ის ხან ორგანიზატორია ამ თუ იმ ღონისძიებისა ან

სხვათა მიერ მოწყობილის აქტიური მონაწილე, ან კიდევ თარჯიმანი...

განვაგრძოთ დღიურების ზოგი მომენტის ხაზგასმა.

სასტუმრო „თბილის-მარიოტში“ შედგა მრგვალი მაგიდა. გაზეთის კორესპონდენტი სოფიო თოდუა ირანელთა წინაშე წამოაყენებს კითხვას: – რატომ ხდება, რომ, თუ პასპორტში ირანის ვიზა დაგინახეს, არ შეგიშვებენ არც ისრაელში, არც ამერიკაში?

საინტერესო იყო პასუხი:

ჩამობრძანდით ირანში და აღარ მოგიხდებოდათ წასვლა არც ისრაელსა და, მით უფრო, არც ამერიკაში (141).

დღიურის ერთი ჩანაწერი მთლიანად უნდა მოვიყვანო. თუმცა კი იგი ნ. ბართაიას ბევრ წიგნში ხაზგასმითაა დაბეჭდილი, მაინც, როგორც უმნიშვნელოვანესი და საკვანძო, გამეორების ღირსია:

„მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს საუკუნეთა სიღრმეში აქვს გადგმული ფესვები, რაც უნდა

უცნაურად მოგვეჩვენოს, უშუალოდ სპარსული ლირიკის თარგმნას მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან ეყრება საფუძველი. მისი პირველი მთარგმნელია ჭელიძე. მანამდე ირანულიდან ჩვენში მხოლოდ ეპიკური ჟანრის ლიტერატურა ითარგმნებოდა“ (147).

ნ. ბართაია, როგორც თვითონ ამბობს, ზედაპირულად, ოღონდ, ჩემი დაკვირვებით, საკმაოდ სიდრმისეულად მსჯელობს სახელოვანი ირანისტიკის მაგალი თოდუას სამოცწლიანი შემოქმედებითი შრომის გვირგვინზე. ეგ გახლავთ ქართულად გადმოყვანილი „სპარსული პოეზიის შედეგები“. აქ თავმოყრილია X-XXI საუკუნეების ლექსები. ნომადი წერს: „მკითხველს საშუალება ეძლევა თერთმეტი საუკუნის განმავლობაში მფეთქავი სახელგანთქმული სპარსული პოეზიის გულისცემას ყური მიუგდოსო“ (148). შემდეგ ჩამოთვლილია ის სახელოვანი მგოსნები, ქართულად რომ აუძღვრებიან მთარგმნელს. მათ შორის, არიან ნიზამი განჯევი და ხაყანი შირვანი (149).

აქ მოკრძალებით უნდა „ჩაუხსველო“ (ბარათაშვილისეული ირონიას) ჩვენს ავტორსა და

არა მარტო მას, არამედ მთელ „ქართველ სპარსელთა“ მარაქასაც. თითქმის ყველა ორიენტალისტი თითქმის მუდამ ერთ აშკარა შეცდომას უშვებს, როცა ნიზამის უწოდებს **განჯელსა** და ხაყანის – **შირვანელს**. საქმე ისაა, რომ ზედწოდება, ნესბა, არ ითარგმნება. არ შეიძლება რუსმა **შოთა რუსთველი** ასე გადაიღოს: **შოტა იზ რუსტავი**. არა, უნდა ახსენოს ისე, როგორც ქართველი იტყვის: **შოთა რუსთაველი**. აღნიშნულის მსგავსად, არც ჩვენა გვაქვს უფლება, ნიზამის ანდა ხაყანის ნესბა ქართულ ყაიდაზე „მოვთარგმნოთ“. მაშ, არა **განჯელი**, არამედ – **განჯევი**; არა **შირვანელი**, არამედ – **ხაყანი შირვანი**. აი, სიმართლე და ბასტა!

ნ. ბართაია განიხილავს მ. თოდუას თარგმანებს და გვიჩვენებს, რომ ისინი არა თარგმანები, არამედ ქართულად დაწერილი ქმნილებებია, მათ თარგმნილობა არც კი ეტყობათო.

ეს, რა თქმა უნდა, მთავარი მსჯავრია!

კარგი თარგმანი ის არის, ქართველი რომ წაიკითხავს და ვერც კი მიხვდება, ტექსტი თარგმანია თუ ორიგინალური.

აქვე აღნიშნულია, რომ მთარგმნელმა გადმოიღო ეპიკური შედეგებიც: „ლეილი და მაჯუნუნი“, „ხოსროვი და შირინი“, „შვიდი მზეთუნახავი“, „შაჰ-ნამეს“ ზოგი თავი (150). რომ მანვე შეადგინა ათასგვერდიანი „ისა-ნამე“ (იესო ქრისტეს წიგნი), რომელსაც თან ახლავს სამეცნიერო აპარატი და აქ ზღვა სპარსული პოეზიიდან ამოკრებილია ყველა ის ადგილი, სადაც ქრისტე და წმინდა მარიამი დიდის მოკრძალებით არიან მოხსენიებული. მკითხველს ალბათ დააინტერესებს ერთი ცნობა: ხაყანი შირვანის შემოქმედებაში იესო ქრისტე გაცილებით მეტჯერ არის ნახსენები, ვიდრე – მუჰამედი (150).

აღნიშნულ გამოხმაურებაში არის კიდევ ორი მნიშვნელოვანი მითითება. პირველი ეხება იმას, რომ, ეპოქათა მიხედვით, „სპარსულ პოეზიაში ძირითადად გამოიყოფა სამი სტილი: სამანიდური (X-XII), ერაყული (XII-XV) და ინდური (XVI-XVIII); მეორე ეხება ზოგი მგოსნის გართულებულ სტილს, რეზუსამდე მისულ ზოგ სტროფს, ზოგჯერ მისტიკურ მსოფლადქმასაც. ამიტომაც, – ბრძანებს მკვლევარი, – მაგალი

თოდუას არა ოდენ ტექსტის მხატვრული თარგმნა ევალებოდა, არამედ ზოგი ბუნდოვანი ტაეპისათვის სამეცნიერო კომენტარის დართვაცო (152).

აქვე ესეც უნდა ვთქვათ:

როცა ამგვარ „სირთულეებზე“ მსჯელობს, ნ. ბართაია სულ არ ახსენებს ჯამისა და მისი თანამედროვეების დროს სპარსულ პოეზიაში მოდად ქცეულ ე. წ. **მუამებს**, რთულ ლექსებს, საგანგებოდ დაბურუსებულ მხატვრულ მეტყველებას. აქვე ვიტყვი: ჩვენი მეცნიერების მიერ XII საუკუნის ძეგლად მიჩნეულ ე. წ. „აბდულმესიანიში“ აღმოვაჩინე XV-XVI საუკუნეების სპარსულენოვან სამყაროში მოდად ქცეული ეგ **მუამები**, რითაც კიდევ ერთი უარუთქმელი არგუმენტი მოვიპოვე იმისა, რომ ე. წ. „აბდულმესიანი“ არაა ი. შავთელის პოემა. ის დაკარგულია. ჩვენს ხელთ არსებული ტექსტი კი შეთხზა ი. შემოქმედელმა 1661 წელს და უძღვნა იმხანად იმერეთის ტახტზე ასულ არჩილ მეფეს (ბაგრატონს). ამიტომაც არის, რომ 1661 წელს შეთხზულ ტექსტში გვაქვს „სპარსული გაუგებრობის“, ანუ „მუამის“,

მაგალითები. აღნიშნულ პრობლემაზე ჩემი სტატია დაიბეჭდა „ლიტერატურულ მესხეთში“ (2022, №3).

ამის შემდეგ საქმეში კვლავ ერთვიან დღიურები. რას გვამცნევენ ისინი?

სამხატვრო აკადემიაში გაიხსნა ირანელი ფოტოხელოვნის ფოტოგამოფენა (152); თბილისის პირველ საშუალო სკოლაში გაიმართა ნოვრუზისადმი მიძღვნილი ზეიმი; ირანელებმა წარმოადგინეს თოჯინების თეატრი; თბილისში გაიმართა ფირდოუსისადმი მიძღვნილი კონფერენცია. ყველაზე საგულისხმო ქართველი მკითხველისათვის არის აქ წარმოდგენილი სიტყვა ირანის ელჩის საბერისა: მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და არსად ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ გმირთა სახელები ისე არ არის გავრცელებული, როგორც საქართველოში (153).

შამსე თაბრიზისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონგრესს წიგნის ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს. შამსე თაბრიზი (მზე თავრიზისა) ჯელალ ედ-დინ რუმის ფსევდონიმია. კონგრესი გაიმართა ურმიასა და ხოიში. ნ. ბართაია იქ გა-

მოვიდა მოხსენებით – „რუმის პოეზიის ქართული თარგმანები“ (155).

ყუმი არის ირანელთა წმინდა ქალაქი. აქ ყველაზე საპატიო და წარჩინებული ადამიანები იმარხებიან. სხვათა შორის, აქ მარხია მე-17 საუკუნეში მთელი საქართველოს გამაერთიანებელი ვახტანგ V შაჰნავაზი, არჩილ მეფის მამა. 1661-1663 წლებში მან ფაქტობრივად მთელი ივერია გააერთიანა, შაჰთან საუკეთესო ურთიერთობა დაამყარა და, მასთან სტუმრად მიმავალი, გარდაიცვალა. აი, ამ ქალაქში მოეწყო I საერთაშორისო კონფერენცია ცივილიზაციათა დიალოგის ფარგლებში ისლამსა და მართლმადიდებლურ ქრისტიანობას შორის (157). ძალიან საინტერესო ამბებია აღწერილი „მარაშის ბიბლიოთეკაში“ (166). სწორედ აქ უთხრეს ჩვენს ავტორს ფრაზა, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია: მარაში ისეთი ბაგში იყო, მამას ფეხებზე კოცნით აღვიძებდაო.

ახლა უნდა ვახსენო ერთობ საინტერესო გამონათქვამი, რომელსაც განსაკუთრებით გამოვყოფ: „ყაზვინის ისტორიაში“ (X ს.) იმამ სადგეი

წერს: „**ღმერთმა ყველა ქალაქს შორის სამი გამოარჩია – ქუფა, ყუმი და თბილისი**“ (176).

და ნ. ბართაიას მიეცა საშუალება, ამ ფაქტზე გერგილიანად მოერგო თავისი აწინდელი სათქმელი: „იქნებ შემთხვევითი არც იყოს, რომ პირველად სწორედ ღვთის რჩეულ ქალაქებში – ყუმსა და თბილისში – გაიმართა რელიგიათა შორის დიალოგები“ (176).

არც მომდევნო ცნობა იქნება უინტერესო: შუა საუკუნეებში ქალაქებს ზედწოდებებით ამკობდნენ, მაგალითად, ბაღდადს უწოდეს **დარ-ოლ სალამ**, ანუ **ადგილი მშვიდობისა**; კონსტანტინოპოლს – **დარ-ოლ საადათ**, ანუ **ადგილი ბედნიერებისა**; შირაზს – **დარ-ოლ ელმ**, ანუ **ადგილი სიბრძნისა**; თბილისს – **დარ-ოლ სურურ**, ანუ **ადგილი სამოთხისა** (176).

ირანელი ადამიანის, განსაკუთრებით მორწმუნე ირანელის, სულიერ პორტრეტს ზედმიწევნით გამოხატავს მისი მოქმედება, საქციელი. აი, ერთი საგულისხმიერო ამბავი: წმინდა ჯაფარს ლოცვის შემდეგ მინდორზე სუფრა გაუშლია. შინ დაბრუნებულს დახვეული სუფრა გასაბერ-

ტყავად კვლავ გაუშლია, მასზე ჭიანჭველა შეუმჩნევია; უფიქრია, იქიდან არის გამოყოფილი, სადაც წავიხემსე, იქ მას ოჯახი ეყოლებაო. დაუხვევია სუფრა, ის სულიერი თავის ადგილას მიუყვანია, გაუშვია. ცნობისათვის – წმინდა ჯაფარი ფეხით დადიოდა თურმე თავისი სახლიდან იმ სალოცავამდე. მანძილი მათ შორის ოცდასუთი კილომეტრი ყოფილა.

ავტორი ამ ამბავს ასეთი კომენტარითა კრავს: „ჩვენ ვიყავით ქალაქში, სადაც ჭიანჭველებს ასე ეპყრობიან“ (177).

2011 წელს, სწორედ იმ ხანობას, როდესაც მე მონოგრაფიისათვის „ფირდოუსი და რუსთველი“ (2009) დავით აღმაშენებლის საერთაშორისო პრემია (სიგელი და 4 ათასი დოლარი) მივიღე, ირანის ქალაქ ზაჰედანში გაიმართა ფირდოუსისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესი. ამ მოვლენას ეძღვნება ქვეთავი „ფირდოუსი მეორე ათასწლეულში“ (178).

ჭაშნიკად ამ ნარკვევის უმნიშვნელოვანეს ცნობებსა თუ შენიშვნებს შემოგთავაზებთ: „ირანს საფრანგეთისოდენა მხოლოდ უდაბნო აქ-

ვსო“ (179); „ირანელები თითქოს იმიტომ გაჩენილან, რომ სტუმრები მიიღონ და გააცილონ“ (179); ირანში მათხოვარს ვერ ნახავთ, ხოლო პირველი, რაც თვალში გეცემათ, ეროვნული ტანისამოსისადმი თაყვანებააო (179); ქალაქი უდაბნოს ოაზისია; აქაური უნივერსიტეტი სტუდენტთა რაოდენობით ქვეყანაში მეორეა; გემოვნებით აგებულია სასწავლო კორპუსები, საცხოვრებელი სახლები... დიდებულია უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზი, ქალაქის მუზეუმი შესანიშნავია; პირველი პოეტი ქალი სპარსულ პოეზიაში არის რაბია. მის ლექსში გამოყენებულია სიტყვა „ქამანდი“. აღნიშნული ქმნილება ნ. ბართაიამ თარგმნა. სულ ამ პოეტი ქალის (X ს.) 52 ბეითია შემორჩენილი (181); ჩვენი ირანისტის მოხსენება იყო ასეთი: „შაჰ-ნამეს ორი გმირის – როსტომისა და ზურაბის – სახე ქართულ ფოლკლორში“.

ნ. ბართაია როსტომ-გმირის სამშობლოს ქართულად ასე უწოდებს – **ზაბოლი** (188). მე კი მგონია, უკეთესი იქნებოდა მისი ძველი სახელწოდება აელო – ეს გახლავთ **ზავლისტანი**, თანაც გასათვალისწინებელია, რომ „ვეფხისტყაოს-

ნის“ ერთ ინტერპოლატორულ სტროფშიც სწორედ ეგ ფორმაა ნახმარი.

წიგნის ავტორი აღწერს შირაზს, იქაურ კულტურულ ღირსშესანიშნაობებს, საადისა და ჰაფეზის მავზოლეუმებს, საუბრობს ლირიკოსების ქართულ თარგმანებსა და იმაზე, თუ როგორ ააუღერეს ქართველმა სტუმრებმა საადისა და ჰაფეზის საფლავეებზე ქართული სიტყვა; შემდეგ ნარკვევში ჩართულია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირის მეორ თარგმნილი ჰაფეზისა და საადის შედევრები (197-201). მომდევნო მონაკვეთებიდან იმას გამოვაცალკევებ, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ირანში პოეზიას: აქ ყველაფერი პოეზიით სუნთქავს; სერიოზულ თავყრილობებსაც კი პოეტი ხსნის და ხურავს; ქვეყნის ხელმძღვანელები პოეტებიც არიან. მაგალითად, ირანული ისლამური რევოლუციის წინამძღოლი იმამ ხომეინი პოეტი იყო; ქვეყნის მეორე წინამძღოლი აიათოლა ხამენეიც პოეტია; ქვეყნის პრეზიდენტი აჰმად ნეჟადი პოეტია... ამიტომაც თუ ბრძანა იმამ ხომეინიმ: „ლექსი ეროვნული სიმდიდრეა“ (202).

ნ. ბართაიამ ერთ ირანელს საკუთარ ლექსთა კრება აჩუქა. იმან გამოართვა წიგნი, აკოცა და შუბლზე მიიღო (203), ანუ შეასრულა ის ძველთაძველი წესი, რაც ოდესღაც საქართველოშიც სრულდებოდა. ამის დასტურია „ვეფხისტყაოსანი“. აქ მიღებულ უსტარს აკოცებენ, მერე შუბლზე მიიღებენ და ამის შემდეგდა კითხულობენ. ასევე ფრიად მნიშვნელოვანია მომდევნო ცნობა: „მირზა ყალჩ ბეგს შეუდგენია ინდოეთში მცხოვრებ ქართული წარმოშობის სპარსულენოვან პროეტა კრებული „გორჯი-ნამე“, ანუ „ქართული წიგნი“ (209).

და ისევე დღიურების სახით ჩართული მონათხრობი. აქ უპირველესია იმ დიდი საქმის აღსრულების გამო ტაშის შემოკვრა, როგორც არის „შაჰ-ნამეს“ ათასგვერდიანი ფოლიანტის გამოცემა. თარგმანი ეკუთვნის თანამედროვე შესანიშნავ პოეტ ქალ ბელა შალვაშვილს (210-211). ნ. ბართაია ფართოდ მსჯელობს ქართველ პოეტსა და მის თარგმანზე, აძლევს მას მაღალ შეფასებას. ბარემ ესეც ითქვას: ამ ისტორიულად მნიშვნელოვანი წიგნის გამოცემისთანავე დაი-

ბეჭდა ჩემი გამოსმაურება „სულთნის საჩუქარზე უმჯობესი“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 2011, 6 დეკემბერი); წიგნის მომდევნო მონაკვეთების ყველაზე საგულისხმო ამბავია ის, რომ უნივერსიტეტში მოეწყო ირანელი გრაფიკოსი ქალბატონის საპარ ეშეისანის ნამუშევრების – „ქართული ანბანის საიდუმლო“ – გამოფენა (212); ჩვენი ავტორი ყურადღებით ეპყრობა მწერალ ცირა გელენავას ღვაწლს: მან ხუთტომიანი რომანი შექმნა, სადაც ასახა აქემენიდთა დინასტიის წარმომადგენლის ქსერქსეს ცხოვრება. ამავე დროს, აქვეა წარმოსახული დარიოს პირველის, ქსერქსე პირველისა და არტა ქსერქსეს მეფობაც (219); მკითხველმა უნდა იცოდეს ალექსანდრე ელერდაშვილის ღვაწლიც. ამის თაობაზე მოთხრობილია საკმაოდ მკაფიოდ (227); ირანის წმინდა ქალაქ ყუმში ჩატარებულ პირველ საერთაშორისო კონფერენციას – „ქრისტიანობა და ისლამი“ – მოჰყვა მეორე საერთაშორისო კონფერენცია თბილისში, საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში. საამისო მასალები მოცემულია ნ. ბართაიას წიგნის 222-223-ე გვერდებზე. ყოველი-

ვე ამას, როგორც წესი, კვლავ მოსდევს დღიურები და მათში შემორჩენილი ცნობები. ამათგან გამოვეყოფთ რამდენიმეს: მოყვანილია მემორანდუმი, რომლითაც ირანი ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას; ეს ჩანაწერები ძირითადად 1990-იანი წლების ბოლოს მომხდარ ამბებს წარმოაჩენს. აქ ასახულია ყველა ის ღონისძიება, რაც კი ორ ქვეყანაში გაიმართა (225-232).

როგორც ზემორეულ ვთქვით, სპარსეთში ყოველ, თუნდაც უსერიოზულეს, თავყრილობას ლექსით იწყებენ და ლექსითვე ხურავენ. ასე ირჯება ჩვენი ირანოლოგიც. ამ უზარმაზარი წიგნის დასასრული მასაც რუდაქის (860-941), რაბიას (IX-X), ბაბა თაჰერ ურიანის (XI ს.), ომარ ხაიამის (1040-1123), ხაყანის (1120-1190), ჯელალ ედდინ რუმისა (1207-1273) და საადის (1203-1292) შედეგებით დაუსრულებია. ნიმუშად ხაყანის მსოფლოდ ერთ ხანას გაახსლებთ:

**ვაი, როგორ მოკვდა გული,
დამრჩა მხერა წყლიანი.
ვის დაინდობს ეს საწუთრო,**

ანუ ბედის ტრიალი.
ყველაფერი, რაც გავისინჯე
წუთისოფლის ტაბლაზე,
ან მთლად უმარილო იყო,
ან მთლად მარილიანი.

მეგობარო მკითხველო, ნომადი ბართაიას ამ წიგნის ჩემეული მიმოხილვა, შესაძლოა, „ან მთლად უმარილო“ გეჩვენოთ, „ან მთლად მარილიანი“. მიუხედავად ამისა, მაინც წინ უნდა წავიწიოთ და განვიხილოთ ამ რიგის მისი მომდევნო წიგნი. მეორე ფოლიანტიც უზარმაზარ მასალას მოიცავს, გამოცემულია 2019 წელს. სახელი მისი ასე უღერს: „საქართველო და ირანი. კულტურული ურთიერთობანი გრძელდება“. დიდი ფორმატის ამ 237 გვერდიან კრებულში პირველ მასალად მოწოდებულია „ჯილდოდ – მოგზაურობა ირანში“ (8). მწერალთა კავშირმა კონკურსში გამარჯვებული ახალგაზრდა მწერლები ირანში მოგზაურობით დააჯილდოვა. მოგზაურნი დაესწრნენ თეირანის წიგნის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობას (10). სასიამოვნოა, რომ აქამდე ცალმხრივი ლიტერატურული ურთიერთობანი

(მხოლოდ სპარსული ნაწარმოებები ითარგმნებოდა ქართულად) ამჟამად ორმხრივი გახდა. „ამ მოკლე ხანში სპარსულად ორჯერ ითარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (10); აქვე საუბარია ირანში გამოხდილი ვარდის წყლის პოპულარობაზე (16); შემდეგ მოთხრობილია ისევ ფერეიდანზე (19-21); ყოველ ამ საუბარს თან ახლავს დოკუმენტური ფოტოები. მართალია, ზოგი აქ მოწოდებული ცნობა იმეორებს წინა წიგნში მითითებულს, ოღონდ ამას აქვს ახსნა: ქართველ მოგზაურთა ახალი ჯგუფი ირანის ძველთუძველეს ქალაქებსა და საკულტო ძეგლებს ათვალიერებს. საგულისხმოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ქვეყანაში ისწავლება ქართული ენა (33); წიგნში არის მსჯელობა ირანის მეცნიერებათა აკადემიაზე, იქაურ ბიბლიოთეკებზე, საინტერესო გამოცემებზე, ინსტიტუტებზე, ისლამის დიდი ენციკლოპედიის ცენტრზე. აქაც ალაგ-ალაგ გაიეღვებს სპარსული სიბრძნე, უმეტესად ზნეობაზე ორიენტირებული: „ცოდვის არ ჩადენა უფრო ადვილია, ვიდრე მონანიება“ (50); ქვეთავში „თავრიზის მზე“ (65-70) საუბარია პოეტთა პანთეონზე, ქარ-

თულ და ირანულ უნივერსიტეტთა ურთიერთობებზე, გაცვლით პროგრამებზე, წარმოდგენილია ცალკეულ ფაკულტეტთა კორპუსების ფოტოები; აქვე საუბარია თავრიზის ისტორიაზე, აქ არსებულ ქაბუთის ისტორიულ მეჩეთზე, ციხესიმაგრის ნარჩენზე, ცნობილ ბაზარზე, საპარასკევო მეჩეთზე, გოლესთანის ბაღზე, ხელოვნურ ტბა ოღგოლზე, მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიაზე, პოეტთა პანთეონზე, სადაც განისვენებენ მსოფლიო მნიშვნელობის სიტყვის ოსტატები. მათ შორის ორი კი დემეტრე მეფის დაკრძალვაზე იყო ჩამოსული „აფხაზეთში“. ესენი არიან ხაყანი შირვანი და ფალაქი შირვანი (80); მათ შორის ზოგიერთის პოეზია გადმოუქართულებია ამ წიგნის ავტორსაც. აქვე მოყვანილია ხაყანის გნომა:

**ბევრ ქვაზე გადავიანკარე, როგორც მდინარემ,
ბევრი წავლეკე ნარ-ეკალი, როგორც მდინარემ.
როგორც მდინარემ, მშობლიური დავტოვე მხარე,
და ვერ ვიქციე პირი უკან, როგორც მდინარემ.**

ეს ნომადის მშვენიერი თარგმანია.

აი, როგორ უღერს ბოლო ხანა ლექსისა
„დაბრუნება თიფლისს“, რომელიც მე ასე გად-
მოვიდე:

**რომ საქართველო გავცვალო სხვაზე,
არ დაიჯერო სიცრუე მტკნარი,
მე სამარყანდად თბილისი ვსახე
და ჯეიშუნად მეჩვენა მტკვარი!**

მერე აღწერილია პოეტ შაჰრიარისადმი (1906-1988) მიძღვნილი მეორე საერთაშორისო კონფერენცია, რომელზედაც ქართველთაგან პირველს ნომადი ბართაიას ხვდა წილად შაჰრიარის სახელობის ჯილდო ქართულ-ირანულ კულტურულ ურთიერთობათა განვითარებაში გაწეული შრომისათვის (95). მკვლევარს მოჰყავს ხაყანი შირვანის მოკლე ბიოგრაფია და იქვეა აღ. გვახარიასეული თარგმანი ცნობილი ლექსისა „მოი, მოი!“

**ქრისტიანი ქალის ეშხით ვდნები,
წავალ, აფსაზეთში დავსახლდები,
მას ქართულად ვუხმობ: მოი, მოი,
იმდენჯერ, რომ ენად მექცევს თმები (104).**

მე საგანგებოდ გავეჯიბრე ბატონ ალექსანდრეს და აი, რა გამომივიდა:

**„აქა ლირიკული ბაღახემა
ნახევრად ბურჟუაზი ხაყანისათვის“**

დიდი აზერბაიჯანელი პოეტი ხაყანი შირვანი ნიზამისა და რუსთველის უფროსი თანამოკალმეა. იგი შირვანშაჰების კარზე მოღვაწეობდა; იმდენჯერ ახსენებს ქრისტეს, ქრისტიანებსა და წმინდა მარიამს, რომ იური მარი კიდევაც აცხადებდა: ნიზამი და ხაყანი, შეიძლება, კაცს უფრო ქრისტიანებად მოეჩვენოს, ვიდრე რუსთველი; რუსთველი კი უფრო მუსლიმად, ვიდრე ნიზამი და ხაყანო.

ეტყობა, ხაყანის ჯეროვნად ვერ აფასებდნენ. ის გაუნაწყენებიათ, ციხეშიც ჩაუსვამთ. თავის ერთ ლექსში წყრომით აღსავსე გულიდან ამოსულ ასეთ სიტყვებს ამბობს: თუ მე ჯეროვნად არ მაღიარებენ და ღირსეულ პატივს არ დამდებენ, დავაგდებ მუსლიმანობას, ნაჭარმაგევს მივაშურებ და მუხრანის მონასტერში დავიდებ ბი-

ნას; შირვანშაჰების მონათესავე ბაგრატიონთა შორის მივიღებ თავშესაფარს, გავხდები მონაზონი და ჩოხას ჩავიცვამ.

ამას ასე თამამად იმიტომაც აცხადებს, რომ დედა დასავლეთ საქართველოს მკვიდრი ჰყავდა – გურული ქალი: იცოდა ქართული ენის გურული დიალექტი და ამით კიდევაც ამაყობდა. თავის ქმნილებებში, რომელთაც სპარსულად წერდა, ხშირად ჩაურთავდა ხოლმე აზერბაიჯანულ და ქართულ სიტყვებს. სწორედ ერთი ასეთია რობაი, რომელში მას დიდოსტატურად აუბგერწერებია გურული ზმნა **მოი!** (მოდო!). ამიტომაც ამ შედეგს მე „გურული რობაი“ ვუწოდებ. ჩემი თარგმანი დიდად განსხვავდება ალექსანდრე გვახარიას ნახელავისაგან და უფრო ახლოა იური მარისეულ რუსულ თარგმანთან.

გურული რობაი

ძვირფასო ჩემო, ქრისტესა მრწემო;

აქ მო, მოძებნე ბინა ამოი!

უშენოდ ციხე არის სამყარო,

ზამთარ-ზაფხული – უსალამოი;

მე ისე ხშირად, ჩემო ღვთაებავ,
გიხმობ, გეძახი: „მოი“ და „მოი!“
რომ ენა ჩემი გარდიქცა „მო“ ვით,
თვით ენა გახდა თითქოსდა „მოი“.
„მო“ სპარსულია და ნიშნავს თმას“.

(იხ. მურმან თავდიშვილი, ნიზამი და რუსთ-
ველი, თბ., 2011, გვ. 55-56)

ამ თარგმანში ცენტრალური სიტყვაა „მო“
(თმა) და მეც აქცენტი **მო** ბგერათკომპლექსის
ახმიანებაზე გავაკეთე. ჩემს ნახელავში **მო** ისმის
თერთმეტჯერ!

„ირანისტიკა ირანს გარეთ“ (109) ბევრ საინ-
ტერესო ფაქტს, მოვლენას ამზევებს. აქ აღწერი-
ლია ირანისტიკის ცენტრების ხელმძღვანელთა
პირველი საერთაშორისო ბიენალე. სიმპოზიუმში
მონაწილეობდნენ 80-ზე მეტი უნივერსიტეტის
წარმომადგენლები; ცნობილ ირანისტ მაგალი
თოდუას ბევრი სპარსული ჩანახატი ეძღვნება
(133-144). სწორედ მისი დამსახურებაა ალ. ბატო-
ნიშვილის საფლავის დადგენა; „ვეფხისტყაოს-
ნის“ სპარსული პწკარედული თარგმანის მომზა-
დება ირანელი მთარგმნელის პროფესორ იუსეფ-
ფურისთვის; ფუზულის ლირიკის თარგმნა, „იო-

სებ და ზუღეისას“ თარგმნა, კრებულ „არმაღანის“ რამდენიმე ტომის გამოცემა. ბართაიას წიგნში ჩაურთავს ბ-ნი მაგალის „სპარსული“ მოგონებები (145-151).

ფართო ფორმატის ამ წიგნში შეტანილია ნ. ბართაიას ცნობილი ნაშრომი (იგი რამდენიმეჯერ დაიბეჭდა) „დავით აღმაშენებლის ერთი დამსახურების შესახებ ქართველი ერის წინაშე“ (153). ღრმად გააზრებული თეორიის არსი ასეთია: დავით აღმაშენებლის დროს გეოგრაფიულად ძალიან დაუახლოვდნენ ერთურთს შირვანისა და საქართველოს კულტურული ცენტრები. 1124 წლიდან შირვანი საქართველოს ვასალური ქვეყანა გახდა. მაშ, სპარსული ლიტერატურული ცენტრი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მოექცა. ამ დროს „წისკვილის დარზე მიშვებული წყალვით დაიწყო შემოდინება სპარსულმა ლიტერატურამ ქართულ მწერლობაში“ (156). ამან დააჩქარა ქართული საერო მწერლობის აღმოცენება. მაშ, ეს იყო ნაყოფი ქრისტიანულ და ისლამურ ცივილიზაციათა დიალოგისა. სწორედ ამ ნიადაგზე იშვა „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ნაზავი

ამ ორი ძალისა (157); რომ არა დავით აღმაშენებელი, საქართველო იქნებოდა თურქ-სელჩუკთა სამფლობელოში შემავალი, სადაც ნებისმიერი ერისთვის სალიტერატურო და ელიტური ენა იყო სპარსული. და მაშინ „ვეფხისტყაოსანიც“ სპარსულად დაიწერებოდა. ხომ გვაქვს ცნობილი მაგალითი: შირვანის შაჰმა აღსართანმა, ქართველი მეფის შვილიშვილმა, ნიზამი განჯევის უბრძანა, გაეღექსა ლეილისა და მაჯნუნის სასიყვარულო ამბავი, ოღონდ არა თურქულ, არამედ „მათთვის საკადრის ფარსულზე“, მაგრამო, – ბრძანებს ნომადი, – დავითმა დამოუკიდებლობის შენარჩუნებით გზა გადაუკეტა სპარსულ ენას და ამით ლიტერატორებს საშუალება მისცა, ეწერათ მშობლიურ ქართულ და არა მოღურ სპარსულ ენაზე (159). მკვლევარი დაასკვნის: „რომ არა დავით აღმაშენებლის ღვაწლი, XII-XIII საუკუნეთა საერო მწერლობა იქნებოდა სპარსულენოვანი“.

ასე ააღორძინა მეცნიერმა აწ უკვე დამარხული თეორია ნ. მარისა, ოღონდ უფრო საინტერესო არგუმენტის მოხმობით, თუმცა მე მინდა მივ-

ცე ერთი შენიშვნა: ამ პროცესში სრულიად არაა გათვალისწინებული ქართული ეკლესიისა და საეკლესიო მწერლობის როლი. ვფიქრობ, ეს მომენტიც საყურადღებოა!

აღნიშნულ უმნიშვნელოვანეს პრობლემას ჩვენმა მკვლევარმა ცალკე ბროშურა უძღვნა. მას ეწოდება ასე: „ქართული საერო მწერლობის სათავეებთან, ანუ ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“ („უნივერსალი“, 2011).

ამ ნაშრომში უფრო ვრცლად, უფრო მდიდარი არგუმენტაციითა და სამეცნიერო აპარატის დართვით არის წარმოდგენილი იგივე თვალსაზრისი. ამით ნარკვევს მეტი დამაჯერებლობა შეემატა, ოღონდ ამ წიგნში გამოყენებული ერთი დამხმარე არგუმენტი უჯეროა, არასწორი და მიუღებელია. მაგალითად, ერთგან მითითებულია, რომ სპარსული პოეზიის პერსონაჟები ნახსენებიან XII საუკუნის მგოსნის იოანე შავთელის „აბღულმესიაში“. აი, წიგნაკის ეს მონაკვეთიც:

„აბღულმესიანი“

**ვხმობ ვამეყვისსა, ართუ მეყვისსა,
როს იაგარყო იამან ქვეყნით,**

ადმოფხვრა სული – ძე და ასული,
რაც უყო, თქმევად ვის ძალ-უც ენით“
(შავთელი 1988, 32-1-2)

ამ სტროფში ონსორის მეორე პოემის – „ვა-
მეყ ო აზრას“ – პერსონაჟია მოხსენებული – ვა-
მეყი.

ქართულ წყაროებში დაცულ ცნობებს ონ-
სორის პოემათა შესახებ იმდენად ენიჭება განსა-
კუთრებული მნიშვნელობა, რამდენადაც ეს ნა-
წარმოებები, იგულისხმება „შადბაჰარ ო აინ აღ-
ჰაიათ“ და „ვამეყ ო აზრა“ სპარსულ ლიტერა-
ტურაშიც კი გამჭრალან“ (21).

პროფ. ნ. ბართაიას უნდა მივუთითო:

ჩვენ არ ვიცით, თუ რა ეწერა XII საუკუნის
ძეგლ „აბდულ-მესიაში“, რადგან ნამდვილი „აბ-
დულმესია“ დაკარგულია. მთელ დასავლეთ სა-
ქართველოში და, შესაძლოა, მთლიანად საქართ-
ველოშიც კი ერთადერთი შემორჩენილი ხელნა-
წერი ნამდვილი „აბდულმესიასი“ იდო შალვა
დადიანის ბაბუის ტარიელის ბიბლიოთეკაში. ეგ
ბიბლიოთეკა დარჩა შვილს – ნიკოს, შალვას მა-
მას, ოღონდ, სამწუხაროდ, ნიკოს ხის სახლი

1868 წელს ხანძარმა დაფერფლა და ერთადერთი ეგზემპლარიც დაიწვა. საგულისხმო ისაა, რომ უნიჭიერეს ნიკო ტარიელის ძე დადიანს მთელი „აბდულმესია“ ზეპირად ხსომებია და თავის საყვარელ მეგობარ აკაკი წერეთელს ხშირად ზეპირად უკითხავდა ცალკეულ სტროფებს. ორი სტროფი ნამდვილი „აბდულმესიანისა“ აკაკის ზეპირადაც ხსომებია. ის ორიოდე სტროფი პირველად „ივერიაში“ დაიბეჭდა, მეორედ – ჩემს გამოკვლევაში (იხ. მურმან თავდიშვილი, დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში, 2010, გვ. 117).

ამრიგად, ზემორე მოყვანილი სტროფი არის არა ნამდვილი „აბდულმესია“, არამედ ე. წ. „აბდულმესია“, ანუ იაკობ შემოქმედელის სახოტბო პოემა „ქება მეფისა არჩილისა“, დაწერილი 1661 წელს. სწორედ ამ წელს გახდა არჩილ ბაგრატიონი იმერეთის მეფე.

ახლა კი იმის შესახებ, თუ ვის გულისხმობს **ვამეხ-ვისად** იაკობ მიტროპოლიტი და, საერთოდ, რას გვამცნევს ეგ სტროფი.

აქ ნახსენები **ვამეყი** გახლავთ ოდიშის სამთავროს განმგებელი ვამეყ III, ხოლო **ვისი** გუ-

ლისხმობს „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟს, მამაკაც ვისს (და არა ქალბატონს, როგორც ვიეთნი ფიქრობდნენ). ვინ იყო „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების მამაკაცი პერსონაჟი ვისი? ის იყო „უკეთური თურის“ ვაზირი. რას ურჩევს ვაზირი ვისი პატრონს (უკეთურ თურს)? – მოკლას ძმა ირეჯი და ტახტს თავად დაეუფლოს.

მაშასადამე, აქ ნათქვამია: ართუ მეყვისმა ვამეყმა და ვისმა რაღაც ცუდი საქმე ჩაიდინესო. რა ჩაიდინეს? აი, რა:

ვამეყ III და არჩილ მეფის მამა ვახტანგ V შაჰნავაზი შეთანხმდნენ: ვამეყის ქალიშვილს არჩილი ცოლად მოიყვანდა, არჩილი ქუთაისს მეფედ დაჯდებოდა, გავლენიანი ფეოდალი-სიმაპრიკი მას ხელს ყოველმხრივ შეუწყობდა. ტერიტორიებიც ჯეროვნად გაიყვეს. მაგრამ მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა: ცუდმა მრჩეველმა, ანუ ქართველმა ვისმა, ურჩია ვამეყ III დადიანს, რომ თავისი გრძელცხვირა და დოხჭინა გოგო ერთი ადგილობრივი თავადისათვის მიეცა და ადრე დადებული პირობა დაერღვია. ასეც გააკეთეს. ამას მოჰყვა ვახტანგ V შაჰნავაზის ლაშქრობა

დასავლეთში, ვამეყის ოჯახის განადგურება, ვამეყის მკვლელობა, სიძის სიკვდილი, ქართველი ვისის აღმოსავლეთ საქართველოში ტყვეობა. ახლა გავხსნათ საიდუმლო: ვინ იყო ეგ **ქართველი ვისი**, მეტაფორულად გამოხატული ი. შემოქმედელის მიერ? ეგ გახლდათ ეპისკოპოსი **ცაგერელი**.

ზემორელე მოყვანილ სტროფში ყველაფერი ეს არის მითითებული: ვამეყ-ვისი არჩილისა და ვახტანგ მეხუთის მიმართ არის „ართუ მეყვისი“, ანუ არამოყვრული; **ივარ-ყო ამან ქვეყანით** ნიშნავს: ამან, ანუ ვახტანგ მეხუთემ, მიწის პირისაგან აღგავა ხელმწიფობამდე აღზევებული ვამეყი და მისი ოჯახი; **აღმოფხვრა სული – ძე და ასული** – ეს ფრაზაც ჭეშმარიტებას, ისტორიულ ფაქტს, გვამცნევს: შაჰნავაზმა დაიჭირა ვამეყის **ქალიშვილი** და **ერთ-ერთი ვაჟი** და ისინი თბილისში ტყვედ გაუგზავნა დედოფალს. და ბოლო ტაეპი: „რაც უყო, თქმევად ვის ძალ-უც ენით!“ რაც დამართაო შაჰნავაზმა ვამეყსა და ქართველ ვისს, ენით აღარ ითქმებაო. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მოთხრობილია ჩემს წერილში

„ართუ მეყვისი ვამეყვისი“ და მათი საიდუმლო“ (იხ. ჟურნ. „განათლება“, №2, 2021, გვ. 75).

ასე რომ, დროა, მოვეშვათ ღრუბლებში ცურვას და დავეშვათ დედამიწაზე. არავითარი ონსორი და სპარსეთი! აქვე, ახლორე, მიმოვატაროთ თვალი, ჩვენსავე მამულში, სამეგრელოში!

წიგნის საყურადღებო მონაკვეთი ეძღვნება ცნება **აფხაზს**, აფხაზეთის ისტორიას, თუ როგორ უყურებდნენ ირანელნი აფხაზეთსა და აფხაზს (ქართველს). საამისოდ მოყვანილია ციტატები სპარსულენოვანი მხატვრული, ისტორიული და სამეცნიერო ლიტერატურიდან (160-162). ამ მსჯელობიდან გაირკვა: ძირითადად აფხაზი (ქართველი) კარგ მოისრად წარმოედგინათ. ეს გაგება დაცულია „ვისრამიანშიც“. ნ. ბართაიას აღარ ახსენდება, ოღონდ მე შევასხენებ: არსებობს ხალხური ლექსი, რომელშიც ეგ გაგება არის შემორჩენილი: „გადამაგდე და დამკარგე, როგორც აფხაზმა ისარი“.

წიგნის მომდევნო მასალები გვაცნობენ სპარსულის მასწავლებელ ჰოსეინს, ქართული წარმოშობის პოეტ ნედაის (184-185); აქვე მოთავ-

სებუღია ნ. ბართაიას გამოსმაურება აღმოსაუ-
ლეთმცოდნე ფელიქს კურცვაილის პუბლიკაცია-
ზე: „შოთა რუსთველი ნიჭიერი მთარგმნელია
სპარსული პოემისა „ვეფხისტყაოსანი“ და არა
პოეტი“. ქართველი მკვლევრის საპირისპირო არ-
გუმენტები უდავოა და სარწმუნო (220-221). აქვე
უნდა ვთქვა: ბატონ ფელიქს კურცვაილის ერთ
მსგავს ცილისწამებას მეც გავეცი სათანადო პა-
სუხი (იხ. მ. თავდიშვილი, დაბნეული ქარავანი,
ქურნ. „პარალელი“ №10, 2018); შემდეგ გაშლი-
ლია მსჯელობა იმაზე, თუ როგორ თარგმნა
ჩვენმა ავტორმა შაჰრიარის სახელგანთქმული
პოემა „სალამი, ჰეიდარბაბა!“ (223-226); ნ. ბართა-
ია გვესაუბრება მისივე იდეით და მონაწილეო-
ბით შედგენილ „სპარსული ქრესტომათიის“ მი-
ზანზე, საჭიროებაზე (229-230).

და წიგნი იხურება საქართველოში ჩატარე-
ბული ირანული ფილმების ფესტივალის აღწერა-
წარმოჩენით.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:
ყველაფერი, რაც საქართველოს დამოუკიდებლო-
ბის წლებში მოხდა ქართულ-ირანულ კულტუ-

რულ და ლიტერატურულ ურთიერთობებში, თვით წვრილმანი ამბებიც კი, ნომადი ბართაიას ორ ფართო ფორმატის წიგნში ზედმიწევნით და მკაფიოდ არის წარმოჩენილი. ამ ენციკლოპედიურ-სამეცნიერო და მხატვრულ წიგნებში ყველაფერი ან თითქმის ყველაფერია მოქცეული ამ თვალსაზრისით და მკითხველი აუარება გააზრებას, ახალ იდეას, ფაქტსა და მოვლენას გაეცნობა.

ლიტერატურულ-ენობრივ ურთიერთობათა მკვლევარი

როგორც ირანოლოგს, ნომადი ბართაიას ყოველთვის ჰქონდა მეცნიერული ინტერესი, გამოეკვლია და ქართული ლიტერატურის ისტორიაში სათანადო ადგილი მიეჩინა სპარსული პოეზიის თარგმანებისათვის. ამ მიზნით იგი წერდა და აქვეყნებდა სათანადო ნარკვევებს. 2010 წელს კი აღნიშნული მასალები შეკრიბა და ერთ წიგნად გამოსცა. ეს გახლავთ „სპარსული კლასიკური ლირიკის ქართული თარგმანები“, ოღონდ ამ წიგნს აღარ განვიხილავ, რამეთუ იგი მთლიანად შევიდა 2014 წელს გამოცემულ უფრო სოლიდური მოცულობის წიგნში „ქართულ-ირანული ლიტერატურულ-ენობრივი ურთიერთობანი“. ამ 550 გვერდიან გამოცემაში მასალები ძირითადად ქრონოლოგიური პრინციპითაა დალაგებული. რაც მთავარია, „ნაშრომში პირველად არის შესწავლილი მონოგრაფიულად სპარსული კლასიკური ლირიკის ქართული თარგმანები“ (4).

ერთი ფუძემდებლური დებადი აღნიშნული მიმართულებისა გახლავთ შემდეგი: სპარსულ ლირიკას არ დაუინტერესებია ჩვენი წინაპრები... მკითხველთა დაკვეთა ნაკლები ყოფილა ამ ჟანრის მიმართ... ამაში გარკვეული ბრალი ალბათ რუსთველსაც მიუძღვის. მან ხომ ნამდვილი პოეტის სახელი ეპიკური ჟანრის მოშაირეს დაუმკვიდრა... ამიტომაც თუ იყო, რომ სპარსული ლირიკა მეოცე საუკუნემდე არც კი თარგმნილა (8).

მთლიანად ვიზიარებ ამ შეხედულებას.

არც ის არის მივიწყებული, რომ მე-19 ახ. წლეულში აღ. ჭავჭავაძემ მშვენივრად გადმოიღო ერთი რობაი, სადაც „მთარგმნელი იცავს რობაის ფორმას, მისი გარითმვის წესს“ (8).

მართალია, ცალკეული ლირიკული ქმნილებების ინტენსიური თარგმნა დაიწყო XX საუკუნეში, ოღონდ „ქართველი მკითხველი ჯერ კიდევ აღორძინების ხანიდან ეზიარა ირანულ ლირიკოსთა პოეტურ ფრაგმენტებს, რომლებიც ჩუქურთმოვან პროზას უნებლიეთ თან გადმოჰყვა“ (9). ამ მხრივ, რა თქმა უნდა, საინტერესოა დიდაქტი-

კური „ქილილა და დამანა“, ასევე საგმირო-სა-
ფალავნო „ყარამანიანი“.

„ქილილა და დამანა“ ბევრმა თარგმნა,
ოღონდ საბასეული ვერსია საუკეთესოა და ჩვე-
ნი მკვლევარიც მას განიხილავს. საბას ჰყავს
თანაავტორი – ვახტანგ მეფე. განიხილავს რა
ვახტანგისეულ ვარიანტებს, მკვლევარი დაას-
კვნის: „ვახტანგი ხელმძღვანელობს ადეკვატური
თარგმანის პრინციპით“ (10). პროფესორს მოჰყავს
ერთი ნიმუში:

**სიმწყურვალის ნადგლისაგან
ცივ ოხრას სწევს მეტისმეტსა,
იტყვის: რა ვქენ, არ უქნია
არცა შმაგსა, არცა რეტსა.**

მეცნიერი დასძენს: „თარგმანის ენა ბუნებრი-
ვია, აზრი ნათლად არის გადმოცემული, **იგრძნო-
ბა პოეტური კულტურა**“ (11).

ჩვენი მკვლევარი სავსებით სწორ დასკვნას
აკეთებს, **იგრძნობა პოეტური კულტურაო**,
ოღონდ რაა ამის საფუძველი, არას ამბობს. მე
მივუთითებ: აღნიშნულის საფუძველი არის ის,

რომ ვახტანგ მეფე იყენებს რუსთველის გენიალურ ფრაზას მეორე ტაეპში. აი, თუ რამ გამოიწვია, რომ აქ „**იგრძნობა პოეტური კულტურა**“.

საბას მთარგმნელობითი მიღწევების გამორკვევისას ნ. ბართაია ჯეროვნად იყენებს წინამორბედ მკვლევართა მოსაზრებებს (1-13).

ნომადი დაასკვნის: „საბა სიტყვასიტყვით არ მისდევს დედანს და არ ახდენს მის კალკირებას, არამედ შემოქმედებითად გარდაქმნის მას“ (19).

მშვენივრად არის გაანალიზებული დავით ორბელიანის გადმოცემული ლექსები „ყარამანიანიდან“ (23). ნომადის მსჯელობიდან ირკვევა: ერეკლე მეფის სიძე „კარგად ფლობს ქართულ სიტყვასა და ლექსის წერის ტექნიკას... მეტად ფაქიზად ეპყრობა დედნის აზრობრივ-შინაარსობრივ მხარეს“ (25).

აქვე განხილულია „ვარშაყიანისა“ და „სირინოზიანის“ შიგნართული ლირიკული ტექსტები. საბოლოო განზოგადებული დასკვნა ასე გამოიყურება: შიგნართული ლექსების მთარგმნელები რუსთველის მიმდევრები არიან. მათი პოეტური მეტყველება სადა და ნათელია. მათ გამო-

მუშაგებულები აქვთ თარგმანის გარკვეული კულტურა. ისინი არ ექცევიან უცხო ტექსტის ტყვეობაში. არც კალკირების კვალი ჩანს სადამე (26).

საადი შირაზის „გოლესთანის“ რვა კარი უთარგმნია ალ. სარაჯიშვილს. მასალა დაიბეჭდა 1904 წელს „ფასკუნჯში“. მკვლევრის დაკვირვებით, აქ „დაცულია ქართული ენის ბუნებრიობა, მისი სინტაქსური წყობა, სალიტერატურო ნორმები. იგი გვაძლევს ლექსის პროზად გადმოღების ნიმუშს. ლექსის პროზად გადმოღება კი უცხო არ იყო ჩვენთვის“. სწორედ ამის ნიმუშიაო გენიალური თარგმანი „ვისრამიანისა“ (27); სამუქვოდ, 1948 წ. გამოვიდა „გოლესთანის“ სრული თარგმანი (ამბაკო ჭელიძე). ამ რედაქციის ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი შეუტანია ცნობილ პოეტს დავით გაჩეჩილაძეს (88).

ყოველივე ამას ჩვენი მკვლევარი სამართლიანად უწოდებს **უნებლიე** მთარგმნელებსა და **უნებლიე** თარგმანებს, რადგან არც ერთი ზემოხსენებული კალმოსანი საგანგებოდ არ ჩართულა სპარსული შედევრების გადმოყენების საშვილიშვილო საქმეში (29).

პირველი ნარკვევი ეძღვნება ომარ ხაიამს (30).

ხაიამის თარგმნის საჭიროებაზე პირველმა დაძრა სიტყვა პავლე ინგოროყვამ 1924 წელს. ამ მოწოდებას გამოეხმაურა იუსტინე აბულაძე და თარგმნა 24 რობაი. ამას მოჰყვა ხაიამის რობაიების ამბაკო ჭელიძისეული თარგმანები. საქმე დააგვირგვინეს მაგალი თოდუამ და ვახუშტი კოტეტიშვილმა. გარდა ამისა, რამდენიმე რობაი თარგმნეს თამაზ ჩხენკელმა და ნ. ბართაიამ. ამ ბოლო ხანებში ხაიამის რობაიები თარგმნეს ალ. ელერდაშვილმა, ზ. მედულაშვილმა, გ. ლობჯანიძემ... (30).

ფსევდონიმი, ანუ ნესბა, **ხაიამი** კარვების ოსტატსა ნიშნავს. მამამისი კარვის ხელოსანი ყოფილა. მომავალ პოეტს, მათემატიკოსს, ასტრონომს, ფლოსოფოსს, განათლება ხორასანში მიუღია. გარდაცვლილა 1123 წელს (31). მკვლევარი ახასიათებს მგოსანს, მოჰყავს ბევრი მეცნიერის თვით ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებიც კი. ესენი არიან უცხოელი და ქართველი ავტორები. აქვე მკვლევარი თვით რობაის პრინციპს გვით-

ვალსაჩინოებს: „რობაის პირველი ორი სტრიქონი ექსპოზიციურია. მესამე სტრიქონი ეთმობა აზრის აქცენტირებას, ხოლო მეოთხე სათქმელის ლოგიკური დასკვნა-დაგვირგვინებაა“ (33); შემდეგ საუბარია ამბაკო ჭელიძეზე, სპარსულის მცოდნეზე, რომელმაც სამჯერ გამოსცა „სპარსული ლირიკა“ (1933, 1936, 1946); ბ-ნი ამბაკოს თარგმანებში მხოლოდ ერთი ქმნილება მოსწონს ჩვენს კრიტიკოსს, დანარჩენები საკმაოდ ფერმკრთალ ასლებად წარმოუდგენია (39); ზოგჯერ მთარგმნელი ვერ იგებს სპარსულ სიტყვას და ქართულად ისეთი შესატყვისი მოუძებნია, ლექსის მთელი ეშხი იკარგება. დედანშია ტრიალებსო **ოქროს გუმბათი**. ეგ დროის ბრუნვას გამოხატავს. მთარგმნელს უწერია „ოქროს ტაშტი“; სხვაგან ასე ამბობს: „**ვირებზე** ნადირობით რომ უნს იკლავდი“. დედანში პოეტური სიტყვა იძებნება: „**კანჯრის** ნადირობით რომ გულს იოხებდი“ (40). ა. ჭელიძე ხშირად ვერ ახერხებს მეტრის თანაბარზომიერების დაცვას, მაშ, რიტმიც ვერ დაუჭერია (41).

თუ ი. აბულაძისა და ა. ჭელიძის ვაჟკაცობა საქმის დაწყებაა, ხაიამის რობაის ახალ მხატვრულ დონეზე აყვანა მიეწერება მაგალი თოდუას. „მან ხარისხობრივად სრულყო თარგმანები“ (42). თავისი მოსაზრების ნათელსაყოფად მკვლევარს მოჰყავს შესანიშნავი მაგალითი:

მეჩეთში რომ ვართ, კვლავ ლოთები განა

არა ვართ,

განა ალაჰის იმედების ანაბარა ვართ?

აქ გუშინ მოლას სალოცავი ნოხი მოვპარეთ,

ისევ მოვედით ახალ ნოხის მოსაპარავად.

მე წავიკითხე დედნისეული ბწკარედი და მართლაც მგონია: დედნის აზრი უშეცდომოდ და კიდევ მეტად გაღრმავებულადაა გადმოცემული, ხოლო პოეტური ოსტატობა უმაღლეს დონეზეა გაცხადებული. ამ დონის პოეტური კულტურა გ. ლეონიძისა და პ. იაშვილის კულტურასა ჰგავს. მკვლევარი სინჯავს ამ გნომის რუსულ თარგმანებს, მსჯელობს მათზე და გამოაქვს ერთადერთი სწორი დასკვნა: ეგ რობაი გადმოენებულია ჩინებულად, უკეთ, ვიდრე რუსმა და უცხოელმა

ოსტატებმა გადაიღეს თავიანთ ენებზე (44). მოყვანილია რამდენიმე ნიმუში შესანიშნავი თარგმანისა და გამოტანილია საბოლოო დასკვნა: მაგალითი თოდუას თარგმანები ღირსეულ მეტოქეობას უწევენ დედნებს (49).

1963 წელს ცალკე კრებულად გამოიცა ომარ ხაიამის რობაიები. აწ იგი თარგმნა ვახუშტი კოტეტიშვილმა. ჩვენი ავტორის აზრით, აქ უკვე თანაბრადღირებულია სიზუსტე და მაღალმხატვრულობა. სათანადო მსჯელობის საილუსტრაციოდ მოყვანილია თარგმნილი ტექსტები. კოტეტიშვილისეულ მთარგმნელობით ოსტატობაზე მსჯელობისას მომარჯვებულია ცნობილ სპეციალისტთა და მთარგმნელთა მოსაზრებები, შენიშვნები, ასევე მოხმობილია რუს მთარგმნელთა შესაბამისი ტაეპები. კოტეტიშვილის უმწვერვალეს მთარგმნელობით ოსტატობას მეცნიერი მართებულად ხედავს ხანაში, რომელიც ასე იწყება: „**ბაგით** დავსწვდი დოქის **ბაგეს**, **ბაგე გადავიბადაგე**“. აქ მთარგმნელის მთავარი იარაღია ბგერწერა. ამ ხერხს იგი სხვაგანაც იყენებს: „მუდამ მაქეხებს მე ბაგეზე ჯამი ფაქიზი“. მკვლევ-

რის მახვილ თვალს (იგი ხომ თვითონაც პოეტია და არა მარტო მთარგმნელი და მეცნიერი) არ გამოჰპარვია კოტეტიშვილისეული ერთგვარი კოკეტობა და მანერულობა, ზედმეტი ლტოლვა „მხატვრულობისაკენ“, ოღონდ მყისვე ახსენდება დ. კობიძის შენიშვნა: „ეფიქრობ, ეს დასაშვებია, თუ ყოველივე ამას ხელოვნურობის ბეჭედი არ აზის და ხელს არ უშლის დედნის აზრის გამოხატვას“ (55).

ხაიამის ლექსთა ჩხენკელისეულ თერთმეტ თარგმანსაც იხილავს მკვლევარი, ზუსტად ახასიათებს მთარგმნელის ხელოვნებასა და მთარგმნელობით სტილს (55); ბოლოს მკვლევარი მიადგა საკუთარ თარგმანებსაც. გადმოუღია 40 რობაი. მისი „მთარგმნელობითი პრინციპია შინაარსობრივად მისდიოს დედანს და ქართულად შექმნას მისი მხატვრული შესატყვისი“ (55). ეს მართებული პრინციპია და, ახორციელებს მას თუ არა, ამას მაშინ დავანახებთ მკითხველს, როცა ნომადისეულ თარგმანებს შევეხებით სააამისოდ დაწერილ საგანგებო თავში. ამჯერად ზოგ რაიმეს მოგახსენებთ: საკმაოდ მაღალმხატ-

ვრულად გვეჩვენება ნიმუში, რომელიც წიგნში
საჭაშნიკოდ არის წარმოდგენილი:

**საზრუნავს ჩვენსას აღარ უჩანს თავი და ბოლო,
გვაკლდება შვება, გვემატება ტკივილი მხოლოდ,
მადლობა უფაღს! არასოდეს დარდი და ურვა
არა გვქონია არავისგან ჩვენ სამათხოვრო.**

აღექსანდრე ელერდაშვილმა გადმოიღო ასი
რობაი (შემდეგ მთლიანად თარგმნა). მკვლევარი
მის საამრიგო ღვაწლს ჯეროვნად აფასებს და
საჭაშნიკოდ გეთავაზობს ერთ ნიმუშს:

**რა ვქნა, ძმობილო, მე ამქვეყნად ფხიზელი ვერ
ვძლებ,
მე განა ვცოცხლობ, ტანს დავათრევ და ღვინოს
ვეძებ;
სიკვდილი მიჯობს, სანამ ის დღე გამითენდება,
როცა მეტყვიან: – დალიეო! – და ვეღარ შევ-
ძლებ.**

ამის შემდეგ მეცნიერი იძლევა ასეთ წინა-
დადებას: ავიღოთ ერთი რომელიმე რობაი და

ენახოთ, ვინ როგორ თარგმნა იგი. ამ შემთხვევაში უკეთ წარმოჩინდება მთარგმნელის სტილი და ოსტატობა. აქვე მომარჯვებულია რუსი და სხვა უცხოელი მთარგმნელების ნამუშავეები. ყველა მათგანი გამოწველივით არის განხილული და დასკვნა გამოტანილი (57-63).

აქ უნდა შევნიშნო:

მეც ყურადღებით გავეცანი ამ თარგმანებს და წინასწარ შემიმუშავდა მტკიცე დასკვნა: 5 ქართველი, სამი რუსი მთარგმნელი, მათ შორის ფირდოუსის გადმომღები ბანუ-ლაჰუთიცი ურევია, ფიტცჯერალდის ინგლისური, ეთესამზადეს ფრანგული და ასევე გერმანული თარგმანები – ყველა მათგანი დიდ მთარგმნელობით ოსტატობას ამჟღავნებს, ოღონც ვერც ერთი ვერ ამაღლებულა ვახუშტი კოტეტიშვილის დონეზე. დედანთან სიახლოვითაც, ზეადმტაცი განცდითაც და დედნისეული აქცენტების უებრო წვდომით, ასევე გამომსახველობითი საშუალებების ვირტუოზული ფლობით ვახუშტისეული ტექსტი უნიკალურია. მომყავს ეგ გამარჯვებული სტროფი იმ

განწყობით, თითქოს როსტევეან მეფე ვიყო და თინათინი ტახტზე დასასმელად გამოძევადა.

ერთ დროს ეს ჩემი ხელადა აღბათ ჩემსავით დედავდა, მზეთუნახავის ნაწნავი ბორკავდა ქცეულს ხელადა; ხელი რომ უდევს დოინჯად, ასე არ ჰქონდა ძეველადა, მიჯნურის წელზე ეხვია ლაღად და უდარდელადა.

მეორე პოეტი, რომლის თარგმანებიც განიხილება, რუდაქი სამარყანდელია. ახალი სპარსული პოეზიის მამა. „ყველა ის პოეტური ჟანრი თუ სალექსო ფორმა, ყასიდა იქნება ეს, ყაზალი, ყითა, რობაი თუ მარსიები, რუდაქის შემოქმედებიდან იღებს სათავეს“ (65). რუდაქი დახელოვნებული მეხოტბეა. ის სწორედ მაშინ იყო დიდების ზენიტში, როცა ითხოვებოდა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (951); ვიეთნი მას „მიუღწეველი სისადავის ოსტატად“ შერაცხავენ. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ შემდგომ მისი შედეგების გადმოენებული ტექსტების შეფასებისას ეს მომენტიც მივიღოთ მხედველობაში.

მკვლევარი გულწრფელად აღიარებს: ამბაკო ჭელიძის თარგმანები დედნის ერთგულებით გა-

მოირჩევა, ოღონდ მხატვრული აქსესუარისაგან მეტად გაძარცვულიაო (66); მკაცრი პოეტიკური ანალიზის შემდეგ იგი სწორად დაასკვნის: „ეს ლექსები შორეული ანარეკლი თუა რუდაქის პოეტური ნიმუშებისა“ (68); ბევრად უკეთესი გამოდგა მაგალი თოდუასეული ტექსტები. „მან რუდაქის შემოქმედების სტილურ თავისებურებას მიაქცია ყურადღება, რამეთუ „სწორედ სტილისტიკაა ის საზღვარი, სადაც მხატვრული თარგმანი ეთიშება თარგმნის, როგორც ენობრივი მოვლენის, გაგებას“ (გაჩეჩილაძე); ჩვენი მეცნიერის შეხედულება ასეთია: „ახალმა მთარგმნელმა გამოასწორა რუდაქის ლირიკის ჭკელიძისეული თარგმანების მხატვრულ-ესთეტიკური ამორფულობა. მან ადეკვატური თარგმანის პრინციპით შექმნა დედნის შესატყვისი პოეზია ქართულად. ეს თარგმანები ქმნიან ილუზიას, თითქოს ორიგინალურ ლექსებს ვეწაფებოდეთ მშობლიურ ენაზე“ (68); ნიმუშებიდან მხოლოდ ორს შემოგთავაზებთ:

**დრო მხიარულად გაატარე შავთვალა ქალთან,
ცხოვრება ზღაპრის მაგვარია, მსგავსია ქართა.**

**ადარასოდეს დღე წარსული არ გაიხსენო!
მომავლისაგან სხვას ნუ ელი, კეთილის გარდა!**

ზემორე ვახსენეთ: რუდაქი სრულიად უბრალო, ხალხურივით მისაწვდომ და მსუბუქმქროლ (გალაკტიონი) ფორმებს ეტანებაო. აი, მეორე თარგმანი, რომელშიც ეგ მონაცემები ზედმიწევნით არის დაცული:

**ცხოვრებას საღად შეხედე,
გონთ მოდი, იყავ ჭკვიანი;
ზერელედ ნუკი უყურებ,
გზები იცოდე, გზიანი!
ზღვასა ჰგავს ჩვენი ცხოვრება
და, რომ არ ნახო ზიანი,
სიკეთის გემი ააგე
და გაღმა გახვალ სვიანი!**

გახსენებულია ის კრიტიკოსები და მათი აზრები, რომლებიც დადებითად გამოეხმაურნენ მაგალი თოდუას თარგმანებს (82). ჩვენი მკვლევარი მაღალ შეფასებას აძლევს მისი მასწავლებლის შემოქმედებას, ოღონდ არც ის უძნელდება,

მისცეს საკმაოდ „შემაბარბაცებელი“ შენიშვნები (81-82).

1966 წელს გამოქვეყნდა რუდაქის 7 ლექსი. ისინი თარგმნა ახალმა პოეტურმა ძალამ – ჯემალ აჯიაშვილმა. ნ. ბართია ზუსტად შენიშნავს, რომ აქ გამოჩნდა „მთარგმნელის მაღალი პოეტური კულტურა, რაიც თავს იჩენს ლექსის სინატიფესა და კეთილხმოვანებაში“. მოყვანილია მშვენიერი თარგმანის ნიმუში:

**ეჰა, თვალეში ისევ ცრემლია, გულში ნაღველი
ისევე ბრუნდება
და ჩემი თმები ქვრივის ტანივით შავი ფერებით
შეისუდრება.
ჰე, შეღებილო ჩემო ჭაღარავ, შენთან ხელიხელ
უნდა ვიარო,
შენა ხარ ჩემი სიბერის სევდა და სიჭაბუკის
სამგლოვიარო.**

შეენიშნავ:

ჯემალ აჯიაშვილმა ამის შემდეგ ბევრი ქმნილება გადმოაენა სხვადასხვა რეგიონის პოეტებისა და ასე შეიქმნა უბადლო მთარგმნელის

იმიჯი. გარდა საკუთარი ორიგინალური ქმნილებების შეთხზვისა, მან აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მსოფლიო მნიშვნელობის პროეტა ლირიკულ ლექსთა ლეგიონები დაძრა საქართველოსაკენ და მთელი ქვეყანა თავისი უზადო შემოქმედების ნექტარში გაახვია. სამწუხაროა, რომ იგი უკვე ცოცხალი აღარაა, ოღონდ მისი საქმე მაინც გრძელდება და ამ საქმეს ის საიქიოდანაც ხელმძღვანელობს.

აი, რა მაქვს მხედველობაში:

2021 წლის მიწურულს მწერალთა კავშირმა გამოაცხადა ჯემალ აჯიაშვილის სახელობის კონკურსი ლექსის მხატვრულ თარგმანში. საბედნიეროდ, ლექსთა ამ შეჯიბრებაში გაიმარჯვა ჩემმა თარგმანმა. გთავაზობთ **აბდურაჰმან ბაჰის** ჩემ მიერ გადმოყენებულ ტექსტს:

ქართველი მუსლიმის ღოცვა

**ჩემო მკვლევო, ჩემო მწველო,
სათნოების სახლის მცველო,
ვარდად გყნოსავ, სასურველო,
ყაყაჩოა შენი სახე,**

გაზაფხულად მოსასვლელო,
შენზე ტურფა ვერვინ ვნახე!

შენთვის მოვალ, შენთვის წავალ,
ზღვას გავალ და ქვესკნელს ჩავალ,
წელმოსაწყვეტ კლდეზე ავალ,
ალაჰია ჩემი მცველი –
მისი ძალით რკინის მთა ვარ,
ფერხთ მიყრია ტყე და ველი!

მაჰმადია ჩემი მწყემსი,
ვისაც ვენდე და ვეწესე.
ვისთვის ცხელი გული ვკვებე
და ვინც ცრემლი დამადინა –
ჩემი სახლი არის ესე,
ჩემი მაქა და მადინა!

ეს ცხოვრება მანამდისაც
ხომ მცდიდა და მარად მცდისა:
დღესაც მწვეთავს და დამდისა
სისხლი, ჩვენთვის გაცემული,
შვილიშვილის მაჰმადისა,
ქერბალაში დაცემულის!

ჩემი ტანი ფასობს იმდენს,
რასაც გონით წარმოვიდგენ:
„სადი ბინდენ, მალღ იდენ,
სალამათან აღოიდენ,
ელბიჯ ოლუმ სალოიდენ,
ჩოხ და იაღ განოიდენ!“

ყოფის გამო ვერ ვიჩივლებ,
არ დავეძებ ძველ ტკბილ ვილებს;
სულს მინათებს და სურვილებს
მე ღვთის ხატის ათინათი
და ვიყურებ ძველ ტკივილებს
მაქათი და მადინათი.

გადამტანი ამ ამბისა
უდაბნოში არაბისა:
ჭირის გზისა და ქვაბისა,
რასულ მადინათ აღ-ლაჰის,
მომლოცავი ქააბისა
აბდურაჰმანი ვარ, ბაჰი!

თარგმანი არბულიდან

(მცირე კომენტარი: აბდურაჰმან ბაჰი კომუნისტების დროს სწავლობდა თსუ-ში. პროფესორ რევაზ მიშველაძის ხელმძღვანელობით დაიცვა სადიპლომო „ქრთველ მუსლიმთა სოციალურ-კულტურული ყოფა“. შემდეგ ქაიროში ნაშრომი შეავსო და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ამ ნაშრომის წიგნად გამოცემისას მიიღო უნივერსიტეტის ოქროს მედალი. წერდა და წერს ლექსებს. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე კრებული)

ნ. ბართაია ასევე მსჯელობს 2014 წელს გამოსულ რუდაქის კრებულზე, რომელიც თარგმნა ალ. ელერდაშვილმა (84); მომდევნო პოეტია ნიზამი განჯევი. მისი „ხოსროვი და შირინი“ შევიდა ამბაკო ჭელიძის კრებულში 1936 წელს. ლირიკა კი ითარგმნა 1947 წელს. თარგმნეს უნიჭიერესმა პოეტებმა გრიგოლ აბაშიძემ და კონსტანტინე ჭიჭინაძემ. 1986 წლიდან კი ამ მგოსანს გამუდმებით თარგმნიდა მაგალი თოდუა. შირვანის სკოლის ამ წარმომადგენელმა არა ოდენ ეპიკა გარდაქმნა და დახვეწა, არამედ ლირიკაც. ჩვენ,

ქართველებს, გადმოდებული გვაქვს არა მარტომისი ლექსები, არამედ ის ლირიკული წიაღსვლები, რითაც ესოდენ მდიდარია მისი ეპიკა. „ლირიკულ წიაღსვლებში ნიზამი წარმოგვიდგება მორალისტ შემოქმედად. თითოეული წიაღსვლა, შესაძლოა დაასათაურო, იმდენად გამოკვეთილია მათში სათქმელი“ (87). შესანიშნავად განსჯის ავტორი განჯევის ქართულ ტექსტებს. აქ ბევრი საინტერესო შეჯერება, დაკვირვება, განზოგადება და დასკვნა გვხვდება. საბოლოოდ გამოტანილია ვერდიქტი: „როგორც დიდ მსახიობს გამოვიცნობთ ნებისმიერ როლში, ისე გამოვარჩევთ მაგალი თოდუას თარგმანებს სხვა თარგმანთა შორის“ (96). კრიტიკოსს სათანადოდ შეუფასებია გრ. აბაშიძის ნახელავი, შესრულებული ბჭკარედიდან (97).

მომდევნო პოეტია ჯამი (XV ს.). იგი გახლდათ ერთგვარად „ხალხოსანი-ნაროდნიკი“ შემოქმედი. „იგი სათავეში ედგა **ჰერათის** ლიტერატურულ სკოლას“ (99). ბ-ნ ნომადის უწერია **ჰერათის**, რაც კორექტული შეცდომა უნდა იყოს. ეს ის დროა, როცა პოეტები ლექსში ყირაზე გა-

დადიოდნენ, მისტიკურ ნისლეულში ხვევდნენ ყველაფერს. კიდევ მეტი, იქამდეც მივიდნენ, რომ შექმნეს ახალი უანრი **მუამები**. აი, სწორედ ისე გაუგებარ სიტყვათა თამაში, როგორიც ზემორე წარმოდგენილ ჩემს თარგმანშია დაფიქსირებული (ბრჭყალებში ჩასმული სიტყვები). ჯამი კი ამის წინააღმდეგ გამოდიოდა. ნ. ბართაია მკაცრად აკრიტიკებს ამბაკო ჭელიძის ნახელავს, ამჩნევს მასში შეცდომებს, წინააღმდეგობებს, ენობრივ ხარვეზებს, მხატვრულ უმწეობას (100). ჯამის ერთი მშვენიერი ლექსი მშვენიერად უთარგმნია ჯ. აჯიაშვილს. ჯემალი თანამედროვე პოეტია, ნაზიარები დიდოსტატთა პოეზიას, ათასგზის რომ დაჰკვირვებია სხვათა ნაოსტატარს, თარგმანის თეორიასაც დასწავფებია. ბუნებრივია, მისთვის უმთავრესია ქმნილების გარეგნული ელვარება, ტაეპის ლირიკული მდინარება, მაღალი პოეტური კულტურის გამოვლენა. აი, რა საოცრად ლაღად მთავრდება, მისი თარგმანის მიხედვით, ჯამის ერთი ქმნილება:

**გრცხვენოდეს ჯამი, თუ ყველაფერს ზურგს
შეაქცევ და
ასკეტივით სამარცხვინოდ განზე გადგები!**

ჯამის ერთი ქმნილების ვ. კოტეტიშვილისეულ თარგმანს ჩვენი მკვლევარი აქებს, ხედავს სპარსელი პოეტის „სისადავისადმი მიდრეკილებას“, „ლექსის კეთილხმოვანებას“, „ბუნებრივ მდინარებას“, მაგრამ შენიშნავს, რომ კოტეტიშვილი „ორ ტაეპიან ბეითს ოთხ ტაეპიან სტროფად აქცევს“ (105), ესე იგი, არღვევსო ბეითის ფორმას. მე კი ვიტყვოდი: სრულიად საკმარისია ლექსი ტექნიკურად სხვაგვარად გამართო და მიიღებ კლასიკურ ბეითს და ამას მე გავაკეთებ. აი, იხილეთ:

**ორი კვირაა, რაც არ მინახავს მე ჩემი მთვარე
ორკვირეული,
საით წავიდე ან ვის შევსჩივლო დარდი, მაღუ-
ლად გულს ჩახვეული?**

მივიღეთ ოცმარცვლიანი ქართული კლასიკური ფისტიკაური, რომელსაც ერთადერთ სტროფში წარმატებულად იყენებს რუსთველი

და რომელიც რუსთველამდე უნდა შემუშავებულიყო ქართულ პოეტიკაში.

ასე რომ, ტექნიკურად სწორად გავშალოთ სტრიქონი და ბეითიც გამოგვივა! მაშინ არც მთარგმნელი გამოგვივა წესის დამრღვევი.

მკვლევარი გამოწველილვით განიხილავს კოტეტიშვილისეულ თარგმანებს, აკეთებს დასკვნებს, აზოგადებს, მოჰყავს პარალელები. საბოლოოდ კი ეთანხმება დალი ფანჯიკიძეს და მასაც მიაჩნია, რომ მთარგმნელი დედნის ერთგულია, ცდილობს დაიცვას მაქსიმალური სიზუსტე. მაშ, შეინარჩუნოს როგორც აზრობრივი მოცემულობა, ისე ფორმა და მხატვრული ელემენტები (110).

ეს კი უმაღლესი შემოქმედებითი მიღწევაა.

მომდევნო შემოქმედია რუმი. მისი პირველი მთარგმნელიც ამბაკო ჭელიძეა. 1970 წ. ამ ტიტანს შეჰბედა მაგალი თოდუამ; 1995 წელს გამოვიდა გიორგი ლობჯანიძისეული თარგმანები. 2007 წელს მაგალი თოდუამ გამოსცა რუმის „ფილოსოფიური ლექსები“ (111). რუმი მისტიკური პოეზიის უდიდესი წარმომადგენელია. სუ-

ფიზმს ჯერ კიდევ მამამისი მისდევდა და შვილიც ამ გზას დაადგა. ასკეტიზმი და მისტიციზმი – აი, მთავარი ნიშანსვეტები მისი შემოქმედებისა. მკვლევარი ჯეროვნად იხილავს ა. ჭელიძის, თ. ჩხენკელის, მ. თოდუას თარგმანთა აკარგს (113-115); მიმომხილველს ნიმუშად მ. თოდუას მრავალი ნათარგმნი ტექსტი მოჰყავს. ამ წიგნის შემკობისა და დამშვენების მიზნით მოვიყვანთ მის მიერ მოწონებულ და ჩემ მიერ დასტურდაკრულ ქმნილებას:

მე ვარ მძერწავი და ტანად ლერწამს
რომ ჰგავს, იმდაგვარ ქვის კერპსა ვძერწავ,
მაგრამ რა ერთ წამს შენ შეგადგამ თვალს,
არ მომწონს იგი და იქვე ვლეწავ!
მე ვარ მხატვარი და, სანამ სურათს
სულს არ ჩავუდგამ, მანამდის ვძერწავ,
მაგრამ რა ერთ წამს შევხედავ შენს ხატს,
მე ვწვავ ჩემს ნახატს, მე ვთხზავ და მე ვწვავ!

ნ. ბართაია ყოველ ცალკეულ ტაეპს განიხილავს, უდარებს დედანს, იძლევა სათანადო დასკვნებს.

მ. თოდუას გადმოუენებია მგოსნის არაკები. მკვლევარი ფიქრობს, რომ სიმსუბუქით მათი შედარება შეიძლება აკაკის იგავებთან, რომლებიც მან გადმოიღო კრილოვის ტექსტებიდან (120).

ასევე ყურადღებით არის შესწავლილი ალ. ელერდაშვილის ოთხი ყაზალი. მოყვანილია კარგი თარგმანის ნიმუში:

**ეჰა, შენ სულო, სრულთაგან სრულო,
ხარ სულთა სული და კიდევ რაღაც,
ჰე, სასწაულთა დღესასწაულო,
ხარ სასწაული და კიდევ რაღაც!**

რუმის შემოქმედებას მოუხიბლავს ჩვენი მკვლევარიც. მას, როგორც პოეტს, უთარგმნია ყაზალები. მთარგმნელს თავის მთარგმნელობით კრედოდ მიაჩნია: დედანთან მაქსიმალური სიახლოვე როგორც აზრობრივად, ისე მხატვრული ხერხების მხრივაც. ახლა ვნახოთ, როგორ უღერს გადმოუენებული ყაზალი:

**მომხედე, შენმა სიყვარულმა ხელად მაქცია,
ქალაქი ვიყავ. უკაცრიელ ველად მაქცია;**

შენზე ოცნებამ განმაშორა სახლსა და ნივთებს,
დარღების თანამოსახლედ და მხევლად მაქცია;

ნუ იტყვი იმას, დავრდომილი ვიყავი ვითარ,
შენმა დანახვამ რაინდად და ქველად მაქცია;

შენმა არსებამ, საჩინო ვყავ როდესაც ჩემში,
მოყვასთა შორის უცხოელად გადამაქცია;

მე სიყვარულზე დღე და ღამე ზღაპრების თხრობამ
თვითონვე ზღაპრად, სიყვარულის ენად მაქცია!

იქვე ჯეროვნად განხილულია ერთი ყაზახ-
ლის გ. ლობჟანიძისეული თარგმანი (121).

შემდეგ მიმოხილულია თარგმანები „შირა-
ზის ბუღბუღის“ ჰაფეზისა (ჰაფეზი ნიშნავს ყუ-
რანის ზეპირად მცოდნეს). თანამიმდევრობა ქრო-
ნოლოგიურია; ა. ჭელიძე, მ. თოდუა, ვ. კოტეტიშ-
ვილი...

ნ. ბართია სამართლიანად ფიქრობს, რომ
ჰაფეზის თარგმნა ისევე შეუძლებელია, როგორც
გალაკტიონისა. როცა ჭელიძისა და თოდუას
თარგმანებს ერთმანეთს უჯერებს, უნებლიეთ
აგონდება გოეთეს მხატვრული ფიგურა: „უფრო
ნათლად გამოიკვეთა პირბადიდან ლამაზმანის

სახე“ (128); კოტეტიშვილის თარგმანებზე მსჯელობისას ბევრი ნიმუშია მოხმობილი. ჩვენ აქ გავსინჯოთ კონგენიალურად გადმოღებული სტროფი, რომელიც მთარგმნელის ერთგვარი სავიზიტო ბარათია:

**ამ ღამაზმა შირაზელმა თუ განკურნა ჩემი დარდი,
მზად ვარ მივსცე იმის ხალში ბუნხარა და სამარყანდი;
მომეც თასი, ღვინო მასვი, ჩქარა, თორემ, მერიქიფევ,
სამოთხეში სად იქნება მუსალა და რუქნაბადი!**

ამგვარად გადმოენებულ ტექსტს დასტურ შეეფერება მარშაკის სიტყვები: „ნამდვილი მხატვრული თარგმანი არის არა ფოტოსურათი, არამედ მხატვრის მიერ შესრულებული პორტრეტი“ (131). წიგნში განხილულია ბაბა თაჰერ ურიანის (უპოვრის) პოეზია და ღია ასათიანის ღვაწლი მისი ტექსტების გადმოქართულებაში (135); შემდეგ საუბარია შაჰიდ ბალხელის მ. თოდუასეულ თარგმანებზე. მოყვანილია ჯვარედინი რითმებით გაწყობილი რობაი:

**დარდს რომ ცეცხლივით კვამლი სდიოდეს,
ბნელს მიეცემა ქვეყანა მარად.**

**ვერ ნახავ ჭკვიანს, რომ დადიოდეს,
და არ ჩიოდეს დარდსა და ვარამს.**

ნ. ბარათაიას სამართლიანად მოსწონს ეკთარგმანი და, სპარსული დედანი რომ მოჰყავს, გვიჩვენებს ტექტობრივ ერთობას. მკითხველისთვის არ უნდა იყოს უინტერესო ჩემი ნახელავიც:

**დარდს რომ ცეცხლისებრ სდიოდეს კვამლი,
დაბნელდებოდა ეს დღე, მყივარი;
მთელი სამყარო რომ მოიარო,
ერთ ბრძენს ვერ ნახავ, სახემღიმარეს.**

როგორც შენიშნავდით, აქცენტი გავაკეთე „მე“ ფონემის აბგერწერებაზე, რაკილა აქცენტირებულია **სამყაროს მოვლა**. სტროფში 9-ჯერ ახმიანდა „მ“ ბგერა; ამავე დროს, ოთხმარცვლიან შერითმვასაც ვეცადე: **დღე მყივარი – სახემღიმარე** (იხ. მ. თავდიშვილი, ფირდოუსი, 2019, გვ. 38).

მკვლევარი არ ივიწყებს არც ქესაის რობაის აღ. გვახარიასეულ თარგმანს, არც დაყიყის ვ. კოტეტიშვილისეულ ტექსტს (140-141); უნდა მო-

გახსენოთ, მეცა ვცადე დაიყიეს ორი ბეითის
გადმოღება:

**ნუკრის თვალივით წყარო, ნინველი,
ჩეროში შედის და იქ მიგველის.**

(მ. თავდიშვილი, ფირდოუსი, 13)

**განგებაც უნდა გწყალობდეს ბევრად,
მაგრამ არ კმარა განგების ცქერა!**

(მ. თავდიშვილი, ფირდოუსი, 18)

მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ ჯვარედინი
რითმის მომარჯვებით გადმოვიღე დაიყიეს კიდევ
ერთი დიდმშვენიერი ლექსი:

**ოთხი რამ სწამდა დაიყიეს მხოლოდ,
გადაავიწყა სხვა ყველა ზენამ:
ჟღერა ჩანგისა, ლალ-ბაგის ბოლო,
ბადახშის დვინო, ზორასტრის რწმენა!**

(მ. თავდიშვილი, ფირდოუსი, 52)

რაკი ჩემს პატარა ღვაწლს აღვნიშნავ სპარ-
სულ პოეტთა გადმოენების საქმეში, ბარემ ესეცა
ვთქვათ: ჰანზალას ერთი ლექსი ვთარგმნე ჯვა-
რედინი რითმით. ასეთი შერითმვა სპარსულში
არ არსებობს, ოღონდ ფრიად გავრცელებულია

ქართულ და რუსულ პოეზიაში (XIX და XX ას-
წლეულები). აი, ის ჰანზალური ქმნილება, არაბ-
თა ბატონობის წინააღმდეგ რომ მოუწოდებს
ირანელ ხალხს:

**აღსდექ, სპარსელო, დღეს ღომს ხახაში
აქვს და უპყრია შენი დიდება,
ნუ დაიძინებ თავს იმ ხაშხაშით,
ყველა ბაზარში რომ იყიდება!**

**მიდი, გაბედე, შეები მტარვალს
და გამოსტაცე სახელი მშვენი,
პატივ-ღირსება მოჰფინო მთა-ბარს –
ეს უნდა გახდეს ოცნება შენი!**

(მ. თავდიშვილი, ფირდოუსი, გვ. 51)

აბუსალექ გორგანის ქმნილება კი გადმოდუ-
ბულია რკალური რითმით, თუმცა არც რკალუ-
რი რითმაა დამახასიათებელი ირანელი მგოსნე-
ბისათვის: ეს გნომაც არაბთა ტირანიის წინააღ-
მდეგ არის მიმართული:

**საკუთარ სისხლით მიწა მორწყა, უმჯობესია,
ვიდრე დაღვარო პირისწყალი, დაკარგო ნდობა,**

სხვათა მონობას სჯობს სიკვდილი, კერპთა

მინდობა,

ეგ განაწესი ვაჟკაცთ წესად დასაწესია!

(მ. თავდიშვილი, ფირდოუსი, 52)

პროფესორი ნ. ბართაია იკვლევს „ამირანდარეჯანიანის“ გენეზისს. სანამ იგი ამ საკითხს შეეხებოდა, ჩვენში უკვე არსებობდა სამგვარი თვალსაზრისი: სპარსულია და თარგმნილია ქართულად; ორიგინალურია, ოღონდ მოქმედება გადატანილია უცხოეთში; ნახევრად ორიგინალურია (209). სამივე ამ თვალსაზრისს ავტორი კრიტიკულად განსჯის (209-213).

ჩვენი მკვლევარი მხარს უჭერს ნახევრად-ორიგინალობის თეორიას. მას მოაქვს საამრიგო არგუმენტები. მათში მიგნების ტოლფარდად მივიჩნევ შემდეგს: „ბუნებრივი ჩანს სპარსელი ამირან დარეჯანის ძის მხრივ სპარსული ორიენტაციის აბასელთა ბაღდადელი ემირისადმი ერთგულება. ასეთი დამოკიდებულება სპარსელებს ხალიფატის მიმართ მხოლოდ აბასელთა ხანაში შეიძლება ჰქონოდათ (VIII-X). ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ამირან დარეჯანისძე ბაღდადელი

ამირმუმნის მზესა ფიცულობს. ხალიფის ტახტი ხომ 750 წელს ბაღდადში გადმოიტანეს. სწორედ ამ დროს არის ნერსე ერისთავი ბაღდადელი ხალიფის ამირ მუმნისა და მისი ძის მაჰდის ტყვე.

მაშ, ასე: ამირანი ეროვნებით სპარსია და ეროვნებით სპარსი რაინდი ირანული ორიენტაციის გმირის მზეს ფიცულობს (216).

თემა „ქართველები და ირანელები ერთმანეთის წარმოდგენით“ (219) უკვე სხვა ნაშრომებშიც აქვს ავტორს შეტანილი და ჩვენ სათანადოდ მიმოვიხილეთ. ამიტომ აქ არას ვიტყვით. ასევე უკვე განვიხილეთ „შაჰ-ნამეს ორი გმირის – როსტომისა და ზურაბის – ადაპტაციისათვის ქართულ ფოლკლორში“. ეგ ნაშრომი ამ წიგნსაც აძლიერებს.

აქემენიდთა ძველსპარსული წარწერების კორპუსი თარგმნა, სამეცნიერო აპარატით აღჭურვა და გამოსცა მაია სახოკიამ. ამ მოვლენას გამოეხმაურა ჩვენი მკვლევარიც (240); ეგ წარწერები მანამდეც ქვეყნდებოდა, ოღონდ – ფრაგმენტულად. ამჟამად კი მთელი კორპუსი გამოიცა. ეს საქმე ჯერ მზია ანდრონიკაშვილმა წამოიწა-

ყო, ოღონდ ბოლომდე ვერ მიიყვანა. მაია სახოკიას შრომას გამოწვლილვით აანალიზებს მკვლევარი, ბოლოს კი დაასკვნის: „თუ დღემდე ცივილური სამყაროს ეს უნიკალური მემკვიდრეობა მხოლოდ ლინგვისტური სფეროს კუთვნილება იყო, იგი დღეიდან... მხატვრული ლიტერატურის შემადგენელი ნაწილიც გახდა“ (245).

2011 წ. გამოვიდა ნ. ბართაიას „ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა“. იგი მთლიანად არის შეტანილი განსახილველ წიგნში. ამით ჩვენი მკვლევარი ლექსიკოლოგ-ენათმეცნიერადაც გვევლინება. ასევე უნდა ითქვას, რომ ამ ვრცელი საენათმეცნიერო-ლექსიკური კვლევის ბოლო ნაწილი „სპარსულიდან შემოსულ აღმოსავლურ თემატურ ნასესხობათა შესახებ“ 2021 წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა. ამ მასალას აღნიშნული კრებულის მიხედვით მიმოვიხილავ.

არაბულ-სპარსული ლექსიკიდან უამრავი სიტყვაა გამოყოფილი და სათანადოდ გაანალიზებული. მოყვანილია დედნის არაბულ-სპარსული ფორმები, მათი ტრანსკრიფცია, დაძებნილია პარალელები მსოფლიოს სხვადასხვა ენაში და

ა. შ. ყველა ერთეულს ვერ ჩამოვთვლი, ოღონდ ზოგიერთს ვახსენებ. ესენია: აბანოზი და აზიზი, ალაფი და არაქათი, არჯალი და აშუდი, დაირა და დახლი, მარიფათი და მასლაათი, მაქმა და მუნასიბი, საარი და სათლი, სამაია და სიქა, ღაზლი და ყაიდა, ყანდი და ყაფაზა, ხაბარი და ხადუმი, ჯავარი და ჯამაათი, ნაზირი და ჰაჯი და ა. შ. (391-454); შემდეგ მოდის თურქულ-სპარსული ლექსიკა (455). იმავე პრინციპით არის განხილული სიტყვები: ალაჩუხი და ყირმიზი, ყულფი და ხათუნი და ა. შ.

ახლა კი 2021 წელს გამოსულ კრებულზე ვიმსჯელოთ.

მკვლევარი მიმოიხილავს აბუ საიდის პოეზიის ქართულ ეკვივალენტებს, ვ. კოტეტიშვილის მიერ თარგმნილთ (142). ავიცენას პოეზია შეგვაყვარეს ა. ჭელიძემ, თ. ჩხენკელმა და აღ. გვახარიამ, ხოლო სანაი, დაზნელთა კარის მეხოტბე, სუფიური იდეების გამტარებელი, გაგვაცნეს ა. ჭელიძემ და ვ. კოტეტიშვილმა; საადის „გოლეს-თან“ და „ბუსთან“ მოგვაწონეს ა. ჭელიძემ და დ. კობიძემ. მისი ლირიკული ქმნილებების ერთი

წყება გადმოაენეს მ. თოდუამ და ნ. ბართაიამ. ბოლოს „გოლესტანი“ თარგმნა გ. ლობჯანიძემ, ხოლო „ბუსთანის“ ნაწილები – ა. ელერდაშვილმა, ასევე გ. ხულორდავამ.

წიგნში ქვეთავია ასეთი: „მაცხოვარი და ღვთისმშობელი სპარსულ პოეზიაში“ (146). აღნიშნულ თემაზე ზემორეულე ვისაუბრეთ. მაგალითოდ უნდა ვთქვათ, რომ აქაც კიდევ ერთხელ შეაფასა და დააფასა ავტორმა.

წიგნში შეტანილია ქვეთავი – „სპარსული სალექსო ფორმები“ (149). აქ ქართველი მკითხველი გაეცნობა ცალკეულ ფორმას, გაიგებს, თუ რა წყობისაა **მესნევი, რობაი, ყასიდა, ყაზალი, ყითა**.

ნაშრომში ბევრი რამ ისეთი მეორდება, რაც ნ. ბართაიას ადრე ცალკე წიგნად ანდა სტატიის სახით გამოუქვეყნებია. სწორედ ასეთია „ქართული საერო მწერლობის სათავეებთან“ (164), რაც უკვე განვიხილეთ, ასევე „ნეიტრალური აღნიშვნის“ წესით უნდა ვთქვათ: ამ ყოვლისმომცველ და შემაჯამებელ წიგნში ბევრჯერ მეორდება ჩვენი მკვლევრის სხვა წერილებსა და წიგნებში

გამოთქმული ბევრი დებულება, ზოგადი აზრი. უფრო მეტიც, ამავე წიგნში ერთი და იგივე მოსაზრებები არაერთგან იხილვის, რაც მოსაწყენი ხდება. კერძოდ, ეს ეხება იმის განმარტებას, თუ რატომ არ თარგმნეს ქართველებმა სპარსული ლირიკა XX ასწლეულამდე. მარტო ამ მონოგრაფიაში ამისი ასხნა-განმარტება გამეორებულია 7-8-ჯერ მაინც! იგივე ითქმის ქვეთავზე „ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა პერიოდები“ (196). ეგ საკითხი ადრე დაწერილ გამოკვლევებშიც არაერთხელ არის განხილული.

ნასუსხები ლექსიკა და მისი მკვლევარი

ცნობილი ირანისტი ნომადი ბართაია მრავალმხრივი მოღვაწეა: მისი ლირიკული პოეტური გნომები ორიგინალური და ერთობ კოლორიტულია; სამეცნიერო დებულებები ხშირად მოულოდნელი სიამოვნებით გვაგსებს; მკვლევარი საჭიროებისას მთარგმნელის საქმესაც გულდაგულ შეეჭიდება და აღებულ აღმოსავლურ ტექსტებს გერგილიანად გადმოიღებს; არც ბიოგრაფიულ-დოკუმენტური ნარკვევებისა და იუმორისტული ნაწარმოებების შეთხზვა-შედგენაში დაუდებს ვისმე ტოლს. ამ ბოლო ხანებში ყურადღებით იკვლევს ქართული ენის ხვავსა და ბარაქას – ლექსიკურ ფონდს. მეცნიერი იძიებს და ადგენს აღმოსავლური ლექსემების შემოსვლის გზებსა და ფონეტიკურ-აზრობრივ ტრანსფორმაციებს. ამ მხრივ გაწეული მისი ღვაწლი ისეთვალსაჩინოა, ენათმეცნიერულად ბრმასაც კი თვალს აუხელს. პროფესორის ამ ტიპის წიგნები პერიოდულად გამოდის და ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

ამჟამად ჩვენ წინაშეა 80-გვერდიანი ნაშრომი „სპარსულიდან შემოსულ აღმოსავლურ თემატურ ნასესხობათა შესახებ ქართულში“ (2021).

წიგნი წინასწარ ყურადღებით გადაუკითხავთ პროფესორებს ქალბატონ ფატმან ანთაძე-მაღლაშხიასა და ქალბატონ მანანა კვაჭაძეს.

ცნობილი ამბავია: სპარსულ ნასესხობათა გამოსავლენად და შესასწავლად დიდი შრომა გასწია ნიკო მარმა. მას უკან ამ საქმეში ყველაზე დიდი ღვაწლი მიუძღვის მზია ანდრონიკაშვილს, ვისი მონოგრაფიაც ამ მხრივ ისევე სამაგიდოა, როგორც სულხან ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“. იმას, ვისაც აღნიშნული სფერო ცოტად თუ ბევრად მაინც უკვლევია, ეგ შეფასება გადამეტებულად არ მოეჩვენება.

მკვლევარს ამჟამად დაუჯგუფებია და წარმოუდგენია თემატური პრინციპით შერჩეული საკუთრივ სპარსული ან სპარსული გზით შემოსული არაბული წარმომავლობის ნასესხები სიტყვა-ცნებანი. ამავე დროს, საყურადღებოა, რომ პირველად არის გამოვლენილი და გაანალიზე-

ბული საერთო სპარსულ-ქართული ხმაბაძვითი სიტყვები.

სულ განხილულია 76 ლექსიკური ერთეული და ეგ ცოტა როდია!

არც ის არის მისაყურისძირებელი, რომ ცნებანი დალაგებულია თემატურად. ესენია: 1. სავაჭრო; 2. საჭადრაკო; 3. სამუსიკო; 4. რელიგიური; 5. მცენარეული; 6. ხმაბაძვითი; 7. ფორმაუცვლელი სიტყვა-ტერმინები.

კიდევ ერთხელ არის დასაბუთებული, რომ **აბაზი** და **შაური** შაჰ-აბასის მიერ მოჭრილი მონეტებია; რომ **დახლი** და **დახლიდარი** მწყურვალევით შეიწოვა ჩვენმა ენამ; რომ **თუმანი** რამდენიმე მნიშვნელობით დამკვიდრდა; რომ **მაღაზია** არაბულ-სპარსულში არის საწყობი, უნივერსალური სავაჭრო, ცისტერნა, საცავი (9); არ იქნებოდა ურიგო, აქვე ეთქვათ: რუსულში დაცულია მისი საცავისმიერი მნიშვნელობა; მაგ. გამოთქმაში магазин автомата.

ჩემი, როგორც რუსთველოლოგის, ყურადღება მიიქცია ცნებამ – ფარა, კერძოდ, მისმა პირველმა მნიშვნელობამ: ნაჭერი, ნატეხი, ნაკუწი.

ამ წიგნში არაა ნახსენები, ოღონდ მე მივუთითებ: ეგ ფარა დადასტურებულია ჩვენს სიტყვაში **ფარატინა** ქალაღი (ქალაღის ნაგლეჯი). კიდეე მეტი, დაბეჭდე საგანგებო წერილი, სადაც ვუჩვენე: „ვეფხისტყაოსნის“ ერთ გამოტოვებულ სტროფშიც იკვეთება საძიებელი სიტყვა ამ ფორმით: **ფარ-და-ფარ-და**.

ტარიელმა რომ ერთი ხატაელი ძმა „მათრახითა შეამწიფნა“ და დაბნედილი ცხენიდან ძირს ჩამოაგდო, ძმები უხსნიან ავთანდილს: ძმას რომ მხოლოდ მათრახით ასეთი დღე დააყარა, ჩვენ რომ მას შურის საძიებლად გავეკიდებოდით, მაშინ ხმაღსაც წაავლებდა ხელს და „ფარ-და ფარ-და“ დაგვეჭრიდა და დაგვეჩხავდა. ამიტომაც თავი მივანებეთ და ძმას მივცვივდით საშველადო.

საინტერესოდ არის გამოძიებული **ხურდა**. არ იქნებოდა ცუდი, სპარსულში მოძებნილიყო ჩვენში არსებული ფორმის **ხურდა-მურდას** მეორე ნახევარიც.

აღმოსავლური ჩასაბერავი საკრავი **ზურნა** გამოწვლილვითაა განხილული. ბოლოში ნათქვა-

მია: თავმომაბეზრებელი ხმის გამო მას უარყოფითი შინაარსიც მიუღიაო, ოღონდ არაა მოყვანილი თუნდაც ერთი მაგალითი (27). აქ მოუხდებოდა ხალხური ფრაზა: „ჰაი და ზურნა შენ!“

დიდ ინტერესს იწვევს სემანტიკური ოდენობები: სამაია, ჩანგი (35). ამ უკანასკნელთან დაკავშირებით არ იქნებოდა ზედმეტი, ავტორს ესენებინა აკაკის ფორმა **ჩანგური**. აკაკი ამოდის არა ჩონგურიდან, არამდე **ჩანგ** ფორმიდან. ასე მივიღეთ მისი ჩანგური – პოეზიის სიმბოლო. ასევე **პიტნა** სიტყვაზე მსჯელობისას უნდა ხსენებულყო ზმნა **მეპიტნავენა**.

აღმოჩნდა, რომ სიტყვები ლაქლაქი, ლაყლაყი, ნულნული (ალბათ ლულლულიც!), ყიყლიყო, ყლუპყლუპი, ჭივჭივი, ჭიკჭიკი, ჯახაჯუხი და ბევრი სხვა სათავეს იღებს სპარსულში (50-59).

საგანგებოდ აღვნიშნავ: უაღრესად საინტერესოა მსჯელობა კავშირზე **ქერომ** (68-63). ეგ საუბარი ერთობ დამაჯერებელი და სარწმუნოა.

ამრიგად, წიგნის სახით ჩვენ წინაშეა ქართული ლექსიკის კვლევის საგულისხმო ფაქტი.

ფუნდამენტური წიგნის ერთი საინტერესო განაკვეთია „ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან“. ახსნილ-გამოკვლეულია სახელები **ნესტან-დარეჯანი**, **თინათინი**; სიტყვა **შერისა**, **შადი**, **შარდი** თუ **შართი**; **აბჯარი** თუ **ავშარი**?

ნესტან-დარეჯანს, განსხვავებით ნიკო მარისაგან, ბართაია ასე თარგმნის: არ არის ამქვეყნად, ანუ არაამქვეყნიურით, რადგან აღმოსავლურ პოეზიაში ყველა ქალი განუმეორებელი სილამაზისაა.

უბრალო თვალის იოლად ამჩნევს, მსგავსი კონსტრუქციისაა ორი კომპოზიტი: **ამირ-ანდარეჯანი** და **ნესტ-ანდარეჯანი**. მკვლევარსაც მსჯელობა აქეთკენ მიჰყავს, მოიხმობს ნ. მარისა და სხვათა მოსაზრებებს და აღგენს: იგი სიტყვა-სიტყვით ნიშნავს **არ არის ქვეყანაზე**. ქვეყანაზე არ მოიპოვება, ესე იგი, არაამქვეყნიური სილამაზისაა (527). **ამირანდარეჯანი** გამოდის უძლიერესი ქვეყანასა ზედა, ემირი ქვეყნიერებისა (526).

ყველაფერი ლოგიკურია: ახალდაბადებულ გოგონას უწოდებენ **არაამქვეყნიური სილამაზის მქონეს**, ხოლო ახალშობილ ბიჭუნას უსურვებენ

გახდეს **ქვეყნიერებაზე უძლიერესი, ანუ ქვეყნიერების მბრძანებელი**. ნ. ბართაიას მოჰყავს ალ. ჭულუხიძის მითითება, რომ ემად ედ-დინ ისფაჰანელის „სელჩუკთა ისტორიაში“ (XI ს.) ნახსენებიან კეთილშობილი მანდილოსნის სახელი **ნესთ ანდარე ჯეჰანი** (526).

ნ. ბართაიას ეგ წიგნი გამოსულია 2014 წელს, ხოლო ჩემი წიგნი – „ნიზამი და რუსთველი“ 2011 წელს და მისი რედაქტორი თვითონ ნომადი ბართაიაა. საინტერესოა, რომ ნესტან-დარეჯანის შესახებ ალ. ჭულუხიძის მითითების უწინარეს როგორ არ მიუთითა ჩემს დაკვირვებაზე ნიზამის „ისქანდერ-ნამესთან“ დაკავშირებით. იქ მიწერია:

„უფრო საინტერესოა **უცხო მოყმის** მესამე გამოჩენა. ამ გმირს, რომელსაც გარეთმიანი ვეფხის ტყავი ეცვა და ვერავინ დაამარცხა, ალექსანდრესთან მიჰყავს ხელში ატატებული მზეთუნახავი ქალი **ნესთ-ანდარ-ჯეჰანი** და მას ფეშქაშად აძლევს. აქ უკვე თავი წამოყო ნესტან-დარეჯანის პროტოტიპმა, „ისქანდერ-ნამეს“ მეორე პერსონაჟმა **ნესთანდარჯეჰანმა**.

ამის შემდეგ, რუსული ტექსტის 424-ე გვერდზე, საუბარია ალექსანდრესა და ნესთანდარჯეჰანზე. თავის სიტყვაში ქალი თავადვე განმარტავს საკუთარი სახელის მნიშვნელობას (შევიხსენოთ ზევით თქმული – ნიზამის ყველა გმირ ქალს აქვს სახელი, რომელიც რაღაც კარგსა და დადებითს გამოხატავს). ის აცხადებს: „ჩემი სახელია **ერთადერთი**“ (433), ხოლო ამ ტომის განმარტებაში ახსნილია, რომ ეგ სახელი ნიშნავს იმას, რომ ამისთანა არავინაა დედამიწაზე: „ნესთანდარჯეჰანი – არ არის მსოფლიოში მსგავსი“ (737).

ამის შესახებ იხ. მ. თავდიშვილი, ნიზამი და რუსთველი, 2011, გვ. 183.

შემდეგ ნათქვამია, რომ ეგ შტამპი იხმარებოდა სომხეთშიც, საქართველოშიც. მომყავს თითო მაგალითი ორივე ქვეყნიდან. სომეხთა კათალიკოს ნერსესს ფავსტუს ბუზანდაცი არაერთხელ მოიხსენიებს ამ გაყინული შტამპით: **მისი მსგავსი არავინ იყო; მას ტოლი არ მოეპოვებოდა.**

ეგ ფორმულა გავრცელებული ყოფილა I საუკუნის ქართლშიც. „არმაზის ბილინგვაზე“ პირდაპირ წერია, სერაფიტა გვეუბნება: არავინ **იყო ჩემი მსგავსი დედამიწაზეო**, ესე იგი, ნესთანდარჯეჰანი ვიყავიო. ბილინგვაზე სიტყვასიტყვით არის ამოკვეთილი: „**არავინ იყო მისი მსგავსი მშვენიერებით**“.

„მაშასადამე, უნდა ვაღიაროთ, რომ ნიზამის **ნესთანდარჯეჰანი** არის რუსთველის **ნესტან-დარეჯანის** ლიტერატურული წინასახე“ (ნიზამი და რუსთველი, გვ. 184-185).

იქვე მითითებულია ის სახოტბო სიტყვები, რომლებსაც აღუვლენს თავის პერსონაჟ ქალს ნიზამი (გვ. 184).

მაშასადამე, მეორე და ერთობ გაშლილი განმარტება, თუ რას ნიშნავს „ნესტანდარეჯანი“, მოცემულია 1203 წელს გასრულებულ პოემაში „ისქანდერ-ნამე“, რომელიც რუსთველმა ისე კარგად იცოდა, როგორც ჩვენ ვიცით, ვთქვათ, პუშკინის „ევგენი ონეგინი“ ანდა ტოლსტოის „ომი და ზავი“.

საგულისხმოა მოსაზრება **თინათინ** სახელის შესახებ. მართლაც, ხომ არ არის ისიც იმავე აღნაგობისა, როგორც პოემის სხვა სახელები?

ნურადინ → **ნურ ად-დინ** (სხივი რელიგიისა)

შერმადინ → **შარმ ად-დინ** (სინდისი რელიგიისა)

თინათინ → **დინ ად-დინ** (რელიგია რელიგიისა)

სამივე ეს სახელი აღმოსავლურია და პოემატ ხომ გამოუკლებლივ აღმოსავლელებს წარმოგვისახავს? (528).

აქვეა შეტანილი ტერმინი **შერისა** (529). მკვლევარი ახლებურად ასაბუთებს იმას, რასაც ბრძანებდა ნ. მარი: **შერისა** ნიშნავსო **ლექს**: „მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შერისა“ (ლექსისა).

ტერმინი **შართი** მიაჩნია მკვლევარს სწორ ფორმად. იგი არაბულია და ნიშნავსო **პირობას**.

ჩემი აზრით, ეგ სიტყვა ზუსტად შეესატყვისება კონტექსტსაც (532).

ჩვენი მკვლევარი ფიქრობს, რომ პოემის სიტყვა **აბჯარ** უნდა შეიცვალოს სიტყვით **ავშარ**. იგულისხმება ტარიელის მერნის მორთულობა:

ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-**აბჯარ**-უნაგირსა.

ნ. ბართაია ურიგდება იმას, რომ ცხენს აქვს ლაგამი, უნაგირი, რომლებიც მოოჭვილია მარგალიტებით, ოღონდ სრულიად გაუგებრად მიაჩნია ამ კონტექსტში **აბჯარი**. ის წერს: „ცხენის მოკაზმულობის აღწერისას ჩვენი ეჭვი დაბადა ერთ სემანტიკურ რიგში – **ლაგამსა** და **უნაგირს** შორის სამხედრო საჭურველის – **აბჯრის** მოხვედრამ“ (533).

სამაგიეროდ, ქართულში არის **ავშარა**, იგივე აღვირი. მაშ, აქ **გაუგებარი აბჯარი** გასაგებმა ავშარამ უნდა შეცვალოს. ლაგამ-აფშარ//ავშარ-უნაგირი სიტყვათა ერთი სემანტიკური რიგია და ამიტომ!

ახალი მოსაზრება რომ გამანდო, ვურჩიე: ეგიდვა თავიდან მოეშორებინა, ხოლო ხელნაწერი – საწერი მაგიდიდან, მაგრამ არ დამიჯერა და,

არათუ არ დამიჯერა, მგონი, ორ-სამჯერ დაბეჭ-
და კიდევაც!

კი, ძნელია ყმაწვილურ ოცნებებთან გამომ-
შვიდობება, თუმცა მოგვიწევს.

აი, რამდენიმე რკინის არგუმენტი, რომლე-
ბიც დაგვიმტკიცებენ: ხელნაწერებში ყველაფერი
რიგზეა და არავითარი კონიექტურა საჭირო
არაა.

**არგუმენტი პირველი: ავშარას არც ერთი
ხელნაწერი არ უჭერს მხარს!**

ამ ვითარებაში არათუ კონიექტურა (ხელოვ-
ნური ჩარევა), არამედ **საკითხის დაყენების უფ-
ლებაც კი არა გვაქვს!**

საკითხის მხოლოდ **დასაყენებლად** საჭიროა,
თუნდაც ერთი ყველაზე არადსადირალი ხელნა-
წერი მაინც იცნობდეს სიტყვა **ავშარას**.

საქმეს რომ ამგვარად მივსდიოთ, ხვალ მ.
თავდიშვილსა და ნ. ბართაიაზე უფრო დიდი ავ-
ტორიტეტი (ვთქვათ, გ. ლეონიძე) მოვა და იტ-
ყვის: **ავშარის** მაგიერ უნდა ჩაიწეროსო **ჯავშანი**;
შემდეგ უფრო დიდი ოსტატი მოვა (ვთქვათ, გა-
ლაკტიონი) და რაიმე ღამაში სიტყვის ჩაწერას

მოინდომებს... ასე კი მივაღთ ხალხურ შემოქმედებად.

ეს რომ არ მოხდეს, ამიტომაც არსებობს შემაკავებელი ფაქტორი – ხელნაწერული მემკვიდრეობა.

არგუმენტი მეორე: პროფესორ ნ. ბართაიას ვრცელი დადებითი გამოხმაურება აქვს დაბეჭდილი ჩემს წიგნზე „ფირდოუსი და რუსთველი“ (რედაქტორი ბელა შალვაშვილი) და მშვენიერად იცის: რუსთველი გამოწვლილვით იცნობს ფირდოუსის მთელ შემოქმედებას. პოემის ავტორმა იცის ის, რაც იცის ფირდოუსიმაც: ძველად საბრძოლო ცხენებს ეცვათ **აბჯარი**. ასე რომ, **შეაბჯრული ცხენი** მათთვის ჩვეულებრივი ამბავია, ასე რომ გაჰკვირვებია ჩემს მეგობარს. მეორეც, ნ. ბართაიას დედანში აქვს წაკითხული „შაჰ-ნამე“. მე ამ ბედნიერებას მოკლებული ვარ, სამუქფოდ ხელთა მაქვს ბანუ-ლაჰუთის შესანიშნავი რუსული თარგმანი, ასევე ბ. შალვაშვილისა და სხვა ქართველთა მიერ გადმოცემული „შაჰ-ნამე“. მაშასადამე, მას გადავიწყებია ანდა ყურად-

ღება არ მიუქცევია, რომ სპარსულ პოემაში არის აღწერილი **ჯავშნიანი ცხენი**.

ახლავე თქვენ წინაშე დავახვავებ საამრიგო მაგალითებს. **„Царь в шлеме, в доспехах; Конь царский в броне“** (იხ. ფირდოუსი, „შაჰ-ნამე“, ბანუ ლაჰუთის თარგმანი, მოსკოვი, კეისარი ნუშრივანი, გვ. 127).

სხვა მაგალითი:

„И каждый в доспехах, и конь защищен“ (258).

კიდევ ნიმუში:

„В доспехах, с конями в броне, храбрецов“ (259).

ისევ ნიმუში:

„Броню укрепив на своём рысаке“ (260).

უფრო მეტიც: არა მარტო ცხენი, საომარი სპილოც ჯავშანშია ჩასმული:

„Слонов десять сотен в броне боевой“ (269).

სხვაგან ასეა:

„Где в крепкой броне боевые слоны?“ (287).

„ლაგამ-აბჯარ-უნაგირზე“ აჩირჩხლული ძვირფასი ქვები „შაჰ-ნამეში“ ბევრგან ჩანს. აგერ ერთი მაგალითიც:

„Узда золотая на резвом коне,

И блещет жемчужина в каждом звене“ (289).

მოვიშველიოთ კიდევ ერთი მაგალითი:

„Броня боевая на каждом коне“ (504).

ბარემ ერთი ნიმუშიც მოვიხმოთ:

„Бойцов триста тысяч, в броне скакуны“ (562).

ამრიგად, ტარიელსაც რომ შეაბჯრული საბრძოლო მერანი ჰყავდეს, ჩვეულებრივი და მოსალოდნელია.

არგუმენტი მესამე და გადამწყვეტი: არის თუ არა ქართულ პოემაში სადმე მკაფიოდ მითითებული, რომ ტარიელის მერანი შეჯავშნულია?

არის და ახლა ამ მომენტსაც გაგაცნობთ.

ავთანდილი ხეზეა ასული, იქიდან აკვირდება, თუ დილით როდის გამოვლენ ქვაბიდან ასმითი და უცხო მოყმე. აი, გათენდა კიდევ და დიაცი რაინდს ცხენს უმზადებს:

გათენდა, ქალი გამოდგა, მოსილი მითვე ფერითა,

შავსა აუღვა ლაგამი, სწმედდა რიდისა წვერით,

შეკაზმა, მოაქვს აბჯარი წენარად, არ რამე ჩხერთა.

როგორცა ვხედავთ, ასმათმა აღკაზმა ცხენი და **აბჯარიც** მოარგო მას. ამის მერე გამოვიდა ტარიელი ქვაბიდან და გამზადებულ ცხენზე ამხედრდა.

პოემაში სხვაგანაც ჩანს შეაბჯრული მერანი.

ტარიელი უკან, ქვაბში, დაბრუნდა. ავთანდილი საკანშია დამალული, იქიდან აკვირდება ვითარებას. მოსულმა რაინდმა და ასმათმა ჯერ იტირეს, მერე ქალმა ცხენი ჩამოართვა მოყმეს და

შეხსნა, შეიღო აბჯარი, ცხენიცა შეიყვანა მან.

ჯერ აბჯარი ჩამოხსნა პირუტყვს და ქვაბში შეიტანა, მერმე მერანიც შეიყვანა შიგნით.

ახლა კი ისეთ მაგალითს მოვიყვან, სადაც **ცხენ-აბჯარი** ერთიან კომპოზიტადაა შეკრული და, ძალიანაც რომ მოინდომო, მათ ნაჯახითაც ვერ გააცალკევებ. ფრიდონმა ჭრილობები მოიშუშა, უკვე შეუძლია, ვერაგი ბიძაშვილები დასაჯოს. აქ მითითებულია:

მოჯობდა, ომი შეეძლო, **ხმარება ცხენ-აბჯარისა.**

ესე იგი, აბჯრიანი საომარი ცხენის ხმარება და მართვა შეეძლო.

ხატაეთში საომრად წასვლის წინ სარიდანის ძემ სამხედრო აღლუმი მოაწყო, დაათვალიერა ლაშქარი. აქ მას მოეწონა

ტაიჭთა მათთა (მებრძოლთა) სიმაღე, **აბჯრისა ხვარაზმულობა.** ე. ი. საბრძოლო ცხენებს არა ჩვეულებრივი, არამედ ხორეზმული რჩეული ჯავშანი იცავდაო.

როგორცა ხედავთ, მთელი გამოკვლევის დაწერა მომიხდა, რათა დამემტკიცებინა: ტარიელი ზის საბრძოლო ცხენზე, რომელიც შეჯავშნულია მაშინდელი წესისამებრ. მაშ, გამოთქმა

„ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა“ ყოველნაირად გამართულია და შესწორებას არ საჭიროებს!

მკვლევარი ქარგონულ ლექსემას **შაყირი** ლევან ბრეგაძის მსგავსად **შაირი** სიტყვის განვითარებად მიიჩნევს: **შაირი**→**შაყირი** (536) და ამ იდეას თავისებურად ასაბუთებს; ასევე საგულისხმო და მისაღებია სიტყვის **ამხანაგი** კვლევა, განსაკუთრებით ის, რომ საშუალო სპარსული სიტყვის ერთი ვაგება (მეუღლე) დაკონსერვებული ყოფილა მეგრულში; ასევე საინტერესოა – მეგრულ-სვანურში შემონახული ფორმა **ყორ-ი** ნიშნავს **გოგონას**, როგორც ეს არის ფერეიდნულში. მაშ, ოდესღაც საერთო ქართველური სიტყვა უნდა ყოფილიყო **ყორ-ი**, იგივე **გოგონა**.

ნ. ბართაიას არც კი აგონდება, ოღონდ მე მივუთითებ: ეგ **ყორ-ი** ალბათ შემადგენელი ერთეულია ცნობილი სიტყვისა **სა-ყორ-ელ-ი**. აღნიშნულ ლექსემაში ზუსტადაა დაცული საძიებელი სიტყვა. სემანტიკურად **საყორელი** იგივეა, რაც აღმოსავლური **აშიკი** (ქალი, გოგო). **აშიკის** საპირისპიროა **მაშიკი** (მამაკაცი, ბიჭი). ასე რომ, ერთის მხრივ, გვაქვს უცხოური წყვილი **აშიკ-მა-**

შიკი, მეორე მხრივ, ეროვნული საყორელ-მაცორელი.

აქვეა მსჯელობა ფერეიდნულ სიტყვაზე **შამწყრომი**, რომელზედაც ზემორელე ვისაუბრეთ.

ქართულ-სპარსულ ენობრივ ურთიერთობებზე საუბრისას ჩვენ შევეხეთ მხოლოდ წიგნებში თავმოყრილ ნასესხობებს. სამეცნიერო კრებულებში უხვად არის მიმოფანტული საამრიგო მასალა. აი, ზოგიერთი მათგანი:

„ღავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდის“ ზოგიერთი ტერმინის განმარტებისათვის (ფულუნია, აშაყა, ბაჰმან)“;

„ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობანი მეგრული მასალების მიხედვით (დინო, კუტა, თური, ქვირა, მალახია, ჩაფარე)“;

„ხელმწიფის კარის გარიგება“ აღმოსავლურ ნასესხობათა შესახებ ქართულში (დაბარჩამი, ზარდახანა, მაფრაშა, სუნდუზი“;

„ბატონიშვილ ვახუშტის „აღწერაი სამეფოსა საქართველოსა“ ზოგიერთ აღმოსავლურიდან მომდინარე ტერმინთან დაკავშირებით“ (აიდი,

ლულუფარი, ლაკლაკი, მეკმანდარი, მორდარი, ნიჯადი, საბდივანი, სრა-ფარდაგი“;

„სპარსული ნასესხობანი შუშანა ფუტკარადის „ჩვენებურების ქართული“ ლექსიკონის მიხედვით (ამხანაკი, ათეში, ახორი, დეზგაპი, ბადია, ბაჩა, ბითური, გაათემიზებს, დასტური, დუქორდა, თაჯი, თოხუმი, ემსალი, ლეგლეგი, ლეზიო, ლუხუდი, მოპირი, კოშკი, ქოხი, ხამური, ყარფუზი, ხენდეკი, ჩაფრასტი, ჩუვალი, ჩირადი, ჯახანდარი, ჩუნქი, ჰავუჯი);

„ძველი აღთქმის ერთ ტერმინთან დაკავშირებით (ქონდაქარი)“ და მრავალი სხვ.

შცხოური ლირიკის ნომადური თარგმანები

ნომადი ბართაია გამოჩენილი ირანოლოგია. გარდა ამისა, ის შესანიშნავი პოეტია. ამიტომ, რაღა თქმა უნდა, იგი თავადანვე თარგმნიდა სპარსული პოეზიის ნიმუშებს, ნათარგმნ ტექსტებს ხვეწდა და პერიოდულად აქვეყნებდა კიდევაც. დროდადრო კი პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ ნიმუშებს წიგნად კინძავდა და გამოსცემდა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი გამოცემაა „რა საამოა დღეს შენი სახე“ (1987). კრებული შესანიშნავად გაუფორმებია რუსუდან ფეტვიაშვილს, რომლის სამხატვრო სტილი ყველა სხვა მანერაზე უფრო შეესატყვისება სპარსულ ლირიკასა და მხატვრულ მინიატიურას. აქ მოთავეყუბული ნიმუშები მოგვიანებით მთლიანად შევიდა ნ. ბართაიას რედაქტორობით გამოსულ ფართო ფორმატის უზარმაზარ ფოლიანტში „სპარსული ლირიკა“ (2005). ამიტომაც სპარსული ლირიკის ნომადურ „თარგუმებს“ ამ კლასიკური კრებულის მიხედვით განვიხილავ.

ჩვენს ორიენტალისტს გადმოუღია რაბია ბალხელის ბეითებად აწყობილი ორი ქმნილება. ლექსი აგებულია ბუნებისა და ლიტერატურული ფაქტების პარალელიზმზე, მათ შორის – მსგავსების შემჩნევაზე. ყველაზე უკეთ ეგ ჩანს მეორე ბეითში:

**მეჯუნის თვალთ ხომ არ ტირის ღრუბელი ნეტავ,
ვარდებს ლეილის მოსდებიათ დაწვების ფერი (26).**

იგივე წესია შენარჩუნებული სხვა ბეითშიც:

**ისე უბრწყინავს ოქრო-ვერცხლით კოკორი ნარგისს,
ხოსროს გვირგვინი გეგონება, თვალისმომჭრელი.**

მთარგმნელს დაუცავს ლექსის წყობა და ერთიანი სარითმო „ყუვა“: ყოველი ბეითის მეორე ტაეპის ბოლო სიტყვა სარითმო ერთეულია, რითმა კი ერთნაირია: **მფენი – ფერი – მწველი – თვალისმომჭრელი – ხელი.**

იმავე პრინციპით არის აგებული მომდევნო ქმნილებაც.

პირველი ბეითი ასე გამოიყურება:

მე სიყვარულის ტყვეობაში ვარ ისევ,

შველა არა მაქვს, დავკარგე სიხალისე.

აქ ორი უზუსტობაა გაპარული: წმინდა ირანული კალკია „შველა არა მაქვს“. ქართველი ასე არასოდეს იტყვის. ჩვენ ასე ვამბობთ: „ვერვინ მიშველის!“ მეორეც, დედანში არ წერია დავკარგე **სიხალისე**. იქ წერია: დავკარგე **მოსვენება**.

საქმე ისაა, რომ სიყვარული **მოსვენებას აკარგვინებს** კაცს და არა **სიხალისეს**. დედანში ასეც რომ წერებუდიყო, მთარგმნელს უნდა გადმოედო ქართულ ყაიდაზე. ტყუილად როდი ბრძანებს ვასილი ჟუკოვსკი გენიალურ ფრაზას: „პროზის მთარგმნელი მონაა, პოეზიის მთარგმნელი კი – მეტოქე“.

ჩვენი მოშიარე გამოეკიდა რითმას (ისევ – სიხალისე) და დაარღვია მეტყველების ლოგიკა. ამავე დროს, პირველი ტაეპი პროზაულია, არაა პოეტური. ამ პროზაულმა იმპულსმა გამოიწვია მომდევნო ტაეპის პროზაულობაც.

ვფიქრობ, ეგ ლექსი მთარგმნელმა ხელახლა უნდა გადმოაენოს!

ნასერ ხოსროვის ქმნილებანი ჩვენს მთარგმნელს გადმოუღია თეთრ ლექსად, ურითმოდ. ამ მგოსნის დიდაქტიკური აზრების გადმოცემისას გვერდით უნდა გედოს და ნიადაგ კითხულობდე დავით გურამიშვილის სტროფებს, რომლებიც შედის განაკვეთში „სწავლა მოსწავლეთა“. მგონია, ეგ ხერხი არ მოუმარჯვებია მთარგმნელს. მაინც ზოგიერთი აფორიზმი საკმაოდ გერგილიანად გადმოუქართულებია. აი, ერთი მათგანი:

**ბაღში ვარდები თუ არ ჰყვავიან,
ვერ აღივსები სურნელით ვარდის (47).**

ოღონდ ასე მარჯვედ გადმოდებული აფორისტული გამონათქვამი ცოტაა.

მე მაინცა მგონია, რომ ნასერ ხოსროვის ტექსტებს ჩვენი პოეტი ხელმეორედ უნდა შეეჭიდოს.

სამუქფოდ, შესანიშნავად უთარგმნია ომარ ხაიამის ზოგი რობაი. ასეთია, მაგალითად, №276:

**საზრუნავს ჩვენსას აღარ უჩანს თავი და ბოლო,
გვაკლდება შვება, გვემატება ტკივილი მხოლოდ.**

**დიდება უფალს, არასოდეს დარდი და ურვა
არა გექონია არავისგან ჩვენ სამათხოვროდ! (112)**

ჩემი გემოვნება და მხატვრული გამოცდილება თანხმობას მიცხადებს, რათა საუკეთესო ნომადურ თარგმანად ვაღიარო 282-ე რობაი. აქ აზრიცა და ფორმაც წარმატებით შერწყმია ერთურთს:

**ოი, საწუთროვ, მწუსარებამ გული დალახვრა,
შვების პერანგი დამიფლითა, ვღირვარ არაფრად.
ქარი, რომელიც ჩემკენ ქროდა, ცეცხლად იქცა და
წყალი, რომელსაც დავეწაფე, იქცა ტალახად.**

ვფიქრობ, ჩივილი ავი საწუთროს მიმართ აქ მშვენივრად გადმოქართულდა.

ომარ ხაიამის კიდევ ერთი ქმნილება გადმოუღია ჩვენს მთარგმნელს იმ დონეზე, რა დონეზეც დგას ნახელავი ისეთი ცნობილი ოსტატებისა, როგორებიც არიან მაგალი თოდუა, ვახუშტი კოტეტიშვილი და სხვები. მომყავს 297-ე რობაი:

**ავი თუ კარგი – ერთნაირად გვარგუნა ბედმა,
ტანჯვა და ლხენა იმთავითვე ჩვენ დაგვებედა;**

**ნუ მიუხტები ყველაფერზე სამყაროს, რადგან,
თუ დაფიქრდები, უმწეოა ის ჩვენზე მეტად! (115)**

მაინცა მრჩება უკმაყოფილების განცდა: ამდენ გადმოენებულ ტექსტში მეტი მთარგმნელობითი შედეგრი უნდა ერიოს. ომარ ხაიამი იძლევა ამის შესაძლებლობას.

ჰასან დაზნევის ყაზალებიც თეთრ ლექსად გადმოუტანია მთარგმნელს. უნდა ვიგულწრფელო: ირანელ პოეტებს როგორღაც არ უხდებათ ურითმო ლექსი. მიუხედავად იმისა, რომ სტრიქონები პოეტურად დაფერილი და ენობრივად დახვეწილია, პეწი მაინც აკლია მათ. მაინც მე უფრო მენიაზა ეგ ყაზალი:

**ჰა, როგორც იქნა, მიაღწია გულმა საწადელს,
რასაც ვითხოვდი განგებისგან, მარგუნა ბედმა:
გამოანათა ცის გუმბათზე დიდების მთვარემ
და ყვავილნარში შარშანდელი დაბრუნდა ვარდი.**

ისევ ვიგრძენი ბაგაბუგი მკერდში გულის და
ისევ ჩამიდგა გრიგალივით სხეულში სული;
ბუღბუღმა ისევ ბროწეულად განახვნა ბაგე,
ჩემი ლამაზი თუთიყუში კვლავ ენად იქცა (121).

ჩემი თვალი მიიტაცა კიდევ ერთმა ყაზალმა, უკეთ – მისმა მარჯვე დასაწყისმა. აი, ისიც:

**დავანებულა სამყაროში ჰანგები მშვენი,
ყურის განჯინას ვერცხლით ავსებს ჰანგები შენი!**
(124)

ადამ ბოლდუელს ისე მოსწონებია ღვთაების ხმის ამდაგვარი აღწერა, რომან „კეისარში“ ცენტრალურ პერსონაჟს პერსევერაციად აჰკვიატებია ფრაზა: „ყურის განჯინას ვერცხლით ავსებს ჰანგები შენი!“

ჩემი ფიქრით, ირანელ ლირიკოსებში, როგორც ვარსკვლავთა შორის მთვარე, ისე გამოირჩევა ხაყანი შირვანი. არ არსებობს ლექსი, რომელშიც ამ დიდოსტატს რაიმე, თუნდაც ერთი, გულდახვარსასობი გამოთქმა, ფიგურა, მეტაფორა ან გააზრება არა ჰქონდეს. ამიტომაც მისი ნაწერების გადმოღება საინტერესოც არის და პასუხსაგებიც. „ტოტი ქვეყნისა“ ნომადურ თარგმანთა მარაქაში რაიმე განსაკუთრებულობით არ გამოირჩევა. სამაგიეროდ, მგონია, რაც კი რამ სპარსულიდან უთარგმნია ჩვენს ირანისტს, იმათში მკვეთრად გამოირჩევა „არაფერია

ჩვენი ყოფა“. ფაქტობრივად ხელთა გვაქვს ქართულენოვანი შედეგრი:

არაფერია ჩვენი ყოფა, არაფერია,
ლამაზ ნოხებით სახლის მორთვა არაფერია;
ახალგაზრდობა ერთადერთი არის სიმდიდრე,
ახალგაზრდობაც, რომ დაფიქრდე, არაფერია!
(131)

მთარგმნელობითი ოსტატობის ამ დონეს ვერ აღწევს, ოღონდ საკმაოდ ედება გულის მომდევნო რობაი „ბევრ ქვაზე გადავიანკარე“. საშუალო ძალით შესრულებულ სხვა თარგმანებში აშკარად გამოირჩევა ზემორე უკვე განხილული „ვაი, როგორ მოკვდა გული“ (133); უნდა გულწრფელადა ვთქვა: ძალიან კარგად იწყება „ღარიბ-ღატაკნი და უქონელნი“. განსაკუთრებით კარგად უდერს დასაწყისი სტროფი:

ღარიბ-ღატაკნი და უქონელნი,
ჭეშმარიტების გზაზე მავალნი,
მართლა ღატაკნი კი არ არიან,
ყველა მეფეა და სხვა – არავინ (133).

„მადანის ნანგრევებში“ უკეთ ახმიანებულია ადამიანთა დამსამარებელი მიწის გამომხატველი სტროფი:

ამდენი ჩვილის უმანკო სისხლით
სახეზე წითლად ნაოჭი აკრავს,
ამ შავგულიან უღმობელ დედას,
ამ თმაგაწეწილ დედაბერს, მზაკვარს (138).

მგონია, ასევე კეთილხმიერი გამოსულა კიდევ ერთი რობაი. აი, ისიც:

დღეს რომ სევდისგან იდაგება – ჩემი გულია,
ვშიშობ, ხვალამდე ვერ დადგება – ჩემი გულია,
ერთი ბეწვიც კი არ აშორებს ჩემს გულს და
სიკვდილს,
რაიც ხელთაგან მეკარგება – ჩემი გულია! (143)

ჯელალ ედ-დინ რუმის არაერთი ქმნილება გადმოაენა ჩვენმა მოშიარემ. მათ შორის ქართულად მშვენივრად ჟღერს „მომხედე, შენმა სიყვარულმა“. ეს ლექსი უკვე ზემორელე გაგაცანით, მაგრამ მთლიანად უნდა მოვიყვანო, რადგან ისეა შეკრული, ცალკე ბეითი წარმოდგენილ განწყობილებას დაარღვევს და გააფუჭებს:

მომხედე, შენმა სიყვარულმა ხელად მაქცია,
ქალაქი ვიყავ, უკაცრიელ ველად მაქცია;

შენზე ოცნებამ განმაშორა სახლსა და ნივთებს,
დარდების თანამოსახლედ და მხევლად მაქცია;

ნუ იტყვი იმას, დავრდომილი ვიყავი ვითარ,
შენმა დანახვამ რაინდად და ქველად მაქცია;

შენმა არსებამ, შევიცანი როდესაც ჩემში,
მოყვასთა შორის უცხოელად გარდამაქცია;

მე სიყვარულზე დღე და ღამე ზღაპრების თხრობამ
თვითონ ზღაპრად და სიყვარულის ენად მაქცია
(192).

რუმის რობაიებიდან ნ. ბართაიასაც უთარ-
გმნია რამდენიმე ნიმუში. მათ შორის ყოველთა
უფროსე მესულგულა „ბაღში შედიო“:

ბაღში შედიო, – ასე მითხრეს ვითომ ნაღვლიანს,
რომ იქ ყორანი აღარ ჩხავის და სილაღვა;
ეგ გული, ძმაო, იმდაგვარი არის მხატვარი –
ჩემთვის ყოველი ყორნის ფრთის ქვეშ ასი ბაღია!
(222).

საადი შირაზის ლექსებიდან მთარგმნელის ყურადღება მიუქცევია ციკლს „სხვადასხვა“. ამ ქმნილებათაგან, ჩემი ფიქრით, კარგ ნახელავად უნდა მივიჩნიოთ „თუ სასახლეში არავის იცნობ“:

**თუ სასახლეში არავის იცნობ,
ნუ მიაღგები სასახლის კარებს,
თორემ ან ძაღლი, ან კარისკაცი
შმაღვე, როგორც შეგავლეს თვალებს –
ერთი ფეხებში გეცემა, ხოლო
მეორე გისვრის კინწისკვრით გარეთ (231).**

დანარჩენი თარგმანები, ჩემი აზრით, მხოლოდ წარმოდგენას გვიქმნიან საადის ნააზრევზე, ოღონდ განსაკუთრებული მთარგმნელობითი ოსტატობით არ გამოირჩევა (232-240).

ჩვენს მთარგმნელს რატომღაც არ უცდია ჰაფეზის ქმნილებათა გადმოქართულება. რაკი იგი შესანიშნავად თარგმნეს მაგალი თოდუამ და ვახუშტი კოტეტიშვილმა, ეს იმას როდი ნიშნავს, ჩვენ აღარ ვსინჯოთ ხელახლა თარგმნა. პუშკინის „ზამთრის საღამო“ ბრწყინვალედ გადმოიღეს ქართველმა კალმოსნებმა. ორ მათგანს კი

მთარგმნელობითი შედეგები გამოუვიდა. ესენი არიან პ. იაშვილი და ხ. ბერულავა; ედგარ პოსოცზე მეტი ქართული „ყორანი“ არსებობს. ვაჟა-ფშაველადან დაწყებული ვინ აღარ თარგმნა იგი. ამან სიტყვის ოსტატთა ერთგვარი მარათონი გამოიწვია, რაც, რა თქმა უნდა, მთარგმნელობით დონეს ამაღლებს.

ირაჯ მირზას „დედის სიყვარული“ იმის ნიმუშია, რომ ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნა ამ პოეტზე (278), ხოლო ფარვინ ეთესამის „ეპიტაფია საკუთარ თავზე“ გვამახსოვრდება კარგად შესრულებული ბოლო კადენციით:

**ბედნიერია, ვინც გაექცა ტანჯვის მარწუხებს,
აქ განისვენებს, არაფერი აღარ აწუხებს (279).**

ნადერ ნადერფურის „მე ღამის ტყეში ვიყავი ჩიტი“ (289) საკმაოდ მსუბუქი სიტყვათა წყობით გადმოუღია მთარგმნელს, ოღონდ პირველ სტროფში რომ ჯვარედინი შერითმვის პრინციპია გატარებული, მეორეში რითმაზე საერთოდ ხელი აუღია. ასეთი უხეში ჩანაცვლება მკითხველს აბნევს და მოსალოდნელი ეფექტიც იკარგება. იმა-

ვე დროს, „მე ღამის ტყეში ვიყავი ჩიტი“ უგერ-გილო ქართულია, არც პოეტურია. უნდა ყოფილიყო: „მე ღამეულ ტყის ვიყავი ჩიტი“. ენობრივ-აზრობრივად ბუნდოვანია „და ერთი იყო თვალე-ბის იქით“ შემოდგომა თუ მაისის თქორი“. „თვა-ლების იქით“ უმწეო ქართულია. ეგ გამოიწვია რითმისადმი გამოდევნებამ: ჩიტი – იქით. უნდა თქმულიყო დაახლოებით ასე: ჩემს თვალში ერთი ფასი ჰქონდა შემოდგომისა თუ მაისის წვიმას.

იმავე ავტორის მეორე ლექსია „შენ რომ ყიდულობ ჩემს ღამაზე ლექსებს“. ხუთსტროფიანი ლირიკული ქმნილების მხოლოდ ბოლო ხანა მომწონს:

ჩემთვის სავსეა სისხლით ეს თასი,
სავსეა ცრემლით ესე ფიალა,
ნუ შესვამთ იმას მსუბუქად ასე,
ნუ მოეპყრობით ასე იოლად! (290)

ვგონებ, ჩემგნით მონაწონები ეგ მონაკვეთი ვერც ვერვინ დამიწუნოს!

ნომადი ბართაიამ ასევე თარგმნა აზერბაიჯანული წარმოშობის უდიდესი თანამედროვე პროექტის შაჰრიარის ლირიკული პოემა „სალამი, ჰეიდარბაბა!“ სხვათა შორის, შაჰრიარის მედლით დაჯილდოებული პირველი ქართველი კულტუროლოგი სწორედ ნ. ბართაია გახლავთ. ასე რომ, მას ერთგვარად ვაღადაც ედო მსოფლიოს 80 ენაზე გადაღებული ამ შედევრის ქართულად ახმიანება.

ვერ ვიტყვი, რომ უწრფელესი ლირიკული სულისკვეთებით აღსავსე პოემა მთელი დედნისეული ძალით გამოირჩეოდეს, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ქართული ტექსტი გვაგრძნობინებს იმ ზეაღმტაც განცდას, რაც ავტორს დაუფლებია საკუთარი მამულის აღწერისას, მისთვის ხოტბის შესხმისას; ჩვენ ვეცნობით პოემის ფორმას (სტროფში შედის სამი მოსაზღვრე რითმით დაკავშირებული ტაეპი და პლუს კიდევ ორი დასკვნითი სტრიქონი, ახალი მოსაზღვრე რითმით შეკავშირებული). ამ წყობის ლექსი საერთოდ არ იცის ქართულმა პოეტიკამ. მომყავს სანიმუშო ლირიკული აბზაცი:

დადგება როცა ღამეები ზამთარში გრძელი,
თავლა-თთახებს როს აავსებს ჯორკო, სკამბელი,
ავიზიზდება როს ბუნარში, ო, ცეცხლი მწველი,

რა გინდა, სულთ, ჩაროზი თუ ნიგოზი, ფშატი,
სიცილ-კისკისი მაშინ სოფლის ზეცამდე ადის.

(იხ. შაჰრიარი, „სალამი, ჰეიდარბაბა!“
2017, გვ. 28)

შედარებით უკეთესად გადმოღებულად ჩანს
პოეტური აბზაცი, რომელშიც საწუთროს უღ-
ვთობაზე შფოთავს და ბორგავს მესიტყვე და
მთარგმნელიც ერთგვარად მხარს უწყობს და
უსწორებს მას:

ჰეიდარბაბა, ცრუ სოფელი ოდინდელია,
სოლომონიდან და ნოედან მოდის, ძველია,
შვილთა მშობელი შვილებისთვის დარდის
მგვრელია.

არას შეგარჩენს, სარგებელი მისგან ხომ
არ ჩანს,
აფლათუნისგან მხოლოდ მისი სახელი დაშთა!

აფლათუნი ფილოსოფოსი პლატონია, რომელსაც არვისზე ნაკლები არ უფიქრია წუთისოფლის წარმავლობაზე. ვფიქრობ, პოემის უმაღლესი მწვერვალი და ემოციური შპინუნგია მე-80 სტროფი, სადაც უკეთ ჩანს ავტორის გულისტკივილი:

**ქარავანს უკვე ჩაუვლია, გარდაუვლია,
შარბათი უკვე განშორების დაღეულია,
სიცოცხლე ჩვენი არეული, შხამრეულია.**

**მოუსაველეთში გადასულა, წასვლია ფერი,
გადაჰფენია ყოველივეს აწ უკვე მტვერი!**

ამრიგად, ნ. ბართაია გვევლინება ქართულად შაჰრიარის პირველ ამამეტყველებლად და ამ მხრივ ახალი ძალების გააქტიურების მომხრედ.

ერთ-ერთ ესეისტურ კრებულში ვწერდი:

„ცოლიცა მყავს, შვილიც, შვილიშვილებიც. მაინც დამღამობით ვტიროდი, როცა აწ განსვენებული დედაჩემი მომაგონდებოდა. აკლდა ამ ტირილს რაღაც და გული ვეღარ შემეჯერებინა, ვერ კი გამეგო, რა მარილი შესცოტავებოდა,

რისთვის მეთანადრებოდა იგი, სანამ ხელთ არ ჩამივარდა ისიკავა ტაკუბოკუს ლირიკა, ასე ძვირფასად თარგმნილი ნომადი ბართაიას მიერ და, სანამ არ გავიშინაგანე ეს შესანიშნავი ტანკა:

ხუმრობით

დედა შევისვი მხარზე,

მაგრამ მეჩვენა ისე მსუბუქი,

ცრემლმორეულმა

ძლივს გადავდგი ნაბიჯი სამი.

დედის მოსაგონარად გახაზირებულ ცრემლებო: დამიმძიმეთ მხრები, რათა გამიმსუბუქდეს გული!

ცრემლის სიმჩატე გულს ამძიმებს“.

(„ექვსი ესე“, 2001, გვ. 10; „ჩემიანები“, 2022, გვ. 296)

მართლაც რომ თვალმომტაცი თარგმანია. არც ის გვეუჭვება, დედანში სწორედ ეგ ეწერება. უამისოდ ხომ გადმოენებული ტექსტი თვალს ვერ მოგვტაცებდა.

2010 წელს მთარგმნელმა იაკონელი შემოქმედის მის მიერ ქართულად გადმოღებული ყვე-

ლა ქმნილება ერთ კრებულად აქცია და კოხტა, მცირე, ჯიბეში სატარებელ კომფორტულ გამოცემად გვისახსოვრა. დასახსომებელი კი ამ კრებულში ბევრი რამ არის. აგერ სხვა ტანკამაც წარმტაცა ხედვა:

**ო, როგორ მატკობს
ხმა მშობლიური,
სადგურზე გავალ მხოლოდ იმიტომ,
ხალხში ჩავდგე და
ვისმინო იგი. (6)**

ვინც ნომადის ორიგინალურ პოეტურ შემოქმედებას იცნობს, დამეთანხმება: თვით მისი, საკუთარი, ლექსებიც ასე მარტივ, ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო საუბარს, მითითებას, უბრალო თემებზე ყოველდღიურ საფიქრალს ეძღვნება. ბუნებრივია, „გულს გული იცნობს და ღონეს – ღონე“, როგორც ილია ბრძანებს, ანდა როგორც რუსულ ანდაზაშია: „რიბაკ რიბაკა ვიდით იზდალექა“. მაშ, მსგავსი მოტივები ნ. ბართაიას შემოქმედებაშიც უხვადაა. ამიტომაც არ გასჭირვე-

ბია მას მითითებული ტანკას გადმოქართულება.
აგერ კიდევ ერთი კარგი ნიმუში:

**როცა ვაგონის ფანჯარაში,
ცის დასალიერს,
მშობლიური გამოჩნდნენ მთები,
მე უნებლიეთ
გავისწორე საყელო მყისვე. (9)**

მცირეში დიდის ამოცნობა, ფრაგმენტით ისე
ტკბობა, თითქოსდა მთელი პანორამით იხიბლე-
ბოდე, აღმოსავლელთა, განსაკუთრებით კი იაკო-
ნელთა, მონაპოვარია და ამ ხალხს მას ვერაგინ
წაართმევს. კიდევ ერთ ნიმუშს გავუფცქვანათ გე-
მო:

**თითქოსდა სადღაც
მოსთქვამდეს ახლა
ჭრიჭინობელა –
გულის მწუხარება
მომაწვა ისე. (11)**

ერთი შეხედვით, დიდი არაფერია, ოღონდ
რა წუხილს აღძრავს ნათქვამი ესე:

უცებ მომიცვა სევდამ მთებისა,
მივედი მთასთან.
ნეტავ იმ ქვისთვის მიმაგნებინა,
სადაც შარშანწინ
ვიჯექი ამ დროს. (24)

განა აქ მართლა შარშანწინდელი თოვლის ან ქვის ძიებაა! არა, აქ არის დროსთან ჭიდილი, წარმავლობის მძაფრი განცდა; რომ წარსულს ველარ დაეწევი, ველარ დააგემოვნებ, რომ მხოლოდ მიუღწევლის სევდა ჩაგრჩენია გულს. სწორედ ამ დროს და ამ ვითარების გათვალისწინებით იტყვიან ხოლმე: ჭეშმარიტი მწერლის კალამი ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე თვითონ ავტორი. სწორედ აღმატებული, საკუთარ თავზე მაღლა ამხტომი გახლავთ ისიკავა და ამიტომაც ასდევნებია მის ნაკვალევს, მის ფერმკრთალ, ოღონდ შთამბეჭდავ ნაფეხურებს მთარგმნელი.

ახლა კი ისა ვნახოთ, თუ რა მახვილად და ყრუდ, ოღონდ მკაფიოდ ისმის ნებისმიერი ჩქამიჩქუმი ხვავრიელ თოვაში. ამას ბევრი როდი დაჰკვირვებია. იაპონელი მესიტყვე კი ამ მომენტის სილამაზესა და სიტკბოს გვითვალსაჩინო-

ებს. მთარგმნელიც კვალში ჩასდგომია დედნის
ავტორს:

**სადღაც არჭობენ პალოს,
და სადღაც მძიმედ
მიგორავს კასრი.
და როგორ ისმის ყოველი ჩქამი,
თოვს ხვავრიელად. (31)**

თუმცა კი ნ. ბართაია ირანოლოგია და ძი-
რითადად სპარსულიდან თარგმნის, მის ორიგი-
ნალურ პოეზიას უფრო მეტად იაპონური პოეზი-
ის მინიმალიზმი და ფრაგმენტული ხასიათი
დასტყობია. ვკითხულობ ტაკუბოკუს გადმოენე-
ბულ ფრაგმენტებს და ხშირად და ხშირად მა-
გონდება ნომადის ორიგინალური ლექსები, მათ
შორის ფარულ შინაგან კავშირს ვაწყდები და
რადაც გამოუცნობი სიამით მავსებს ეგ შეგრძნე-
ბა. აგერ კიდევ ერთი ცხოვრებისეული ფრაგმენ-
ტი, რომელიც ბედნიერად დაუფიქსირებია იაპო-
ნელს და საკმაოდ ლაღად გადმოუღია ივერიელს:

**როგორც დაღლილი
დაიძინებს**

**სოფელში კაცი,
დაბრუნებული შორი გზიდან,
ისე ჩუმად დადგა ზამთარი. (32)**

გარდასული მშობლების სევდა ვის აღარ გამოუცდია. იგი ყველასათვის გულის განმგმირავია. მისი გამოხატვა ათასნაირად შეიძლება და იმ ათასში, შესაძლოა, ეს უკეთესი იყოს:

**ბინდია, ვზივარ,
არ ანთია კერაზე ცეცხლი.
ვხედავ, კედლიდან გადმოდიან
დედა და მამა,
ჯოხს დაყრდნობილნი. (46)**

სიყვარულსაც ათასნაირი საზომითა ზომავენ. არსებული თოვლის საზომიც და ვერ კი შეგვიმჩნევია. იაპონური სიტყვის ოსტატმა კი შენიშნა. მე კი მუდამ თავი მომწონდა ჩემი აფორიზმით: სილამაზის შემჩნევას მის არსებობაზე მეტი მნიშვნელობა აქვს. აი, ეგ მნიშვნელოვანი აღმოჩენაც:

**ო, რომ ჩავეფლო
ფაფუკ თოვლში**

**ანთებულ სახით,
სწორედ ისეთი სიყვარულით
მიყვარდე მინდა. (47)**

ანდა იმის მოფიქრება არ გინდა, შენი სოფლის უბრალო კენჭის ხელში ალებას პატრიოტიზმი გამოახატვინო? ფრაგმენტის ოსტატური დაურეგებაც სწორედ ეგ არის:

**სადგურიდან
შინ მიმავალმა
მდინარის პირას
წაბლის ხის ქვეშ
ავიდე კენჭი. (50)**

ამ ტანკაში გახშიანებული დიდი სიყვარულის ადრესატი შეიძლება იყოს ყველა, გარდა საკუთარი შვილისა, თუმცა სწორედ საწოლში მწოლი შვილისებურ სიყვარულზეა აქ საუბარი. მაშ, ეგ არის უსპეტაკესი გრძნობა, სათავეს რომ ნინველის აკვნიდან იღებს და რომელსაც ვერანაირი ჭუჭყი და სიბინძურე ვერ მიეკარება მაშინაც კი, თუნდაც მთელი ქვეყანა ჭუჭყმა და სიბინძურემ მოიცვას:

თითქოს ოდესმე

ის აკვანში

მეხილოს

სიზმრად,

საყვარელია ის ჩემთვის ისე. (57)

ამ წიგნის ავტორის ქმნილებათა ნომადურ თარგმანებს რომ კითხულობ, ამაღლებულის განცდით იმუხტები და გგონია, თითქოს ოდესმე ისინი აკვანში ჩაკრულ ჩვილებად გენახოთ და სპეტაკი გრძნობით ამიტომაც შეგყვარებოდეთ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

ნომადი ბართაიას თარგმანები, უწინარეს ყოვლისა, ავსებს იმ ხარვეზს, რაც არსებობს სპარსული ლირიკის ქართულად გადმოღების საქმეში: მეორე მხრივ, მათი უმეტესობა წარმოდგენას გვიქმნის ამა თუ იმ მესიტყვის შინაარსობრივ-ფორმობრივ სამყაროზე; მესამე მხრივ, ზოგი ტექსტი სანიმუშოდაა თარგმნილი, რაც ამაღლებს მკითხველის გემოვნებასაც და მთარგმნელობითი ოსტატობის დონესაც.

აქვე აღვნიშნავთ, რომ გამოვიდა „სპარსული ქრესტომათია“. ამ 360 გვერდიანი წიგნის წინათქმაში ვკითხულობთ:

„წინამდებარე ქრესტომათიაში შესულია XVI-XIX საუკუნეთა სპარსული ლიტერატურის ნიმუშები.

ამით სრულ სახეს იღებს სპარსულ ქრესტომათიათა ის სამი ტომი, რომლებიც ქართველმა ირანისტებმა სხვადასხვა დროს შეადგინეს და გამოაქვეყნეს.

პირველი და მეორე ტომი 1963 და 1967 წლებში გამოსცა პროფესორმა დავით კობიძემ. პირველი მოიცავს X-XV საუკუნეთა და მეორე – XX საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურას, ხოლო მესამე ტომში, რომლის შემდგენლები არიან მზია ბურჯანაძე, ლილი ჟორჟოლიანი და თეა შურღაია, შესულია მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები XX საუკუნიდან დღემდე და გამოიცა 2006 წელს.

სპარსული ლიტერატურის წარმოდგენილი მონაკვეთი თავისი მხატვრული მრავალფეროვნე-

ბით ერთ-ერთი საინტერესო პერიოდია სპარსული მწერლობისა“.

სწორედ ეს ერთ-ერთი საინტერესო პერიოდი, რომელიც მოიცავს სპარსული კლასიკური ლიტერატურის ოთხ საუკუნეს, ნ. ბართიას იდეით, თანაშემდგენლებთან ერთად, გამოქვეყნდა 2017 წელს (№5, გვ. 79).

საზოგადოებრივი მოღვაწეობა

პიროვნება ბუნებით თუ პატიოსანია და ხასიათით აქტიური, შეუძლებელია საზოგადოებრივ საქმიანობაში არ ჩაებას, განაპირდეს და გვერდზე გადგეს. აქ უპრიანია მოვიგონოთ ერთი ირანელი პოეტის სალოზუნგე ტაეპები, რომელსაც ნომადი ბართაია ვერ მიაყურისძირებდა. პირიქით, მისი ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, სამოქმედო დევიზად ააფრიალებდა:

**გრცხვენოდეს ჯამი, თუ ყველაფერს ზურგს
შეაბრუნებ
და ასკეტივით სამარცხვინოდ განზე გადგები!**

დიახ, მისთვის საყვარელი მგოსნის ეგ მოწოდება გულისფიცარზე იმთავითვე დაიწერა ჩვენმა მოღვაწემ და ამიტომაც თუ იყო, რომ მთელი არსებით გადაეშვა ეროვნულ მოძრაობაში, რომლის დროშა პირველად მე-19 ახლეულში სამოციანელებმა ააფრიალეს, ხოლო რეალურ საქმედ ზვიად გამსახურდიამ და მერაბ

კოსტავამ გარდასახეს 1990-იან წლებში, კერძოდ კი 1991 წელს.

ამ რთულ პერიოდში ნომადი ბართაია გვერდში ედგა პატრიოტთა დასებს და მიტინგებზე დგომითა თუ გამოსვლით, თავისი მახვილი პუბლიცისტური კალმითა თუ პოეტური სიტყვით შეეწეოდა ეროვნულ მოძრაობას. 1991 საბედნიერო და საბედისწერო წელს იყო აღმანახ „ენგურის“ რედაქტორი. ბუნებრივია, რედაქტორი ყველაფერს აკეთებდა ზვ. გამსახურდიას მთავრობის განსამტკიცებლად. გამომცემლობა „ინტელექტმა“ 2020 წელს გამოუშვა ჩვენი მოღვაწის წიგნი „ეროვნული მოძრაობის დღიურიდან“, რომელიც ასახავს 1988-1993 წლების მოვლენებს.

ეგ გახლავთ მძიმე წიგნი, ძნელად და რთულად საკითხავი. განა იმიტომ, რომ ავტორს კალამი დამძიმებია? არა და არა! მისი კალამი აქაც ძველებურად მჭრელია, ხორასნის ფოლადივით ფხიანია, ოღონდ ის ამბებია მძიმედ ასატანი და მოსასმენი, რასაც თვითმხილველი პატიოსნად გვიყვება. ამ წიგნში იმდენი მოღალატის სახელს ამოვიკითხავთ, ისეთი პირების უა-

მურ, უკაცო საქციელს იხილავთ, ქართველობაზე ფრიად და ფრიად ცუდი წარმოდგენა შეგექმნებათ და უნებლიეთ იფიქრებთ: იყო კი გამართლებული, ამდენი შავი საქმის მამხილებელი ამ თეთრი წიგნის გამოცემაო? მაგრამ იქვე გაგახსენდებათ დავით გურამიშვილი, ქართველის ნაკლოვანებათა პირველი სასტიკი მამხილებელი. განა დავითი არ აცხადებდა: „ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?!“ განა დავითისა არ არის ეს ფუძემკვიდრი განაცხადი: „მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად, ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.

და, აი, ამ თეთრ წიგნში, თეთრ ფითქინა ქალღმერთზე შავით წერია იმათი სახელები, რომლებიც არა ჰგვანან კახაბერს, არადა თავი კახაბერად მოჰქონდათ. ამ გულწრფელ დღიურებში ნაჩვენებია მათი მოძრაობა, საქციელი, სიტყვები, რითაც უპირისპირდებოდნენ იმ კაცს, რომლის საფლავიც დღეს მთაწმინდის პანთეონს ამშვენებს. აგერ მცირე ამონარიდი ამ მამხილებელი დოკუმენტიდან:

„გამსახურდიას პრეზიდენტად მოსვლის მერე ჭანტურიას ლოზუნგად იქცა გამსახურდიას გადადგომა.

სამწუხაროდ, ამ ლოზუნგს აჰყვა ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, შემდეგ „წითელ ინტელიგენციად“ მონათლული, რაც 1991-92 წლების სამხედრო გადატრიალებითა და 1993 წელს ზვიად გამსახურდიას ფიზიკური განადგურებით დამთავრდა.

არავინ ამბობს იმას, რომ ოპოზიციურ ძალებს არ უნდოდათ საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ მათ ზვიად გამსახურდიას მიერ მოტანილ დამოუკიდებლობას ერჩივნათ, საქართველოს ხსენებაც კი გამქრალიყო საერთოდ.

მოყოლებული კონსტანტინე გამსახურდიას გამოჩენიდან ზვიადის სიცოცხლის ბოლო წუთამდე საბჭოთა საქართველოს უშიშროების კომიტეტის მთელი უზარმაზარი მანქანა ათასნაირი გამოგონილი ამბებისა და ბინძური ჭორების გავრცელებით მუშაობდა ჯერ მამის, მერე შვილის სახელის გატეხაზე, რამაც, სამწუხაროდ, ბევრი

ადამიანი ზვიად გამსახურდიას ბიოლოგიურ ზიზღამდეც კი მიიყვანა“ (7).

წიგნში მკაფიოდ არის ნაჩვენები პროფესორ ნომადი ბართაიას ჩართულობა ეროვნულ მოძრაობაში, მისი ურთიერთობა ცალკეულ ისტორიულ პირებთან, მისეული ცინცხალი და პირმართალი შეფასებები ცალკეული მოვლენებისა; აღწერილია მწერალთა კავშირის, უნივერსიტეტის, ტელევიზიებისა და პრესის ყოველდღიური ცხოვრება, მოქმედება, ამ ქმედებათა დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ხელს არ უნდა ამ საშინელი ამონარიდების აქ მოყვანა, ოღონდ გულცივი კალამი თავისას შვრება:

„01.01.1991.

თბილისელთა სახელით გამოვიდნენ ბუბა კიკაბიძე და ოთარ ითანიშვილი, რომლებმაც დაგმეს დიქტატორი გამსახურდია; გამსახურდია ასევე დაადანაშაულა გიორგი ჭანტურიამ“ (79);

„03.01.1992.

ტელეკრანზე გამარჯვებული სახეებით ერთმანეთს ცვლიან ნოდარ ნათაძე, ნოდარ ლომოური, მარია და გიგა ლორთქიფანიძეები, ქეთი დოლიძე, ირაკლი ბათიაშვილი, მანანა გიგინეიშვილი... ისინი შთააგონებენ პრეზიდენტ გამსახურდიას, რომ თავისი გადადგომით საქართველო ძმათამკვლელი ომისაგან იხსნას. განსაკუთრებული იყო მანანა გიგინეიშვილის გამოსვლა, რომელმაც ზვიად გამსახურდიას მიმართ საშინელი სიძულვილი გადმოანთხია“ (81-82);

„03.02.1992.

შევარდნაძემ რევოლუციად შეაფასა კანონიერად არჩეული პრეზიდენტის ჩამოგდება და მოიწონა დროებითი მთავრობის მოქმედება“ (85);

„02.07.1993.

ირაკლი წერეთელი ხალხს მოძღვრავდა იმ ადგილიდან, სადაც მან ორი წლის წინათ კანონიერი ხელისუფლების დასამხობად ნაგვით, ქვებითა და რკინის ნაჭრებით გადახერგა რუსთავე-

ლის გამზირი და მერე ეგ ყველაფერი იარაღად გამოიყენა კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა დასარბევად“ (91);

„ხობში ერთ-ერთმა მხედრიონელმა მხატვარ ვახტანგ ნოდინას მარჯვენა მოაჭრა, რაკილა ზვიად გამსახურდია ჰყავდა დახატული. შემდეგ ის მარჯვენა მანქანას მიაბა და ასე ათრია“ (93).

აქ არ შეიძლება, არ გაგახსენდეს „აღუდა ქეთელაური“, სცენა, რომლის მიხედვითაც, მუცალის მოჭრილ ხელს ბავშვები დაარბენინებენ: „ქისტის მარჯვენას ბაღლები დაბლა ათრევენ კავითა“.

„ზუგდიდში გია ყარყარაშვილი რომ დაიჭირეს, რომელიც განაგებდა სადამსჯელო ოპერაციებს დასავლეთ საქართველოში, იგი გადამაღეს მისივე ბანდფორმირებების მიერ მოკლული გონა ჯიქიას სახლში, რათა გამწარებულ ხალხს არ მოეკლა იგი და ასე შეუნარჩუნეს სიცოცხლე.

საჭმელი თურმე გონას დედამ გამოუტანა მას.

ყარყარაშვილს რომ გაუგია, თუ ვის სახლში გადამაღეს, უტირია“ (93);

„ხუთი ახალგაზრდა, რომლებიც ხელფეხშეკრულნი შევარდნაძესა და ჯაბა იოსელიანს პირქვე დაუყარეს წინ მხოლოდ იმის გამო, რომ ზვიად გამსახურდიას მომხრენი იყვნენ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა კვიციანიამ ადგილზევე დახოცა“ (94).

„ტელევიზიასთან მომიტინგე მოშიშმიღებებმა იქვე, ზოოპარკში, ირემს ერთი უკანა ფეხი მოაჭრეს და მწვადები ააშიშხინეს“ (94).

აბა, როგორ არ მოგვაგონოს ამან კ. გამსახურდიას ნოველის „დიდი იოსების“ ერთი სცენა, როცა „იმ ღამეს დაჰკლეს გარეწრებმა სასახლის ბაღში უკანასკნელი რომანტიული გედი“.

„ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში ჯაბა იოსელიანის „მარჯვენა ხელმა“ მხედრიონელმა დოდო გუგუშაშვილმა ერთ ღამეში ოცდარვა სახლის გადაწვა მოასწრო“ (94).

„ერთი პროფესორი საიდუმლოს უმხელს მეორეს: „გუშინ გამსახურდიას ახალი კოსტიუმი ეცვა, ერთი მითხარი, საიდან?!“ (95);

„ერთს დაბეჯითებით უმტკიცებია: ზვიადმა ზოოპარკიდან ირმები და ფარშევანგები თავისი კოლხური კოშკის ეზოში გადაიყვანაო“ (95);

„ერთმა თქვა: მე ჩემს კლასელს პრეზიდენტად არ დავისვამ თავზე. მისი გათავისუფლებული საქართველო არ მინდაო“ (95);

„ერთმა პროფესორმა ბევრი დრო და ენერგია შეაღია იმის მტკიცებას, რომ გამსახურდიები სომხები არიან, მაგრამ ამაოდ დაშვრა“ (95).

და, რომც დაემტკიცებინა ამ გვარის უცხოური წარმომავლობა, მერედა რა?!

„სუფრის ერთ-ერთმა წევრმა... ზვიადის ხსენებაზე ყვირილი დაიწყო: არ გამაგონოთ ზვიად-

დის სახელი, არა, არ გამაგონოთო და გარეთ გავარდა“ (96);

„თენგიზ კიტოვანს სთხოვეს: გაქცეულ ზვიადს 200 მილიონი მანეთი და 45 კილოგრამი ოქრო გადააქვს საზღვარზე. ტელევიზორში ვახვენოთ, თითქოს ეგ ოქრო შენ წაართვი მას. ოქროს ზოდებს მოგცემთ, კამერების წინ ხელში დაიჭირეო!

კიტოვანს უთქვამს: – მაგას ვერ ვიზამო.

– მე მომეცით, მე დავიჭერ ზოდებს, მე ვიზამო! – განუცხადებია გიორგი შენგელაიას“ (97);

„ერთ-ერთ საუბარში გაირკვა, რომ მაგანი ბოროტ ძალებად გულისხმობდა ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეებს, ხოლო კეთილად – ჯაბა იოსელიანსა და მის ბანდფორმირებებს“ (98);

ფრიად მრავლისმეტყველი და გულისგანმგმირავია ამ წიგნის ბოლოსიტყვა. დიახაც მეცოდება მეგობარი მკითხველი, ოღონდ რა ჩარაა,

მაინც მთლიანად უნდა მოვიყვანო იგი, პატიოსანი და ნამდვილი ქართველისათვის გულში გაწონილი შხამიანი ისარი:

„არაბთა ოთხასწლიანი ბატონობისაგან გათავისუფლებას არ შეხვედრია თბილისი ისეთი სიხარულით, როგორც ცნობას ზვიად გამსახურდიას სიკვდილის შესახებ. ლამის დაინგრა ქალაქი ათასნაირი ცეცხლსასროლი იარაღიდან, მათ შორის, ქვემეხიდან სროლით.

ერთმა ქალბატონმა, ზვიადის გარდაცვალების ამბავი რომ შეიტყო, ქოში უკუღმა ყარა, სიხარულისაგან შეჰკივლა და იქვე, ტელეეკრანთან, დაღია სული.

ამით მთავრდება ჩვენი დღიურები, რომლებიც წვეთიც არ არის იმ ზღვისა, ეროვნული მოძრაობის სახით რომ ბობოქრობდა მაშინდელ საქართველოში“ (103).

მეგობარო მკითხველო, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ამ ბოლო აბზაცს. იგი ჭეშმარიტებაა. მართლაცდა, რამდენი მოღალატის სახელი აკლია ნომადი ბართაიას ამ წიგნს!

სად არიან აქ ცნობილი ანტიზვიადისტი მე-
სიტყვეები, ვთქვათ, ქართული მწერლობის შა-
ლონი თამაზ კვაჭანტირაძე და მარად დაუღვინე-
ბელი პოეტი ემზარ კვიციანი? უსახელო მო-
ღალატეებს ვილა გამოააშკარავებს, მაგრამ რამ-
დენი ცნობილი შავი სახელი აკლია ამ დღიუ-
რებს! ვისაც ისინი აინტერესებს, უნდა წაიკით-
ხოს პროფესორ იგორ კვესელავას ისტორიული
გამოკვლევები ზვიად გამსახურდიას შესახებ,
თუმცა მოღალატეთა სრულ ნუსხას ვერც იქ
იხილავს. ეგ მხოლოდ მაღალმა უწყის.

ნომადი ბართაია, როგორც ითქვა, რედაქტო-
რობდა აღმანახ „ენგურს“; ამჟამად რედაქტო-
რობს ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს
მხარდაჭერით გამომავალ ჟურნალს. მისი სახე-
ლია „კალამი“. დღემდე სულ გამოსულია 16 ნო-
მერი. აქ იბეჭდება მრავალფეროვანი მასალები,
რომლებიც ასახავენ ირანულ-ქართულ კულტუ-
რულ-პოლიტიკურ ურთიერთობებს; ნ. ბართაია
გახლავთ არაერთი წიგნის რედაქტორი და თვა-
ლის მადევნებელი. სხვათა შორის, მისი მითითე-
ბითა და რედაქტორობით გამოვიდა ჩემი მონოგ-

რაფია „ნიზამი და რუსთველი“ (2011), რომანი „ფირდოუსი“ (2019).

* * *

ნოზადი ევგენის ძე ბართაია, პოეტი, მთარგმნელი, სპარსულ-ქართული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების დაუცხრომელი მკვლევარი, ორი ისტორიულად ერთმანეთთან დაკავშირებული ერის სიკეთეთა წარმომჩენი და პოპულარიზატორი, რედაქტორი და საზოგადო მოღვაწე, კვლავაც ენერგიულად არის ჩართული საზოგადოებრივი ცხოვრების ჩარფუზანაში. იგი კვლავაც ბევრ საინტერესო გამოკვლევას, მშვენიერ თარგმანს, ლექსსა თუ იუმორისტულ ჩანახატს გვპირდება. ის თავაწეული და თვალანთებული ეგებება თავისი შინაარსიანი და მოუწყინარი ცხოვრების მე-80 წელს.

მცირე ბიოგრაფიული ცნობები

ნომადი ბართაია დაიბადა 16.IX.1944 წ. მარტვილის რაიონის სოფ. ლეხაინდრაოში.

1961 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ლეხაინდრაოს საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ირანული ფილოლოგიის განყოფილებაზე. დაამთავრა იგი 1966 წელს.

2019 წლამდე, როგორც ირანისტი, მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტის ირანისტიკის კათედრაზე. ის იყო ლაბორანტი, ასისტენტი, დოცენტი, ასოცირებული პროფესორი, კათედრის გამგე (2014-2019).

სხვადასხვა დროს მუშაობდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგედ;

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1995 წლიდან ჯერ სპარსული ენის ლექტორია, მერე – ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე.

ამჟამად, როგორც პროფესორი, აგრძელებს მუშაობას აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტა-

მენტისა და ირანისტიკის განყოფილების ხელმძღვანელად.

1970-1971 წლებში ერთი წლით საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტროს მიერ მივლინებული იყო ისპაჰანის სამშენებლო ცენტრში სპარსული ენის თარჯიმნად.

სპარსულ ენასა და ლიტერატურაში სხვადასხვა ვადით კვალიფიკაცია ამაღლებული აქვს ირანის ისლამური რესპუბლიკის – ისპაჰანის (1976), ურმიის (1997), თეირანის თარბიათე მოდარესის (დოქტორანტთა) და გილანის (2001) უნივერსიტეტებში.

1991 წელს იყო საქართველოს მწერალთა კავშირის აღმანახ „ენგურის“ მთავარი რედაქტორი.

2011 წლიდან არის ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურის განყოფილების ქართულ-სპარსულენოვან პოპულარულ ჟურნალ „კალმის“ მთავარი რედაქტორი.

არის საქართველოს მწერალთა კავშირისა და ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

ნომადი ბართაიას სამეცნიერო, მნატვრულ ნაწარმოებთა და თარგმანთა კრებულები:
ქართულ-ირანულ ურთიერთობებში სამეცნიერო და მნატვრული ნაწარმოებები:

1. ირანული ჩანახატები, თბილისი, 2001.
2. სპარსული ლირიკა, შემდგენელი და თანამთარგმნელი ნომადი ბართაია, თბილისი, 2003.
3. საერთაშორისო კონგრესი, მიძღვნილი ისფაჰანური სკოლისადმი, თბილისი, 2007.
4. ქართული საყვავილე ირანული ვარდებისათვის (ირანული ჩანახატები), თბილისი, 2009.
5. სპარსული კლასიკური ლირიკის ქართული თარგმანები (მეცნიერული მიმოხილვა), თბილისი, 2010.
6. ქართული საერო მწერლობის სათავეებთან, ანუ ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე, თბილისი, 2011.
7. ფირდოუსი მეორე ათასწლეულში (საერთაშორისო კონგრესის ჩანახატები), თბილისი, 2012.
8. დიალოგი რელიგიათა შორის (ისლამსა და მართლმადიდებლობას შორის ჩატარებული პირველი საერთაშორისო კონგრესის ჩანახატები), თბილისი, 2012.
9. ფაჯრის პოეზიის მეექვსე საერთაშორისო დღესასწაული, თბილისი, 2012.

10. საქართველო და ირანი, უპრეცედენტო ურთიერთობათა 20 წელი, თბილისი, 2013.
11. ჯილდოდ – ირანში მოგზაურობა, თბილისი, 2013.
12. აქემენიდთა ძველსპარსული წარწერები, თბილისი, 2013.
13. სპარსული პოეზიის ქართული თარგმანები დღე-ნებითურთ (სეიდ მოჰსენ ჰოსეინისთან ერთად), თბილისი, 2013.
14. ქართულ-ირანული ლიტერატურულ-ენობრივი ურთიერთობანი, თბილისი, 2014.
15. აბას აბადის ბაღები (ირანული ჩანახატები), თბილისი, 2015.
16. თავრიზის მზე (ირანული ჩანახატები), თბილისი, 2016.
17. მე შაჰრიარის ქუჩაზე ვცხოვრობ (ირანული ჩანახატები), თბილისი, 2016.
18. ქართველი ერის წინაშე დავით აღმაშენებლის უცნობი დამსახურების შესახებ, თბილისი, 2017.
19. სპარსული ენა, ლიტერატურა და ირანისტიკა ირანს გარეთ (პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩანახატები), თბილისი, 2017.
20. სპარსული ქრესტომათია, იდეის ავტორი და თანაშემდეგენელი (სეიდ მოჰსენ ჰოსეინისა და ალექსანდრე ელერდაშვილთან ერთად), თბილისი, 2017.
21. მცდელობა ქართული კულტურის დისკრედიტაციისა, ქუთაისი, 2019.

22. საქართველო და ირანი, კულტურული ურთიერთობანი გრძელდება, თბილისი, 2019.
23. სპარსულიდან შემოსულ აღმოსავლურ თემატურ ნასესხობათა შესახებ ქართულში, თბილისი, 2021.

ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებები

24. არ დამიწერთ ფრიადი, იუმორისტული მოთხრობები, თბილისი, 1975.
25. ლექსები, თბილისი, 1976.
26. მიშველეთ, იუმორისტული მოთხრობები, თბილისი, 1980.
27. ლექსები, თბილისი, 1983.
28. მე გიცნობთ ყველას (ლექსები), თბილისი, 1985.
29. იუმორისტული მოთხრობები, თბილისი, 1985.
30. მხიარული შეხვედრები (იუმორისტული მოთხრობები), თბილისი, 1990.
31. იმ წლის შემოდგომის მთვარე (ლექსები), 1990.
32. მიყვარს ცურვა (იუმორისტული მოთხრობები), თბილისი, 1990.
33. მეც გამიშვით სკოლაში (საბავშვო ლექსები), თბილისი, 1991.
34. ღრუტუნის გასაჭირი (საბავშვო ლექსები), თბილისი, 1995.

35. ვილაცას აივანი აუფვაგებია (ლექსები), თბილისი, 2004.
36. მზესავით ითხოვ არაფერს (ლექსები), თბილისი, 2006.
37. ასი ლექსი, თბილისი, 2014.
38. ჩვენი ზეზვა (ზეზვა მედულაშვილზე), თბილისი, 2014.
39. ლირიკა, ერთტომეული, თბილისი, 2014.
40. ბატონი მაგალი (მაგალი თოდუაზე), ქუთაისი, 2018.
41. მხიარული ავტობიოგრაფიული ჩანახატები, I, თბილისი, 2018.
42. მხიარული ავტობიოგრაფიული ჩანახატები, 2, თბილისი, 2019.
43. მე ისიც მიყვარს, მინახავს ვინც არ (ლექსები), თბილისი, 2019.
44. მხიარული ავტობიოგრაფიული ჩანახატები, 3, თბილისი, 2020.
45. სახელი მაინც ვიცოდე მისი, მინიმები, თბილისი, 2020.
46. ეროვნული მოძრაობის დღიურებიდან, 1988-1993, თბილისი, 2020.

თარგმანები

47. რა საამოა დღეს შენი სახე, სპარსელი ლირიკოსები, თარგმანი სპარსულიდან ნომადი ბართაიასი, თბილისი, 1987.
48. ომარ ხაიამი, რობაიები, თარგმანი სპარსულიდან ნომადი ბართაიასი, თბილისი, 2003.
49. საადი შირაზელი, გოლესთანადან, თარგმანი სპარსულიდან ნომადი ბართაიასი, თბილისი, 2003.
50. მწვანეზე მწვანე, ორმოცი მოგონება იმამ ხომეინის ცხოვრებიდან, შედგენილი მეჰდი ღოლამაღლის მიერ, თარგმანი სპარსულიდან ნომადი ბართაიასი, თბილისი, 2007.
51. სეიდ ჯაფარ შაჰიდი, ცხოვრება მოჰამადისა, თარგმანი სპარსულიდან ნომადი ბართაიასი, თბილისი, 2008.
52. ისიკავა ტაკუბოკუ, ლირიკა, თარგმანი ნომადი ბართაიასი, თბილისი, 2010.
53. სეიდ მოჰამად ჰოსეინ შაჰრიარი, საღამი, ჰეიდარბაბა! (პოემა), თარგმანი ნომადი ბართაიასი, თბილისი, 2017.

მიღებული ჯილდოები:

1. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ქების სიგელი, 1983.
2. ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურული და ისლამური კავშირების ორგანიზაციის საპატიო სიგელი, 2001.
3. ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს საპატიო სიგელი, 2006.
4. ივანე მაჩაბლის პრემია (თარგმანში), 2009.
5. აკაკი წერეთლის პრემია (პოეზიაში), 2014.
6. ლიტერატურული პრემია „ჭადრის ოქროსფერი ფოთოლი“, 2014.
7. თანამედროვე ირანელი პოეტის შაჰრიარის კულტურის საერთაშორისო მედალი, 2016.
8. ლიტერატურული პრემია „ქუჯი“, 2019.
9. ქართული კულტურის დესპანის წოდების დიპლომი, 2019.
10. ილია ჭავჭავაძის პრემია, 2020.
11. მარტვილის (მშობლიური რაიონი) საპატიო მოქალაქის წოდება, 2016.
12. ლესიანდრას (მშობლიური სოფელი) საპატიო მოქალაქის წოდება, 2019.

შინაარსი

შესავალი.....	3
ნომადი ბართაიას ორიგინალური ლექსები	7
მნიარული ავტობიოგრაფიული ჩანახატები	52
ირანული ჩანახატები.....	90
ლიტერატურულ-ენობრივ ურთიერთობათა მკვლევარი	141
ნასესხები ლექსიკა და მისი მკვლევარი	178
უცხოური ლირიკის ნომადური თარგმანები.....	198
საზოგადოებრივი მოღვაწეობა მცირე ბიოგრაფიული ცნობები	237
ნომადი ბართაიას სამეცნიერო, მხატვრულ ნაწარმოებთა და თარგმანთა კრებულები: ქართულ-ირანულ ურთიერთობებში სამეცნიერო და მხატვრული ნაწარმოებები.....	239
ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებები.....	241
თარგმანები.....	243
მიღებული ჯილდოები:.....	244



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიაშვილის ქ. №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com